# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 5 ნოემბერი 1998 №201 (736) ფასი 50 თეთრი




ტრავმირებული შოთა არველაძე 27-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა

# მატყუარა კალიები



გიორგი ნემსაძე

თითქოს ყველაფერი მოგვარებული იყო, შვეიცარიული „გრასჰოპერის“ ქართველი ნახევარმცველი და ეროვნული გუნდის კაპიტანი გიორგი ნემსაძე თავისი კლუბის ხელმძღვანელობას გაურიგდა, შეთანხმდნენ და ნემსაძეც „კალიების“ გუნდში ათამაშდა. სეზონის დასაწყისში შექმნილი პრობლემები მოგვარდა, რამდენიმე გაცდენილი მატჩის მერე გიორგიმ კვლავ მოირგო თეთრ-ცისფერი მაისური. თავიდანვე გვითხრა, სადარდო არაფერი მაქვს, ცოტა ხანში ძირითადგიც ვითამაშებო.

ძირითადი შემადგენლობის რა გითხრათ, მაგრამ ეროვნულ ნაკრებს რიგაშიც და ათენშიც კაპიტნად გაუძღვა ნემსაძე თანაგუნდელებს. არ გადავაჭარბებთ, სხვების ფონზე გიორგი ნორმალურად თამაშობდა, თანაც დაცვაში, ლიბეროდ. სათამაშო პრაქტიკა აკლიაო, ვამბობდით, თუმცა ნაკლებად კი ეტყობოდა გრასჰოპერული პრობლემები.

და სრულიად მოულოდნელად... კიდევ ერთ ქართველს მოუწევს ახალ კლუბზე ფიქირი. გუშინ შვეიცარიაში რომ დავრეკეთ, გიორგი ნემსაძემ აი, რა გვითხრა:

— არა, დამთავრდა, მოთმინების ფიალა აივსო. „გრასჰოპერში“ გამჩერებელი აღარა ვარ. შვეიცარიას აუცილებლად დავტოვებ. მომატყუეს, სიტყვაზე ვენდე კლუბის ხელმძღვანელობას. მათ კი დანაპირები ბოლომდე არ შეასრულეს.

**— ასეთი რა მოხდა?**

— ვერ გეტყვით. ეგ „გრასჰოპერის“ უფროსობას ჰკითხეთ. ჩემზე რაც იყო დამოკიდებული, ყველაფერი შევასრულე.

**— ახალი კლუბი რომელი იქნება?**

— ეს საქმე მენეჯერს აქვს ჩაბარებული. ახლა მუშაობს და პასუხსაც მალე მეტყვის. ჯერჯერობით კონკრეტული არაფერი ვიცი. თუმცა ნაღდია, სადმე საფეხბურთო ქვეყანაში გავაგრძელებ კარიერას.

**— ვარჯიშობ მაინც?**

— ვვარჯიშობ და ვთამაშობ კიდეც, ოღონდ „გრასჰოპერის“ მეორე გუნდთან. ფორმა თუ დავკარგე, მერე ახალ კლუბშიც გამიჭირდება.

**— როდისთვის ველოდოთ ტრანსფერს?**

— დეკემბრამდე აუცილებლად. ხომ გითხარით, უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილი მაქვს „გრასჰოპერიდან“ წამოსვლა. თურქეთში მიბრუნება კი გამორიცხულია.

ძოგა ინასარიძე

# ვის აირჩევს ბურძგლა?

გუშინ ქართველმა ბორჯღალოსნებმა სან სებასტიანში გამართულ ბოლო საწვრთნელ მატჩში 17:8 მოუგეს ბასკთა ნაკრებს, რომელსაც სარაგბო სამყარო ესკუდოს სახელით იცნობს.

ნაკრების თავკაც გურამ მოდებაძეს ბასკთა წინააღმდეგ ყველა კანდიდატი უთამაშებია. ბორჯღალოსნები დღეს საფრანგეთში დაბრუნდებიან და „ბურძგლა“ და კლოდ სორელი გუნდის საირლანდიო შემადგენლობასაც დაასახელებენ.



REUTERS

„შტურმის“ პრეზიდენტი ჰანს კარტნიგი „რეალის“ ფეხბურთელებს დავორ შუკერს და კლარენს ზეედორფს (მარჯვნივ): არა, შვარცენეგერზე დღეს თამაში გამორიცხულია

## A ჯგუფი

### აიაქსი 2:0 ოლიმპიაკოსი

1:0 ვიჩხე (32), 2:0 გორი (88)

აიაქსი: ვან დერ სარი, ტობიასენი (დანი 37), ოლისე, ფ. დე ბური, სიერი, რ. დე ბური, ვიჩხე, ლიტმანენი (გორი 40), არველაძე (მაკართი 27), ვამბერტო, შუქსტრა

ოლიმპიაკოსი: ელეფტეროპულოსი, მავროგენიდისი, ანატოლაკისი, კარატაიდისი, გეორგატოსი, კარაპიალისი, პასალისი, ჯორჯევიჩი (ნინიადისი 68), ჯანაკოპულოსი, ალექსანდრისი (ოფრი კუაე 54), გოგიჩი (ივიჩი 75)

### კროაცია 3:1 პორტუ

1:0 მიკიჩი (7), 2:0 რუკავინა (37), 2:1 ჟარდელი (39), 3:1 მუიჩინი (61)

კროაცია: ლადიჩი, ტოკიჩი, იურიჩი, სიმიჩი, რუკავინა, კრჟნარი (ბისკანი 46), სარიჩი (ცვიტანოვიჩი 75), იელიჩიჩი, მუიჩინი, მარიჩი (სიმიჩი 55), მიკიჩი

პორტუ: კრალი, სეკრეტარიო, ალოიზიო (მიელჩარსკი 75), მენდესი (ჩიპო 75), მანუელ პინტუ, დორივა, პაულინიუ სანტუში, ზაოვიჩი, ნუნო კაპუჩო, დრულოვიჩი, რუი ბარუში (ჟარდელი 27)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| პორტუ | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| კროაცია | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |

## B ჯგუფი

### გალათასარაი 3:0 რუსენბორგი

1:0 ჰაქან შუქური (54), 2:0 არიფი (65), 3:0 ჰაქან შუქური (73)

გალათასარაი: ტაფარელი, ფატიხი, პოპესკუ, ფილიპესკუ, ოქანი (თალაი 83), თუგაი, ერგუნი (არიფი 46), ჰაქან უნსალი, ჰაჯი (დავალა 78), ჰაქან შუქური, ჰასანი

რუსენბორგი: არასონი, ბასმა, იონსენი, ჰოფტუნი, ბერგდოლმო, სტრანდი, სკამელსრუდი, ბერგი, დალუმი (ჰერნესი 60), რუშფელდტი, იაკობსენი (სორენსენი 60)

### იუვენტუსი 1:1 ბილბაო

0:1 გერერო (45), 1:1 მონტერო (68)

იუვენტუსი: პერუცი, მონტერო, დი ლივიო (პეროტა 84), იულიანო, პესოტო (ამორუზო 55), ტუდორი (ლანშარი 46), ტაკინარდი, დავიდსი, ზიდანი, დელ პიერო, ინძაგი

ბილბაო: ი. ეჩებერია, იმასი (ლაკრუსი 57), ესკუერო (ურსაისი 67), ლარასაბალი, კარლოს გარსია, ფერეირა, ხ. ეჩებერია, გერერო, ალკისა, ლასა (ბოლო 71), რობერტო რიოსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| რუსენბორგი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| იუვენტუსი | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 4 |
| ატლეტიკო | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 3 |

## C ჯგუფი

### სპარტაკი 1:1 ინტერი

1:0 ტიხონოვი (68), 1:1 სიმეონე (89)

სპარტაკი: ფილიმონოვი, ბუშმანოვი, ციმბალარი, ანანკო, ბარანოვი (მელეშინი 63), ტიტოვი, ტიხონოვი, ბუზნიკინი (პისარევი 45), რომაშჩენკო, პარფიონოვი, რობსონი

ინტერი: პალიუკა, ბერგომი (პირლო 75), კოლონეზე, ძანეტი, გალანტე, რონალდო (ვენტოლა 65), სიმეონე, კოე, მორეირო (სილვესტრი 90), სამორანო, სოუზა

### შტურმი — რეალი

მატჩამდე ერთი საათით ადრე შეხვედრის მსაჯმა შვედმა კარლ ერიკ ნილსონმა და პაოლო რუშეტიმ დატბორილი მოედანი მატჩის გასამართად მიუღებლად მიიჩნიეს. „შტურმი“ და „რეალი“ დღესლა დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ინტერი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:3 | 6 |
| შტურმი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |

## D ჯგუფი

### მანჩესტერი 5:0 ბრონდბიუ

1:0 ბექემი (6), 2:0 კოული (12), 3:0 ფ. ნევილი (16), 4:0 იორკი (28), 5:0 სქოულზი (62)

მანჩესტერი: შმაიხელი, ფ. ნევილი (ბრაუნი 32), გ. ნევილი, სტამი, ირვინი, ბექემი, კინი, სქოულზი, ბლომკვისტი (კრუიფი 5), კოული (სოლსკიაერი 55), იორკი

ბრონდბიუ: ანდერსენი, ბიური (კროგი 74), ნილსენი, რავნი, იენსენი, დუგაარდი, კოლდინგი, ბაგერი (ტიგესენი 67), სკარბალიუსი, რასმუსენი, სანდი (ჰანსენი 77)

### ბარსელონა 1:2 ბაიერნი

1:0 ჯოვანი (28პ), 1:1 ციკლერი (47), 1:2 სალიჰამიჯიჩი (86)

ბარსელონა: ჰესპი, აბელადრო, სელადესი, ხავი, ოკუნოვო, კოკუ, ფიგუ, სერხი, რივალდო, ჯოვანი, ანდერსონი

ბაიერნი: კანი, ბაბელი, ლისარასუ, კუფური, მატეუსი, ფინკი, ტარნატი (შტრუნცი 74), ელბერი, ეფენბერგი, ბასლერი (ალი დაეი 64), ცილკერი (სალიჰამიჯიჩი 64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 16:7 | 8 |
| ბაიერნი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ბარსელონა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| ბრონდბიუ | 4 | 1 | 0 | 3 | 4:14 | 3 |

## E ჯგუფი

### დინამო 3:1 არსენალი

1:0 რებროვი (27პ), 2:0 გოლოვკო (62), 3:0 შევჩენკო (72), 3:1 ჰიუზი (83)

დინამო: შოვკოვსკი, დმიტრულინი, გოლოვკო, ლუჟნი, ვასჩუკი, კოსოვსკი, ბელკევიჩი (კალიტვინცევი 89), კარდაში, გუსინი, შევჩენკო, რებროვი

არსენალი: სიმენი, დიქსონი, ბოულდი (გრიმანდი 46), კეონი, უინთერბერნი, პარლოუ, ვიეირა, პეტი, ვივასი (გარდე 85), ბოა მორტე (ჰიუზი 70), ვრე

### პანათინაიკოსი 1:0 ლანსი

1:0 ვოკოლოსი (52)

პანათინაიკოსი: ვანძიკი, აპოსტოლაკისი, მილოევიჩი, ასანოვიჩი, გუმასი, ვარჟიხა (მაურო 85), ლაგონიკაკისი, ვოკოლოსი, ბასინასი, კოსტანტინიდისი, ლიბეროპულოსი

ლანსი: ვარმუჟი, სიკორა, მანიე, რული, დებევე, დალმა, ნიარკო, ვერელე, დეუნუმა (ელოი 70), მერიდე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| დინამო | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| ლანსი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| არსენალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |

## F ჯგუფი

### კაიზერსლაუტერნი 3:1 ეინდჰოვენი

0:1 ვან ნისტელროი (18), 1:1 რიშე (68), 2:1 რაიხი (77), 3:1 ხრისტოვი (90)

ლაუტერნი: რინკე, ბალაკი, კოხი (რაიხი 34), სამირი, როოსი, ხრისტოვი, სფორცა, რიდლი, ბაკი (ჟუნიორი 68), მარშალი, როსლერი (რიშე 46)

ეინდჰოვენი: ლოდევაიკსი, ნიკიფოროვი, ოიენი, ხავიერი, სკერლა, ვან დერ ვერდენი (დოს სანტოსი 60), ივანი, ხოხლოვი, ვან დერ დოლენი (რომდალი 75), ვან ნისტელროი, ნილისი (ნიდი 26)

### ბენფიკა 2:2 ჰიკ

0:1 მინტო (ნს.კ.), 1:1 ნუნუ გომეში (78), 2:1 სალადო (81), 2:2 ლუის ანტონიო (84)

ბენფიკა: პრიუდომი, ანდრადე (პორფირიო 46), გუიარო, მადეირა, მინტო, სალადო, ლეალი, პემბრიჯი, პობორსკი (პრინგლი 83), ჟოაო პინტუ, ნუნუ გომეში

ჰიკ: კოივისტოინენი, ტიინენი, საასტამოინენი, ნილანდი, კანერვა, რიილახტი, ილოლა, ლეკოსუო, პირასაია (ფორსელი 60), კოტილა (ლუის ანტონიო 84), კუკი (კოფტეფი 85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაუტერნი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| ჰიკ | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| ბენფიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| ეინდჰოვენი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი

**ბოლტონი 3:1 პორტ ვეილი**

1:0 ტეილორი (5), 2:0 ფრანდსენი (20), 3:0 გუნლაუქსონი (68), 3:1 ბედლი (79)

**ქუინზ პარკი 2:1 ბარნსლი**

1:0 ლანგლეი (11), 2:0 გალენი (40), 2:1 ბალოკი (48)

## ჰოლანდია

### თასის გათამაშება

**სპარტა 1:1 (3:4პ) კამბური**

### კალათბურთი. ევროლიგა. VI ტური

C ჯგუფი

**ზადარი 73:85 ულქერი**

D ჯგუფი

**ვილერბანი 92:69 სამარა**

# SOS-ი და ოდიში შველას ითხოვენ!



სოსო ჭედია გასაჭირშია

სამწლიანი პროგრამა, „აიაქსის“ მოდელი(?), „ოდიში“ — სუპერკლუბი, ბავშვთა სკოლა... ასეთი დაპირებებით მოევლინა ზუგდიდს გაჭირვების ჟამს საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტად ვახტანგ ნანავა. მერვე ჩემპიონატის ჩამთავრება და მეცხრესთვის მზადება — ეს იყო მისი უახლოესი გეგმა.

ძველი ფეხბურთელების წასვლა და ახლებით კლუბის გაძლიერება, მწვრთნელის შევლა — ასე შეხვდა „ოდიში“ მეცხრე ეროვნულს და შედეგიც გამოჩნდა. ზუგდიდელებმა სეზონი ისე დაიწყეს საქართველოში, ბევრ ტიტულოვან გუნდს შეშურდებოდა და პირველი წრეც, გარდა ზოგიერთი ჩავარდნისა, ღირსეულად ჩაამთავრეს. ამის მერე კი... წაგება შინ და გარეთ, ფეხბურთელთა და ტექნიკური პერსონალის უკმაყოფილება ხელფასებთან და პრემიებთან დაკავშირებით, გაურკვეველი მდგომარეობა და საბოლოოდ მეხუთე ადგილი სატურნირო ცხრილში.

და როცა ყველას ეგონა, რომ ეს დროებითი ფინანსური ჩავარდნის ბრალი იყო და გუნდი ახალი სეზონისთვის კარგად მოემზადებოდა, გაირკვა, რომ „ოდიშის“ საქმეები უკან მიდიოდა. ივნისიდან კი კრიზისმა პიკს მიაღწია. გუნდი ფაქტობრივად უპატრონოდ დარჩა. გაქრა პრეზიდენტი, გუნდი დატოვა თითქმის ყველა ფეხბურთელმა და „ოდიში“ ფარმ-კლუბის ამარა დარჩა, ასეთი შემადგენლობით კი ახალ სეზონში ცუდი სტარტი აიღო.

ამასობაში კლუბის ხელმძღვანელობა ცდილობს, როგორმე დაუკავშირდეს პრეზიდენტ ნანავას და დაელაპარაკოს მომავლის შესახებ. პრეზიდენტი ჰპირდება, რომ მალე ყველაფერი რიგზე იქნება. ხოლო გუნდის მწვრთნელად სოსო ჭედიას დანიშვნის შემდეგ კონკრეტული რიცხვიც ითქვა. პრეზიდენტი ზუგდიდში 5 სექტემბერს უნდა ჩამოსულიყო. ეს დაადასტურა ვახტანგ ნანავას წარმომადგენელმაც — თემურ ლაგვილავამ. ამის მერე ისევ ვადის გაწელვა ჯერ ხუთი, შემდეგ ათი დღით და ბოლოს ოქტომბრის ბოლომდე. ამ დროს კი გუნდის დავალიანება ყოველდღე მატულობს და საბოლოოდ კატასტროფულ შედეგს აღწევს. შეპირება კი შეპირებად რჩება და მდგომარეობა არ შეცვლილა.

უთავკაცოდ დარჩენილი გუნდი პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა გენო ქარდავამაც მიატოვა. აბა ჰე, მშვიდობითო და სწფ საპრეზიდენო არჩევნების წინა დღეებში ბედის საძიებლად თბილისში გაემგზავრა. ასე შერჩა „ოდიში“ სოსო ჭედიას და ჯემალ გოგიას უამრავ პრობლემასთან ერთად. სოსო ჭედიას მთავარი მწვრთნელის ფუნქციებთან სხვა საქმეთა შეთავსებაც მოუხდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მერია ყოველგვარ შესაძლებელ დახმარებას უწევდა გუნდს, ეს მაინც ზღვაში წვეთი იყო. მწვრთნელს უწევდა ყველა წვრილმან და მსხვილმან საკითხზე ზრუნვა. ხელფასები და პრემიები კი არა, მსაჯებისთვის გადასახდელი ფულიც კი სანატრელი გაუხდათ.

აქ კი აევსოთ მოთმინების ფიალა ზუგდიდის ფეხბურთის მესვეურებს და რამდენიმე ხნის წინ შეპირებული გადაწყვეტილება აღასრულეს. ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციამ სასამართლოში სარჩელი აღძრა ვახტანგ ნანავას წინააღმდეგ. თუმცა ამასაც გამოუჩნდა ზოგიერთი ღია თუ ფარული მოწინააღმდეგე, მაგრამ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და უკან დახევას არავინ აპირებს.

ნანავას მოწინააღმდეგეთა აზრით არ შეიძლება ზუგდიდი და ერთადერთი საფეხბურთო გუნდი, რომელიც მთელ ქალაქს ეკუთვნის ერთ ან თუნდაც ორ პიროვნებას გადააყოლონ. სასწრაფოდ უნდა მოიძებნოს კაცი, ვინც უპატრონებს, ხელს მოჰკიდებს და სამშვიდობოს გაიყვანს დაღუპვის და დაშლის პირას მდგარ გუნდს. ახლა სჭირდება გუნდს მხარში ამოდგომა.

P.S. „ოდშიმა“ ფოთში 1:5 წააგო. თითქოს არავის უნდა გაჰკვირვებოდა. ან რა იყო გასაკვირი? ევროტურნირის საგზურისთვის მებრძოლმა გუნდმა გაანადგურა დაშლის პირას მდგარი გუნდი, მაგრამ მთავარი ეს არაა. იმ დღეს ისე წავიდა საქმე, ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. ლევან ფანიაშვილი კი ის მსაჯია, რომლის „დახმარებით“ „ოდიში“ ყოველთვის დაიჩაგრა. ზუგდიდელები მოითხოვენ, რომ ფანიაშვილი, „რომელმაც მსაჯობა არ იცის“ (სოსო ჭედიას სიტყვებია), მათ თამაშს აღარ გააკარონ.

**თენგიზ ქოჩუა ზუგდიდან**

# იმედისმომცემი გურამანი

საქართველოში იმედისმომცემ ფეხბურთელებს რა გამოლევს. იზრდებიან პატარები, ახალგაზრდულ ასაკამდე კარგად თამაშობენ, მერე კი იკარგებიან. ზოგს ნებისყოფა ღალატობს, ზოგსაც მწვრთნელმა აუყარა ფეხბურთზე გული, ბევრი ვარსკვლავური სენით დაავადდა, ყვინჩილამ მამლობა მოინდომა და ფეხბურთიდანაც უსახელოდ გაქრა.

სხვათა შორის, ამ ავადმყოფობით არაერთი დამწყები ფეხბურთელია ავად. ჯერ ხეირიანად ბურთის გორება არ დაუწყიათ და უკვე ცხვირაბზეკილები დაიარებიან. ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად.

ჩვენდა საბედნიეროდ, ყველა ასეთი როდია. არიან პატიოსანი, თავმდაბალი ახალგაზრდებიც. დღეს ერთერთ მათგანზე ვისაუბრებთ. ის ბიჭი ალექსანდრე კაიდარაშვილი გახლავთ. როცა ინტერვიუზე შევუთანხმდით, ცოტა გაიკვირვა, ჯერ ისეთი რა გამიკეთებია, ინტერვიუები ვარიგოო.

ახალგაზრდა ამდენს რომ ხვდება, მისგან ადამიანიც დადგება. ინტერვიუც არ შედგა. უფრო სწორად იყო გულახდილი საუბარი წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. ალეკოს ფიქრებს ქვემოთ შემოგთავაზებთ, მანამდე კი გორელი ფორვარდის ავ-კარგზეც ვთქვათ.

კაიდარაშვილს დრიბლინგი არ დაეწუნება, თავით კარგად თამაშობს. აქვს ძლიერი დარტყმა. იცის ბურთის დაჭერა და კარის სიახლოეს მოტრიალე მცველებისთვის მეტად სახიფათოა.

ახლა ნაკლზეც ვთქვათ. ფიზიკურად, ათლეტურად შედარებით სუსტია. უმჯობესი იქნებოდა, ორივე ფეხით ერთნაირად ურტყამდეს კარში. ახლა მეტწილად მარჯვენას ხმარობს. ზოგჯერ სიზუსტე ღალატობს. მოკლედ, სამუშაო თავსაყრელად აქვს.

„დილას“ ძირითადში ალეკო ორი წლის წინ გამოჩნდა. შარშანდელ სეზონშიც ნაყოფიერად გაისარჯა გუნდისთვის, უფრო სწორად, მეორე წრეში. თავიდან ზუგდიდური „ოდიშისთვის“ ილვწოდა. მერე სოსო ფრუიძემ დაადგა თვალი და თითქოს „ტორპედოს“ ღირსებაც უნდა დაეცვა, მაგრამ რატომღაც „დილას“ დაუბრუნდა. სწორედ მშობლიურ ქალაქში და გუნდში მოუმატა საგრძნობლად. მის თამაშში ამხელა წინსვლას არ ველოდითო, იტყვიან მწვრთნელები.

— ჩემთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა. ნორმალური მოსამზადებელი ეტაპი მჭირდებოდა და გავიარე კიდეც. ამაში დიდი წვლილი ქუთაისის „ტორპედოს“ და სოსო ფრუიძეს მიუძღვის. ერთი თვის განმავლობაში ყურადღება და ვარჯიში არ დამკლებია. ის მომზადება დღემდე მომყვება. იმედია, ზამთარშიც გვეღირსება ნორმალური მოსამზადებელი ციკლი და კიდევ მოვუმატებ.

ფეხბურთელს ვარჯიში ენატრებოდეს და ვერ ახერხებდეს, საცოდაობაა აბა, რაა. ვარჯიშით გორშიც ვარჯიშობს ალეკო, მაგრამ „დილას“ ფინანსური სიდუხჭირის ამბავი ყველას კარგად მოგვეხსენება. შეკრებებს და ნორმალურ მოსამზადებელ ციკლს ვინ ჩივის, კლუბის თავკაცებს ზოგჯერ თამაშებზე ბაზარში ნასესხები ფულით დაჰყავთ გუნდი.

მიუხედავად ამისა, გორელი ფეხბურთელები წლევანდელ სეზონში ჯერ არ „აჯანყებულან“. არადა, ადრე სულ სხვაგვარად იყო.

— მიზეზი სულ უბრალოა. ადრე „დილას“ ღირსებას გამოცდილი, ძლიერი ფეხბურთელები იცავდნენ. მათ სრული უფლება ჰქონდათ, პროტესტი გამოეხატათ, თითეულს ხომ ოჯახი ჰყავდა სარჩენი. თანაც გუნდის წინაშე ვალიც პირნათლად მოიხადეს. სხვა გუნდებშიც უკეთესი პირობებისთვის წავიდნენ.

ახლა „დილას“ ძირითად ბირთვს ახალგაზრდა, დამწყები ფეხბურთელები ვქმნით. ფული განა ახალგაზრდას აწყენს, მაგრამ როცა შენსას დაამტკიცებ, მერე მოთხოვნის უფლებაც ორმაგად გექნება.

ადრე „დილა“ ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ვეტერანები ცალკე იყვნენ, ახალგაზრდები — ცალკე. ყველას თავისი გასაჭირი აწუხებდა. ამჟამად გუნდი ერთი იდეით ცხოვრობს, ერთ მუშტადაა შეკრული და ადრინდელთან შედარებით გაცილებით ბრძოლისუნარიანებიც გავხდით. შედეგიც სახეზეა. ზემოდან ვერავინ დაგვხედავს. „დილას“ ეროვნულ ჩემპიონატში ნებისმიერი გუნდის გამწარება ძალუძს. მთავარია, შენთებული ცეცხლი არ განელდეს და გუნდი მთლად ღვთის ანაბარა არ დატოვონ.

ფეხბურთში გულშემატკივარი ბევრს ნიშნავს. ჩვენში ჩამოყალიბებული ორგანიზებული ფანური ინსტიტუტი, ალბათ, კიდევ კარგა ხანს არ იქნება, თუმცა „დილას“ ფეხბურთელებს უგულშემატკივრობა არც უგრძვნიათ.

— საოცარი გულშემატკივარი გვყავს. ალბათ, ობიექტურიც. თამაშზე თავს არ დაზოგავენ, ხმის ჩახლეჩამდე გვქომაგობენ. მათი მხარდაჭერა დიდ სტიმულს გვაძლევს. თუ შეგატყვეს, არ იბრძვი და ყალთაბანდობ, მაშინ არ დაგზოგავენ. ქუთაისშიც ჩინებული ქომაგობა იციან, მაგრამ ზუგდიდის დარი გულშემატკივარი ჩვენში არ მეგულება. იქ გუნდი და ქომაგი განუყოფელი ნაწილია, ერთი სიხარულით ხარობენ და ერთი სატკივარი აწუხებთ. „ოდიშია“ მათი საფიქრალი.

კაიდარაშვილი გარკვეულწილად უბედო ფეხბურთელადაც შეგვიძლია მოვნათლოთ. ინებებენ ახალგაზრდული გუნდის თავკაცები მის გამოძახებას, შეკრებაზე წაიყვანენ, თითქოს გარდუვალია მისი მოედანზე გასვლა, მაგრამ ვარჯიშზე აუცილებლად რაღაც მოხდება, ტრავმა არ ასცდება...

— ალბათ, ასე დამებედა. ადრე იყო და ზურგი ვიტკინე, ახლა ლატვიასთან თამაშის წინ ფეხი ვიღრძე. იქიდან გამოყოლილი ტრავმა ახლაც მასვ?ენებს იძულებით. სანამდე გაგრძელდება ასე, არ ვიცი, მაგრამ იმედია, ღმერთი მოწყალე თვალით გადმომხედავს და ნაკრებში თამაშის საშუალებაც მომეცემა.

ვისაც მინდორზე კაიდარაშვილი უნახავს, ის დაგვეთანხმება, რომ ალეკო წყნარი, თავის საქმის უსიტყვოდ მკეთებელი ბიჭია. არავის უნახავს მსაჯთან მოკამათე და ამრევი. მიუხედავად ამისა, სამი გაფრთხილება მაინც მიიღო 12 ტურში.

— იმ სამიდან ერთი ნამდვილად მეკუთვნოდა. ბრძოლაში თავი ვერ მოვთოკე და ვიუხეშე. დანარჩენი ორი რისი გულისთვის დავიმსახურე, დღესაც არ ვიცი. მსაჯთან არ მიკამათია, შეგინებაზე ხომ ზედმეტია საუბარი. საერთოდ, არბიტრებთან ურთიერთობისას მხოლოდ ერთი პრინციპით ვხელმძღვანელობ — მსაჯმა ერთხელ თუ ჩასტვინა, მერე არაფრით გადათქვამს, ამიტომ მათთან კამათსაც, ჩემი აზრით, ნერვების შლისა და დავიდარაბის მეტი არაფერი მოაქვს.

ფეხბურთელთა უმრავლესობას საქართველოს ჩემპიონატის დონე არ აკმაყოფილებს. ყველას გაქცევაზე უჭირავს თვალი. ბუნებრივია, უცხოეთში თამაშის სურვილი კაიდარაშვილსაც გააჩნია, მაგრამ...

— ჯერ საქართველოში რა გავაკეთე, საზღვარგარეთ რომ გავიქცე. მე, როგორც ფეხბურთელი, ჯერ საქართველოშიც გავიზრდები. რომ დავადო თავი და მოგზაურობა დავიწყო, ფეხბურთი როდის ვითამაშო. კარგით, ვთქვათ, წავედი და გავახერხე ან გამიხერხეს რაღაც გუნდი, იქ სკამის სახეხად ხომ არ ჩავალ. წამსვლელი ფეხბურთელი გამოცდილიც უნდა იყო და მომზადებულიც. მაგის დროც მოვა. ფეხბურთს წინსვლისთვის ვთამაშობ და არა გასართობად.

ძნელია, ახლა რამე იწინასწარმეტყველო. ჩემპიონატში მდგომარეობა დაიძაბა. „დინამო“ ვერ არის ძველებურად ძლიერი. ის კი არა, კიკნაძე და ცქიტიშვილი თუ წავიდნენ, უფრო დასუსტდებიან. „ტორპედოც“ თითქმის დაშლის პირზეა. მეორე წრეში დაძაბული თამაშები იქნება, კონკურენცია იზრდება. მართალია, საერთო დონე დაბალია და გუნდები კლასით თითქმის გათანაბრდნენ, მაგრამ ბრძოლასა და კონკურენციაში დონეც ამაღლდება. მოკლედ, საპრიზო ადგილებისთვის არაერთი გუნდი იბრძოლებს.

მეტიც რა უნდა ეთქვა ჯერაც დამწყებ ფეხბურთელს, რომელმაც კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი უნდა ისწავლოს. გვსურდა, ეს წერილიც მხიარულ ნოტაზე დაგვესრულებინა და ამიტომ ალეკოს მის გაძლიერებულ მადაზე გადავუკარით სიტყვა. მეგობრებიც ხომ ხშირად ეხუმრებიან-ხოლმე. ის კი არა რამაზ სოლოღაშვილი ზოგჯერ მუცელასაც კი ეძახის.

— კაცი უჭმელად ძლებდეს, თუ გინახავთ. სალაპარაკო დაელიათ და ვითომ მაჯავრებენ. დასამალი რა უნდა იყოს. ვჭამ საკმაოდ, გამორჩეული კერძებიც მაქვს, მაგრამ დიდი წუნიაც არ გახლავართ. „შემახერამ“ ჯობს ის თქვას, ზუგდიდში ერთი ლუკმა რომ მოციცქნა და დასაჭერი შექნა. მე და გიო რევაზიშვილმა ძლივს დავაკავეთ. ოდიშური წიწაკა ვერ აიტანა. არადა, უსაშველოც არაფერი იყო. დანარჩენები სიამოვნებით მივირთმევდით მეგრულ კერძებს.

რაც მართალია, მართალია, ჭამაზე უარი არასდროს მითქვამს.

ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ეცინებოდა ალეკო კაიდარაშვილს. ალალად თქვა სათქმელი, ალალად აკეთებს საქმესაც. ალეკომ თუ მოინდომა, თუ იშრომა, ფეხბურთელიც კარგი დადგება.



ალეკო კაიდარაშვილის დაჭერა ხუმრობა საქმე როდია

**მამუკა ქვანტალიანი**

# რუსთავსა და რიგას შორის

ლაშა სილაგაძეს ლატვიის ვიზის ვადა გაუთავდა და მშობლიურ კლუბს, რუსთავის „გორდას“ დაუბრუნდა. იგი სეზონის წინ რეზო ძოძუაშვილის ინიციატივით თავის უფროსი ძმის — ლევანის გზას დაადგა და ბედის საცდელად რიგის „სკონტოს“ მიაშურა. თუმცა მიხიჩას ვარაუდი, ძმების დუეტი ლატვიის ჩემპიონის დაცვას გააძლიერებსო, არ გამართლდა. ლაშა მხოლოდ „სკონტოს“ ფარმ-კლუბში გადიოდა წვრთნას და ზემოთ ნახსენები მიზეზის გამო კვლავ „გორდას“ შეუერთდა. ლაშა სილაგაძე პირველ წრეს რუსთავში ჩაამთავრებს და იანვარში „სკონტოსთან“ მოლაპარაკების გასაგრძელებლად კვლავ რიგას წავა.

**ბაადა ქვანტალიანი**

# დარბაზის მტვერიც ტკბილია

გუშინ საქართველოს ნაკრები მინი-ფეხბურთში, იტალიას გაფრინდა. ამ ქვეყნის სამხრეთით მდებარე ქალაქ რეჯიო დი კალაბრიაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირი ტარდება. II ქვეჯგუფში ქართველებთან ერთად მასპინძლები, ფრანგები და ბელარუსები იასპარეზებენ. ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების დასკვნით ეტაპზე ითამაშებს. კონტინენტის პირველობა იანვარში ესპანეთში გაიმართება, მსოფლიოს ჩემპიონატს კი მომავალი წლის ნოემბერში ბრაზილია უმასპინძლებს. ქართველი დარბაზის მობურთალნი ამ ტურნირისთვის სრულფასოვნად მომზადებულან და წარმატების იმედიც აქვთ. პირველ შეხვედრას ისინი ჩაატრებენ ფრანგებთან, 8 ნოემბერს მასპინძლებს დაუპირისპირდებიან, ორი დღის შემდეგ კი ბელარუსებს შეხვდებიან.

იტალიის ნაკრებთან ქართველებს ადრეც უთამაშიათ, წინა შესარჩევ ციკლში მათთან 1:2 დამარცხდნენ და დასკვნით ეტაპზე თამაშის უფლებაც მეტოქეს გადაულოცეს.

რეჯიო დი კალაბრიას ქართველები იმედიანად კი გაფრინდნენ, მაგრამ მათი წასვლა ბოლო წუთამდე საეჭვო იყო. თანხა, რომლითაც სფფ-ს „პატარა ფეხბურთის“ ასოციაცია უნდა დაეფინანსებინა, მინიფეხბურთელთა ანგარიშზე დროულად არ აღმოჩნდა გადარიცხული თანხა, თუმცა ბოლოს ყველაფერი მოგვარდა, თორემ ტურნირზე წაუსვლელობის შემთხვევაში ჩვენებს გვარიანი ფულადი ჯარიმის გადახდაც მოუწევდათ.

**ბაადა ქვანტალიანი**

# კიკნაძე მიდის და... მართალია

ერთხელ არიგო საკის უთქვამს, ჩემს მიერ გაწვრთნილი ფეხბურთელებიდან სამს — ანჩელოტის, ვან ბასტენს და გულიტს შეუძლიათ გახდნენ მწვრთნელებიო.

იცოდა ამ ჭკვიანმა კაცმა, რასაც ამბობდა. სამივე ზემოჩამოთვლილ ფეხბურთელს სხვათაგან აზროვნების ნიჭი, მოედანზე გამჭრიახი გარჯა გამოარჩევდათ და ხომ მართალია, რომ მოაზროვნე ფეხბურთელს მეტის შანსი გააჩნია მწვრთნელობისა.

მოაზროვნე ფეხბურთელს კარიერის ჭკვიანად გამოყენების მეტი შანსიც აქვს.

კარიერასთან ერთად არსებობს მედლის მეორე მხარეც — ცხოვრება. ფეხბურთელის ცხოვრება კი მის კარიერაზე არანაკლებ ინტერესებს გულშემატკივარს. ჰოდა, მოაზროვნე, ჭკვიანი ფეხბურთელი ცხოვრებაშიც მეტწილ ჭკვიანურად ირჯება- ხოლმე სხვათაგან განსხვავებით, იცის სად რა თქვას, ვისთან როგორ მოიქცეს.

ამოდენა შესავალი გიორგი კიკნაძესთან ინტერვიუსთვის დაგვჭირდა. გიორგი კიკნაძე — მოაზროვნე ჭკვიანი ფეხბურთელი მოედანზე და გიორგი კიკნაძე, უბრალოდ, ჟორიკა — ყურადღებიანი, ფიქრიანი, კარგი კაცის სახელის მქონე ცხოვრებაში.

ეს კი — კარგი კაცის სახელი — ბევრს ნიშნავს, კარგ ფეხბურთელობაზე მეტს.

კიკნაძის ინტერვიუ კი იმად დაგვჭირდა, რომ იგი „დინამოდან" წასვლას ეშურება.

ეს ათასში იმ ერთი შემთხვევათაგანია, როცა აუგის სათქმელად სიტყვას ვერ დაძრავ კაცი. მოიხადა ამ ოცდაორი წლის ბიჭმა თავისი ვალი „დინამოს", ეროვნული ჩემპიონატის წინაშე, დასახარჯი ბოლომდე, უშურველად დახარჯა ამ ეტაპზე და ახლა სწორედ რომ უნდა წავიდეს.

სხვანაირად გიორგი კიკნაძე-ფეხბურთელი ველარ გაიზრდება.

ეს კი ტრაგედია იქნება მისთვისაც და ქართული ფეხბურთისთვისაც, რომელსაც ახლა ძვირად უღირს ნიჭიერი მოთამაშენი.



გიორგი კიკნაძე შალვა ხუჯაძის მსგავსად უცხოეთს ეშურება

— მოგეხსენებათ, სეზონის წინაც ვაპირებდი საზღვარგარეთ წასვლას, მაგრამ გავითვალისწინე გუნდის, მისი ხელმძღვანელობის ინტერესები. წინ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები გველოდა. რითაც შემეძლო, დავეხმარე გუნდს, ახლა კი წასვლა გადავწყვიტე.

წასვლით კი ბელგიურ „მეხელენში" ეშურება გიორგი კიკნაძე. „მეხელენი" ამჟამად ბელგიის ჩემპიონატის მეორე ლიგაში გამოდის, არადა, ტრადიცია გაგიხარიათ, განა (ჩვენი არ იყოს). ამ ეტაპზე უკეთესი ვარიანტი არც უძებნია გიორგის, მთავარია ის, რომ ბელგიური მეორე ლიგის დონის ეროვნული ჩემპიონატის დონესთან შედარებაც არ შეიძლება, კონკურენციაც გაცილებით მაღალი მოელის იქ და ერთიც სათქმელია — „მეხელენი" ხომ ტრამპლინად სჭირდება კიკნაძეს, რათა ჯერ იქ დაამტკიცოს თავისი შესაძლებლობები და მერე გაცილებით მაღალი რანგის გუნდებში.

— არ დავივიწყოთ ისიც, რომ ნოემბრიდან „მეხელენის" მწვრთნელი დავით ყიფიანი გახდება. კაცი, რომელსაც დიდი ამაგი აქვს ჩემზე. იგი მეხმარებოდა არამარტო როგორც ფეხბურთელს, მორალურადაც გვერდით მედგა და ეს მაშინ, როცა საერთოდ ფეხბურთზე თავის დანებებას ვაპირებდი. ოპერაციის გაკეთების შემდეგაც არ დავვიწყებივარ ყიფიანს და დღემდე რომ ფეხბურთს ვთამაშობ, გარკვეულწილად მისი დამსახურებაცაა.

ახალ გუნდში ფეხბურთელის მისვლას ყოველთვის ახლავს სიძნელეები. ახალი გარემო, ახალი პარტნიორები და, რაც მთავარია, ახალი მწვრთნელი, რომელიც არავინ იცის, რა თვალზე შეხედავს ახალმოსულს.

— ამანაც ითამაშა დიდი როლი იმაში, რომ ბელგიაში წასვლა გადავწყვიტე. რაც უნდა იყოს, ვიცი, ვინ არის დავით ყიფიანი და მანაც იცის, რა შემიძლია. გამორიცხული არაფერია. ვინ იცის, მწვრთნელის როგორი მხარდაჭერა დამჭირდეს და, რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში ჯობს იგი ნაცნობი იყოს. მჯერა, ყიფიანი გვერდითაც ძველებურად დამიდგება.

ზემოთ ვთქვით, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის შემორჩა „დინამოს" კიკნაძე. იმ მატჩებში კი ჩვენმა ჩემპიონმა მეტად სხვადასხვაგვარი თამაში გვაჩვენა — „ვლაჟნია", მერე „ატლეტიკი", ბოლოს „ტილბურგი".

— ბილბაოელებთან თამაშის წინ რალაცნაირ ფსიქოლოგიურ თავისუფლებას ვგრძნობდით ყველანი — ფეხბურთელებიც და მწვრთნელიც. მოგებით შეიძლება ყველას მოუგო, წაგებით კი... ჩვენი საკლუბო ფეხბურთის დონიდან გამომდინარე, „ატლეტიკთან" მარცხი ტრაგედია არ იქნებოდა. ეს განწყობა ძლიერ დაგვეხმარა „ატლეტიკთან" საშინაო მოგებაში. ამის მერე იყო ბილბაოში გასვლაზე თამაში, სადაც იმდენად ღირსეულად გამოვედით, თვითონვე გაგვიკვირდა... ის ასპროცენტიანი საგოლე მომენტი რომ არ გამეშვა ხელიდან, ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ყველაფერი... თუმცა ისიც სათქმელია, რომ ბილბაოს უნდა გაემარჯვა და ასეც მოხდა... „ვილემ II"-თან დაკავშირებით, განსაკუთრებით ესპანელებთან თამაშის შემდეგ, ისეთი აზრი შეიქმნა, თითქოს აუცილებლად უნდა მოგვეგო. გამოჩნდა, რომ ტილბურგელები არაფრით იყვნენ ჩვენზე ნაკლები, პირიქით, გვჯობდნენ კიდეც. ამ გუნდმა თავისი სიძლიერე ჰოლანდიის ჩემპიონატის ლიდერებთან მატჩებშიც დაამტკიცა. მართალია, 3:0 თითქოს არ უნდა წაგვეგო, მაგრამ...

მართალია გიორგი კიკნაძე. „დინამოს" შეეძლო 0:3 არ წაეგო „ტილბურგთან". ჰოლანდიელებმა ათლეტიზმით აჯობეს ჩვენს ჩემპიონს. „ტილბურგმა" მიახრჩო „დინამო". ბევრი რამაა დამოკიდებული შემსრულებლებზე, მაგრამ უფრო მეტი — ტაქტიკაზე.

— მგონია, უფრო არასწორი ტაქტიკის ბრალი იყო ტილბურგელებთან ჩვენი მარცხი. სხვანაირად ფეხბურთელების დონით ასე აშკარად ვერ გვაჯობებდნენ. კიდევ ვიმეორებ, 0:3 არ უნდა წაგვეგო. მაგრამ აქ ალბათ, ისევ ფსიქოლოგიამ ითამაშა თავისი როლი. ჩვენ აღარ გვქონდა ის თავისუფლება, რაც ბილბაოელებთან მატჩის წინ. უფრო შებოჭილები ვიყავით და ამან დაღი დაასვა ჩვენს თამაშს.

მანამდე კი, სანამ ტილბურგელების ან ბილბაოელების წინააღმდეგ მოუწევდა გიორგი კიკნაძეს თამაში, იყო ჩვეულებრივი ბავშვთა სკოლა, ხან ერთ, ხან მეორე გუნდში გამოსვლა, ეროვნული ჩემპიონატის დაწყებას გიორგი „ლოკომოტივის" ბავშვთა გუნდში შეხვდა, მერე კი თხუთმეტი წლისა „მერანში" გადავიდა...

— ერთ ხანს ზესტაფონის „მარგვეთში" ვაპირებდი გამოსვლას, მაგრამ ამასობაში „დინამოში" მიმიწვიეს და, რა თქმა უნდა, იქ დავიწყე თამაში. ეს ძოძუაშვილის დროს მოხდა. ჩემს მისვლას ძოძუაშვილის წასვლაც თან დაერთო, გუნდში გივი ნოდია მოვიდა და ჩემი კარიერაც ფაქტობრივად აქედან დაიწყო.

— რომ ვთქვა, არაფერიო, არ ვიქნები მართალი. პირიქით, ბევრი მომცა და ძალიან ბევრიც. ვინც ჩემს თამაშს თვალს ადევნებდა, მისთვის აშკარა იყო, როგორ მოვუმატე პირველი ორი-სამი სეზონის განმავლობაში. აი, მერე კი როგორღაც შეჩერდა ჩემი ზრდა. ამაზე, ეტყობა, ჩემმა ჯანმრთელობამაც იქონია გავლენა, როცა თვალების ოპერაცია გავიკეთე, ფაქტობრივად წელწადნახევარი გამიცდა. ამის შემდეგაც შეიძლებოდა პროგრესი განმეცადა ნორმალურ პირობებში, მაგრამ დაახლოებით მეოთხე ჩემპიონატიდან ისე დაეცა ეროვნული ჩემპიონატის დონე, აქ ვერანაირად ვერ ვუმატებდი. ფეხბურთელს ზრდისთვის ელემენტარული საფეხბურთო პირობები სჭირდება. ვთვლი, რომ ჯერაც ახალგაზრდულ ასაკში ვარ, ასე თუ ისე. და სანამ დროა, უნდა მივხედო ჩემს მომავალს. ეს კი უნდა გავაკეთო ახლავე, რათა ერთი დღეც კი არ დავკარგო.

ფეხბურთელის კარიერას, რაგინდ მოკლევადიანიც უნდა იყოს, ახასიათებს კულმინაციური მომენტები — სიხარულისა და მწუხარებისაც.

— ჯერ არ განმიცდია იმაზე დიდი სიხარული, იტალიის ახალგაზრდული ნაკრების დამარცხებამ რომ მომანიჭა. ეს ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩემი ფეხბურთელობის მანძილზე. წყენით კი ბილბაოელებთან გასვლაზე წაგება მეწყინა ძლიერ. ახლაც არაერთხელ ალვიდგენ ხოლმე გონებაში იმ ასპროცენტიან საგოლე მომენტს, მე რომ მქონდა. ის გოლი რომ გამეტანა...

გაცაევისეული ახალგაზრდული ნაკრები საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) ნათელი წერტილია. საქმე იმაშია, რომ ამ გუნდში ჩანდა ყველაფერი ის, რითაც ლამაზია ფეხბურთი — ერთიანი, გუნდური სული, პროგრესი, მწვრთნელის ხელი და, რაც მთავარია, შედეგი. წლები გადიან და ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელები პირველ ნაკრებში იწყებენ გამოსვლას. გუცაევი ახლა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელია. დღევანდელი ეროვნული ნაკრები კი ვერანაირად ვერ ამართლებს მოლოდინს. არადა, თითქოს ყველაფერს ხელი უნდა შეეწყო მისთვის.

— რაღაც აკლია ჩვენს ნაკრებს. თითქოს ფეხბურთელებიც, შემადგენლობაც ნორმალური ჰყავს, მეტოქეებიც არც ისე ძლიერი, ჯგუფური სატურნირო სიტუაციაც სასურველი, მაგრამ... ისევ ვიმეორებ, რაღაც აკლია ჩვენს ნაკრებს და რა, ვერ ვხვდები. არც ასეა საქმე, ახლა რომ იძახიან, ნაკრებში კლანებიაო და ასე შემდეგ. ამ მხრივ არავინ გრძნობს თავს დაჩაგრულად, ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით ასე ჩანს და გულში ვინ რას ფიქრობს, ვის რა აზრი აქვს, ვერ გეტყვით. თუმცა ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანია, ჯგუფიდან გასვლის შანსი კიდევ დარჩა, თუნდაც გადათამაშებაში გასვლის შანსი და ეს აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ორი ცუდი თამაშის გამო ყველაფერზე ხაზის გადასმა არ შეიძლება, ალბათ, დამეთანხმებით ამაში, ისევ მომავლის იმედად უნდა ვიყოთ. ალბათ, მწვრთნელებიც ახლებურად შეხედავენ სანაკრებო სიტუაციას, შეაფასებენ ყველაფერს და მჯერა, სწორ დასკვნებსაც გააკეთებენ.

გიორგი კიკნაძეს არაერთ მწვრთნელთან მოუწია მუშაობამ — ნოდია, ყიფიანი, გუცაევი, ხურცილავა — ეს ის დამრიგებლები არიან, რომლებიც ფაქტობრივად სამწვრთნელო ამინდს ქმნიან საფეხბურთო საქართველოში. რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ფეხბურთელი, მას მაინც ყოველთვის სჭირდება მწვრთნელის ხელი. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ყველა მობურთალს სხვებზე მეტად ერთთან უჯობს მუშაობა.

— მე მიმუშავია გუცაევთან. ის საქმის მცოდნე, პროფესიონალი კაცია. მას, ისევე როგორც საერთოდ ყველა მწვრთნელს, თავისი აზრი გააჩნია ფეხბურთზე. დამტკიცებით კი ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობით მან უკვე დაამტკიცა, რა შეუძლია.

სხვების დონეს და კლასს არ ვაკნინებ, მაგრამ ჩემს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში დავით ყიფიანმა დაიდო ლომის წილი და ამდაც გამოვყოფდი მას სხვებისგან. დავით ყიფიანს ჩემზე უდიდესი ამაგი აქვს.

როცა ნაკრებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ნებისმიერი ნაკრები სახეა თავისი ქვეყნის ფეხბურთისა. ერთია, რომ ჩვენი ნაკრების თამაშის ხარისხი არ გვაკმაყოფილებს და მეორეც ის, რომ უკიდურესად გაჭირვებაშია ჩვენი საკლუბო ფეხბურთი და მეტად დაბალია ეროვნული ჩემპიონატის დონე.

— ეროვნულ ჩემპიონატს ერთი რომელიმე კაცის რეცეპტი ვერ უშველის. თუმცა ჩემეული პოზიცია მეც გამაჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით და ვფიქრობ, რომ გამოსავალი ალბათ, მაინც პირველი ჯგუფის გუნდების რიცხვის შემცირებაშია. პირველ ჯგუფში ათი გუნდი უნდა გამოდიოდეს და ქვეყანაში დარჩენილი ძლიერი ფეხბურთელები მათში უნდა გადანაწილდეს. ამის შემდეგ საქმეს უსათუოდ ეშველება. ქვეყნის ეკონომიკური მხარეც არ უნდა გამოვრიცხოთ, ფეხბურთი ხომ ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის საერთო მდგომარეობაზე.

გიორგის პრესაზეც გააჩნია თავისი შეხედულება: — პრესა, პირველ ყოვლისა, ობიექტური უნდა იყოს, არ უნდა ვარდებოდეს უკიდურესობაში. კი, კრიტიკაც საჭიროა, მაგრამ არა ტენდენციური. პრესამ სასარგებლოდ უნდა იმოქმედოს ფეხბურთელზე, ზოგჯერ უნდა წაახალისოს კიდეც და როცა აკრიტიკებს, იმდენად პროფესიონალურად უნდა მოახერხოს ეს, რომ ფეხბურთელი მსუბუქად გაღიზიანდეს, მაგრამ ნერვები არ მოეშალოს. ნერვებმოშლილი კაცი მოედანზე ვერ ივარგებს, ეს პირადად ჩემს თავზე გამომიცდია. როცა მაქებენ, იმას ვფიქრობ, უკეთ და უკეთ ვითამაშო. გაღიზიანებულიც ასევე, სიძლიერის დამტკიცებას ვცდილობ, მაგრამ ნერვებმოშლილი ვერაფერს ვახერხებ.

დაბოლოს, ჰობი და ოჯახი. კიკნაძესაც ჰქონია ჰობი — მთელი დღე შემიძლია ფილმებს ვუცქირო, ოღონდ კარგ ფილმებსო — გვიპასუხა. ოჯახი კი... ოჯახი ის ადგილია, სადაც ყველაზე დიდ დასვენებას და შვებას პოულობს ხოლმე გიორგი კიკნაძე — დედა, მეუღლე, პატარა შვილი და მშვიდი, სასიამოვნო ატმოსფერო. ამიტომაცაა, ალბათ, იშვიათად რომ გვინახავს გიორგი ნერვებმოშლილი და წყობიდან გამოსული. ყველა კაცი ხომ ელჩია თავისი ოჯახისა.

ბელგიაში კი ქართული ფეხბურთის ელჩი იქნება გიორგი კიკნაძე. წავა და ქართული ფეხბურთის მადლსა და ჯიგარს აჩვენებს ბელგიელ მაყურებელს.

წავა და მართალიც იქნება. მან ხომ ერთგულად, კაცურად მოიხადა ვალი „დინამოს" და ეროვნული ჩემპიონატის წინაშე.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

---

## 10 ტური

IX ტურის გამოტოვებული მატჩები

### დასავლეთი, „ა" ქვეჯგუფი

1 ნოემბერი

**სამგურალი 2 1:0 რიონი**

1:0 კობერიძე (23)
გაფრთხილება: მანაგაძე (სამგურალი 2), თოდაძე (რიონი)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

2 ნოემბერი

**იბერია 2 3:0 მაღაროელი**

1:0, 2:0 ნ. გიორგაძე (25, 57), 3:0 რ. ცომაია (65)
გაფრთხილება: ქაშაკაშვილი (მაღაროელი)
მსაჯი: ს. შალამბერიძე (თბილისი)

**სულორი 2:1 მეშახტე**

1:0 ნიკოლეიშვილი (20), 2:0 გიზო ბრეგვაძე (32), 2:1 კალატოზი (39)
გაფრთხილება: ორმოცაძე, ბუხაიძე, (ორივე სულორი), კალატოზი, ჩიტიძე (ორივე მეშახტე)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**ოკეანე 1:1 ჩიხურა**

1:0 ზ. ხელაძე (3), 1:1 ჭილლაძე (17)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

**გაგრა 1:0 საირმე**

**რაჭა 3:4 მარგვეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 9 | 8 | 1 | 0 | 26:8 | 25 |
| მარგვეთი | 9 | 7 | 2 | 0 | 29:12 | 23 |
| მეშახტე | 9 | 7 | 0 | 2 | 20:9 | 21 |
| სამგურალი 2 | 9 | 6 | 1 | 2 | 17:10 | 19 |
| ოკეანე | 10 | 6 | 1 | 3 | 10:10 | 19 |
| გაგრა | 9 | 7 | 0 | 2 | 19:8 | 18 |
| რაჭა | 10 | 3 | 0 | 7 | 16:20 | 9 |
| რიონი | 9 | 2 | 1 | 6 | 12:14 | 7 |
| ტორპედო 2 | 9 | 2 | 1 | 6 | 8:16 | 7 |
| ჩიხურა | 9 | 2 | 1 | 6 | 11:24 | 7 |
| საირმე | 9 | 2 | 1 | 6 | 4:15 | 4 |
| იბერია 2 | 10 | 1 | 1 | 8 | 9:24 | 4 |
| მაღაროელი | 9 | 1 | 2 | 6 | 13:24 | 2 |

*„გაგრას", „მაღაროელს" და „საირმეს" დაკლებული აქვთ 3-3 ქულა*

### დასავლეთი, „ბ" ქვეჯგუფი

3 ნოემბერი

**შუქურა 3:2 მერცხალი**

0:1 თორია (12), 1:1 ჟიჟავაძე (20), 1:2 გ. ტუღუში (58), 2:2 ჟიჟავაძე (62), 3:2 ჯუმბერ ბერიძე (87)
გაფრთხილება: თორია (მერცხალი)
გაძევება: თორია (47, მერცხალი)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**ეგრისი 0:1 ფაზისი**

0:1 მაკალათია (86)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**კოლხეთი 2 1:3 კოლხეთი**

0:1 ხურცილავა (55), 0:2 ზაზა აიანადი (68), 0:3 ხურცილავა (70), 1:3 ბურჭულაძე (90)
გაფრთხილება: ალანია (კოლხეთი)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

**სამეგრელო 0:0 სქური**

გაფრთხილება: ჭეჟია, ქარჩავა, გ. თოლორდავა (ყველა სამეგრელო), პ. გ. კვარაცხელია, ლეინჯილია, პ. ა. კვარაცხელია (ყველა სქური)
გაძევება: ბელქანია (65, სამეგრელო), დ. ჯოლოხავა (65, სქური)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სალხინო 0:2 ბახმარო**

**კოლეჯი 1:0 ოდიში 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი | 9 | 7 | 1 | 1 | 30:6 | 22 |
| სქური | 9 | 6 | 1 | 2 | 22:12 | 19 |
| ენგური | 9 | 5 | 2 | 2 | 17:11 | 17 |
| მერცხალი | 9 | 5 | 1 | 3 | 17:12 | 16 |
| ფაზისი | 9 | 5 | 1 | 3 | 13:8 | 16 |
| კოლეჯი | 9 | 4 | 2 | 3 | 12:9 | 14 |
| შუქურა | 9 | 4 | 1 | 4 | 15:17 | 13 |
| სამეგრელო | 10 | 3 | 3 | 4 | 14:13 | 12 |
| ეგრისი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:15 | 12 |
| ბახმარო | 10 | 3 | 2 | 5 | 10:20 | 11 |
| ოდიში 2 | 9 | 2 | 4 | 3 | 12:12 | 10 |
| სალხინო | 9 | 2 | 0 | 7 | 14:31 | 6 |
| კოლხეთი 2 | 9 | 0 | 1 | 8 | 4:26 | 1 |

VIII ტურის გამოტოვებული მატჩი

### აღმოსავლეთი

**მრეტები 1:3 ხალიბი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 9 | 8 | 0 | 1 | 22:5 | 24 |
| ლარწყალი | 9 | 7 | 2 | 0 | 23:8 | 23 |
| ყვარელი | 8 | 6 | 2 | 0 | 18:4 | 20 |
| არსენალი 2 | 9 | 6 | 2 | 1 | 18:7 | 20 |
| ზოოვეტი | 9 | 5 | 1 | 3 | 23:14 | 16 |
| ხალიბი | 8 | 5 | 0 | 3 | 15:11 | 15 |
| ალგეთი | 10 | 5 | 0 | 5 | 16:15 | 15 |
| კახეთი | 10 | 4 | 3 | 3 | 16:14 | 15 |
| დინამო 3 | 9 | 4 | 1 | 4 | 9:14 | 13 |
| ჭაბუკიანი | 9 | 4 | 1 | 4 | 17:14 | 10 |
| უნივერსიტეტი | | | | | | |
| იბერია | 9 | 2 | 3 | 4 | 10:13 | 9 |
| სამგორი | 9 | 1 | 1 | 7 | 8:18 | 4 |
| მრეტები | 9 | 1 | 1 | 7 | 8:22 | 4 |
| ალაზანი | 10 | 1 | 0 | 9 | 10:32 | 3 |
| ქანაგკო | 9 | 0 | 1 | 8 | 5:27 | 1 |

*„ჭაბუკიანს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

საქართველოს ჩემპიონატი 12 ტური

# ქიციცა და ქიცმაცურიც...

ყველაფერი იციან ჩვენმა გუნდებმა. ყველანაირი საფეხბურთო საიდუმლოება გაშიფრული და გაზეპირებული აქვთ ჩვენს ფეხბურთელებს, ესაა, ბურთის გორებას ვუწუნებთ, ლაზათი აკლია მათ თამაშს და შნო. არადა, სწორედ ეს უყვართ ფეხბურთში — ლაზათი და შნო, უფრო ამისთვის დადიან სტადიონზე. იმას ვამბობდით, რომ ყველაფერი იციან ჩვენმა მობურთალებმა — ზოგჯერ (იშვიათად) ჯიგარს დებენ ხოლმე მოედანზე, ზოგჯერ (ხშირად) კი ისე რა, მობეზრებულივით აგორებენ ბურთს. ერთი სიტყვით, ქიციც იციან და ქიცმაცურიც. შესაბამისად ფეხბურთის ყურებაც გვიწევს და ანტიფეხბურთისაც.

ეროვნული ჩემპიონატის მეთორმეტე ტურმა მასპინძელთა აშკარა უპირატესობით ჩაიარა, უმეტესობა მატჩებისა დამხვდურებმა მოიგეს.

ტური ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრითაც გამოირჩა. პაიჭაძეზე „დინამომ" „ტორპედო" მიიღო და უმნიშვნელოვანესი გამარჯვებაც მოიპოვა. აი, თვით თამაშს კი არაფერი ეცხო პრინციპულობის. მხოლოდ პირველ თხუთმეტ წუთში ვიხილეთ ბრძოლა მოედანზე. მერე მოვლენები ძირითადად მინდვრის შუაგულში ვითარდებოდა. ამ მოგებით „დინამომ" მდევრებთან ოთხქულიანი მარაგი შეიქმნა და შესაბამისად, მალედიანის უხეშობა უნდა დაესაჯა, ეს გამოეპარა და გინებაც მიიღო. ბარქაიას გაძევებაც ამ გინებას მოჰყვა. ასეა თუ ისე, „ოდიშმა" მორიგი შეხვედრა წააგო და სატურნირო მდგომარეობაც გაირთულა. „კოლხეთს" რაც შეეხება, ფოთელები ჩვეულად სამეულს დაუბრუნდნენ.

როგორც იქნა, გაიმარჯვა ფრეების დიდოსტატმა „გორდამაც". რუსთაველთა მსხვერპლი მათგან აქამდეც ბევრჯერ გამწარებული სამტრედიელები შეიქნენ. ხელი ისევ ვარლამ კილასონიამ გამოიღო, მან ჯერ „იბერიის" ორი ფეხბურთელი ათრია, მერე კი მცველის პასიურობით ისარგებლა და საჯარიმოს წვეროდან აულებელი დაურტყა დოლიძეს. ეს ერთი გოლიც საკმარისი აღმოჩნდა, რათა მასპინძლებს მეთორმეტე ტურში მეორე სამი ქულა ჩაეწერათ აქტივში. აღსანიშნავია ისიც, რომ ლატვიიდან „გორდას" ლაშა სილაგაძე (ლევანის უმცროსი ძმა) დაუბრუნდა და ისიც, თქმა არ უნდა, თავისებურად გააძლიერებს რუსთაველთა დაცვით ხაზს. „იბერიას" რაც შეეხება, მან კვლავ ხუჭუასადმი მიმართული გადაცემებით არჩია ფონს გასვლა, რამაც ძველებურად ვერ გამოიღო შედეგი და აკი წააგეს იმერლებმა.

თსუ უმალ მსაჯმა დაამარცხა. მან არარსებული ჯარიმით გოლი „გამოაცხობინა" „ბათუმს", მატჩის ბოლოს კი ორიოდ პენალტიც არ უწყალობა უნივერსიტეტელებს. ბედი შილაკაძისა, რომ თსუ-ს მესვეურებმა როგორღაც მოახერხეს ნერვების მოთოკვა, თორემ მორიგი „ქართული სკანდალის" მომხრენი გავხდებოდით და სადისციპლინო კომიტეტსაც საქმე მიეცემოდა. „ბათუმი" ფორმას იბრუნებს, თუმც კი სასურველისგან ზღვისპირელთა თამაში ჯერაც შორსაა. შეხვედრის განმავლობაში სტუმრებმა სახიფათო მომენტები, შეიძლება ითქვას, საკმაოდ შექმნეს, მაგრამ შარშანდელი ტრიუმფატორისგან მაინც მეტია მოსათხოვნი, ის კი არა, აჭარლებმა ჩემპიონობაც დაიქადნეს და ჩემპიონობის მოსურნეთაგან მეტს ველით.



სეხნია არჩილ სახვაძეს ჩხაბერიძემ (№3) აჯობა

რად ჩემპიონს შეუძლია მშვიდად იყოს.

ბოლნისში სპარტაკ არჩვაძის ახალმა გუნდმა ძველი დაამარცხა, ბოლნისელებმა პირველივე ტაიმში მოამთავრეს საკეთებელი. ჯაგიდისმა პენალტით, მოსეშვილმა კი პირისპირ გასვლით ორი უპასუხო ბურთი გაუტანეს ვეტერინარებს და ამის მერე „სიონმა" ძირითადად ანგარიშის შენარჩუნებაზე ითამაშა. ვიტ ჯორჯიელებს რაც შეეხებათ, ერთი გოლის გაქვითვა კი შეძლეს მეორე ტაიმში, მაგრამ ეს იყო და ეს, მეტის გატანა ვერაფრით მოახერხეს, თუმც ორჯერ ძელი შეაზანზარეს. თამაშმა ისიც გვაჩვენა, რომ ვეტერინარებს დაცვაში გვარიანი პრობლემები გაუჩნდათ — თქმა არ უნდა, ჭანკოტაძის არყოფნა თავისას აკეთებს.

გაიმარჯვეს საშინაო შეხვედრაში გაიოზ დარსაძის შეგირდებმაც. წყალტუბოელთა გამარჯვება იმითაცაა აღსანიშნავი, რომ მათ უშუალო კონკურენტები, გურულები დაიფრინეს და ამ მოგებით ბოლო ადგილს დააღწიეს თავი, თუმცა ბოლოსწინაზედა დამკვიდრნენ და ბევრით ვერაფრით დაიმშვიდებენ თავს. „სამგურალს", ისევე როგორც „გურიას", წინ ურთულესი შეხვედრები და გავარდნის საფრთხე ელით. ამიტომაც მათი ნებისმიერი თამაში უკომპრომისო იქნება. „26 მაისის" სტადიონზეც დაძაბული მატჩი ვიხილეთ. იბრძოდნენ გურულები, მაგრამ მასპინძელთა თავდადებამ თავისი გააკეთა და ბოლნისელთა დარად პირველი ტაიმის 2:0-ზე მომგებმა იმერლებმა გამარჯვების ბოლომდე მიყვანა შეძლეს.

უკიდურეს გაჭირვებას „ოდიშის" დიდი ანგარიშით მარცხიც ზედ დაერთო. პირველი ბურთის გატანა კი მოასწრეს მასპინძლებს ოდიშარებმა, მაგრამ მერე „კოლხეთმა" იძალა და ხუთი უპასუხო ბურთი გაიტანა, „ოდიშს" ბარქაიას გაგდებამ მოუთავა ხელი. კაცნაკლული ზუგდიდელები აირივნენ და ხუთიდან სამი გოლიც ბოლო ოც წუთში მიიღეს (70 წუთიდან 86-მდე). შეხვედრა კინკლაობითაც გამოირჩა. ამას მსაჯის სიტუაციაში გაურკვევლობამაც შეუწყო ხელი — მას ბარქაიაზე ადრე ახვ-

ორშაბათს მეთორმეტე ტურის ერთი შეხვედრა გაიმართა. „სინათლეზე" „მერანმა" „ლოკომოტივს" უმასპინძლა და ქულაც გაუყო (უფრო სწორად, ორი ქულა დაატოვებინა). ეს სტუმარ-მასპინძლის მეშვიდე ფრეა ამ ჩემპიონატში, რაც მათი დაცვითი ფეხბურთით გატაცებას ადასტურებს. „მერანს" კი სულაც მერვე უგოლო თამაში დაუგროვდა.

ტური „არსენალი" — „დილას" შეხვედრით დამთავრდა. ეს მატჩი 2:2 დასრულდა და ახალგაზრდა გორელებმაც ხამს მორიგი საქებარი სიტყვები დაიმსახურონ (თუმცა კი თავიდან მდევრის როლში მოუწიათ ყოფნამ). გორელთა სასახელოდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ კარგად გამოიყენეს ხანდაზმული არმიელების ხარვეზი — შედარებით დაბალი სასტარტო სიჩქარე და ახალკაცის გოლიც სისწრაფეში უპირატესობას მოჰყვა. ასე იყო თუ ისე, მამუკა გეგეჭკორის დებიუტი „არსენალის" მთავარი მწვრთნელის რანგში საბრძოლო ზავით დამთავრდა და ეს არმიელთა ახალ დამრიგებელს უმალ აქტივში უნდა ჩაეთვალოს.

ბოლოს კი იმას ვიტყვით, რომ მეთორმეტე ტურში იყო თითქმის ყველაფერი, რაც ინტრიგას მატებს ფეხბურთს — გოლები, კინკლაობა, ბრძოლა, მაგრამ მოგვეჩვენა, რომ ერთი-ორი უნიათო, უსახური შეხვედრაც იყო (თუნდაც „დინამო" — „ტორპედო").

ერთი სიტყვით, ქიციც იციან ქართველმა მობურთალებმა და ქიცმაცურიც.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

---

თბილისი
31 ოქტომბერი
14 საათი
ეროვნული
5 000 (ტევადობა 75 000)

## დინამო 1:0 ტორპედო

1:0 აშვეთია (6)
დინამო: გვარამაძე, ლ. მიქაძე, ჯელაძე, დიდავა (ზ. არჩვაძე 46), დ. მუჯირი (ი. მახარაძე 46), ა. სახვაძე, კიკნაძე, გუჩუა, აშვეთია (გ. შენგელია 69), ცქიტიშვილი, კვარაცხელია
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი, ქემოკლიძე, ლ. მელქაძე
ტორპედო: ჭანტურია, ჩხაიძე, ჩხაბერიძე, იონანიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, თურმანიძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (ქებაძე 72), ჩხეტიანი
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი, იმედაძე, ვაჩიბერაძე
გაფრთხილება: დიდავა (11)
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), გ. ცირდავა (გულრიფში), კ. მესხი (ზუგდიდი); ე. სილაგავა (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

რუსთავი
31 ოქტომბერი
14 საათი
ფოლადი
1000 (ტევადობა 10 700)

## გორდა 1:0 იბერია

1:0 კილასონია (34)
გორდა: ბედიაშვილი, მჭედლიძე, ბურნაძე (სილაგაძე 46), ბექაური, მ. სახვაძე, კილასონია, ტარტარაშვილი (ქოიავა 46), ზირაქაძე, გაბელაია, ჩუხუა (ლ. ალადაშვილი 68), კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* მ. ქორიძე, დ. მენთეშაშვილი, ჩოხელი, შ. კაპანაძე
იბერია: გ. დოლიძე, ნიკოლაიშვილი (ლურსმანაშვილი 46), მიქელთაძე (ივეჩიანი 46), მესიაჩენკო, ქობესაშვილი (გ. ჭელიძე 46), ამაშუკელი, ჩომახიძე, ხუჭუა, ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე, გეგეშიძე
*სათადარიგონი:* ჩაჩუა, ლორთქიფანიძე, ფხაკაძე, გაბრიჭიძე
გაფრთხილება: ვ. გიგიაძე (30)
მსაჯები: მ. მალაღურაძე, ზ. დოლიძე (ორივე თბილისი), ა. შალამბერიძე (ქუთაისი); დ. თოდუა (მარტვილი)
სფფ-ს დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

წყალტუბო
31 ოქტომბერი
14 საათი
26 მაისი
800 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 2:1 გურია

1:0 ჯინჭარაძე (37), 2:0 ფაიქიძე (42), 2:1 მელაძე (67)
სამგურალი: ხაჩირაშვილი, ფაიქიძე (უგულავა 55, ლონლაძე 77), გ. თევზაძე, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე (ი. ხაჭაპურიძე 79), მახვილაძე, ძაგნიძე, დარსაძე, თევდორაძე, კ. ჯანაშია
*სათადარიგონი:* სტურუა, ზ. ქუთათელაძე, ფრანგიშვილი, ჯავახაძე
გურია: გოგუა, ფაცურია, კაკაჩია (ჩიგოშვილი 46), კუკულაძე, განევი, გ. გიორგაძე, ზ. კვეკვესკირი, თიბილაშვილი, დ. მახარაძე, მელაძე, ბულუხია
*სათადარიგონი:* ვარდანიძე, ლორია, პატარაია
გაფრთხილება: ძაგნიძე (62), დარსაძე (80)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი), მ. ელიკაშვილი, ა მუშკუდიანი, ზ. ლაცაბიძე (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: გ. პეტრიაშვილი

ბოლნისი
31 ოქტომბერი
14 საათი
თემურ სტეფანია
2 000 (ტევადობა 3 000)

## სიონი 2:1 ვიტ ჯორჯია

1:0 ჯაგიდისი (17პ), 2:0 მოსეშვილი (30), 2:1 ნოზაძე (63)
სიონი: ვოლკოვი, დ. სვანიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, გაგუა, მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე (დ. ჯაფარიძე 69), მ. გოგოლაძე, მაზანაშვილი (ე. ჯაფარიძე 52), ჯაგიდისი (ჩალაძე), მოსეშვილი
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი, ძნელაძე, ქობელაშვილი, კ. ჯაფარიძე
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე (გუგუნავა 46), ზ. მენთეშაშვილი, ჭოხონელიძე, ჯ. მუჯირი, ი. კაპანაძე, მაზიაშვილი, ზ. გვაზავა, ვ. მაისურაძე, ლ. ნოზაძე, ვ. გოჩაშვილი (ა. ბოკერია 71), გ. გვაზავა (ვ. ქუთათელაძე 81)
*სათადარიგონი:* ლამბაშიძე, კვიციანი, აბაზაძე, დ. დოლიძე
გაფრთხილება: გ. გვაზავა (74), ვოლკოვი (80), კაპანაძე (83)
მსაჯები: თ. მაჭარაძე (ხონი), ლ. რაზმაძე (გორი), ა. ორდენიძე (ონი); გ. მგელაძე (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ვ. მახარაძე

ფოთი
31 ოქტომბერი
14 საათი
ფაზისი
1000 (ტევადობა 10 000)

## კოლხეთი 5:1 ოდიში

0:1 ლურწკაია (8), 1:1 გაბისონია (35), 2:1 ქობულაძე (53), 3:1 ღაღანიძე (70), 4:1 გვასალია (71), 5:1 კრასოვსკი (86)
გაბისონიამ ვერ გაიტანა პენალტი (86)
კოლხეთი: ქვაჩახია, ახვლედიანი (გიორგობიანი 68), შალამბერიძე, მ. ქობულაძე, ტორჩინავა, ღაღანიძე, კალანდაძე, გვასალია, დ. ნოზაძე (ბაჩილავა 83), წიწივაძე (კრასოვსკი 75), გაბისონია
*სათადარიგონი:* ჩემია, ქუტიძე, შავგულიძე, სუხიაშვილი
ოდიში: ნაყოფია: ლურწკაია, პ. ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ჯაბუა, ტაბაღუა, ჩადუნელი (თოლორაია 83), ბარქაია, კუტალია, თოლორდავა, ენდელაძე (მარკოზია 74)
*სათადარიგონი:* გოგია, იოსავა, აკობია, ანჯაფარიძე
გაფრთხილება: ტაბაღუა (22), კიპაროიძე (26), ჩადუნელი (52), გვასალია (55), ბარქაია (65), წიწივაძე (73)
გაძევება: ბარქაია (65)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ს. შალამბერიძე, ვ. ჩოჩიშვილი (ყველა თბილისი); ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
სფფ-ს დელეგატი: ვ. მელაშვილი

მცხეთა
1 ნოემბერი
14 საათი
არმაზი
1000 (ტევადობა 3 000)

## თსუ 0:1 ბათუმი

0:1 მაჭუტაძე (62)
თსუ: ბათიაშვილი, გ. ილურიძე, ვ. ღუდუშაური, კობიაშვილი, ნინუა, ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე, წიტაიშვილი, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* გაბელია, ჭიაბრიშვილი, ებრალიძე, ო. სულაძე, ბუკია, კ. სვანიძე, ბახტაძე
ბათუმი: მალაყმაძე, პაპიძე, სიჭინავა, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, გადელია, აფხაზავა (ფუტკარაძე 86), ტულუში, მაჭუტაძე, რუსია (მჟავანაძე 89)
*სათადარიგონი:* ტოგონიძე, ი. ნადირაძე, ყულეჯიშვილი, ვერემჩუკი, რომანაძე
გაფრთხილება: ჭიჭვეიშვილი (69)
მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი), პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: მ. კობიაშვილი

თბილისი
2 ნოემბერი
14 საათი
სინათლე
1 000 (ტევადობა 3 000)

## მერანი 0:0 ლოკომოტივი

მერანი: ლომაია, ივანიშვილი (დევიძე 29), ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, გეწაძე (ცქიფურიშვილი 80), გელა ქორიძე, ხარებავა, გ. კვეტენაძე (ბაჯელიძე 85), ხუციშვილი, დავითაშვილი
*სათადარიგონი:* ნაჭყეპია, ე. ალადაშვილი, ჭინჭარაული
ლოკომოტივი: დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, არსოშვილი, ბარნოვი, თარხნიშვილი, კ. გოგოლაძე, მარლიშვილი (გიორგი ქორიძე 80), კ. მელქაძე, დაუშვილი (ბაქრაძე 61), დ. გოდერძიშვილი, ხორგუაშვილი (კაციაშვილი 46)
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე, ნ. მინდიაშვილი, კოტორაშვილი
გაფრთხილება: დავითნიძე (10), მარლიშვილი (19), ბარნოვი (47), დანელია (59), კაციაშვილი (77)
მსაჯები: მ. მალაღურაძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); ზ. დარჩია (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი

თბილისი
3 ნოემბერი
14 საათი
ისანი
1 000 (ტევადობა 5 000)

## არსენალი 2:2 დილა

0:1 ბ. ჩიტაია (31), 1:1 ტარიელაშვილი (37), 2:1 ზირაქიშვილი (64), 2:2 ახალკაცი (79)
არსენალი: აბაშიძე, ფირცხალავა, ჩიქოვანი, გველესიანი (გემეზაშვილი 46), ლაცაბიძე, ყოლბაია (ლომიძე 78), ზირაქიშვილი, მ. მაისურაძე, კორღალიძე (ხოსროშვილი 89), კაკაშვილი, ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* ჩლაიძე, გაგუა, შ. სულაძე, გამზარდია
დილა: თ. ილურიძე, ფეხუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, გ. ჩიტაია (ლ. გოჩაშვილი 46), გაგნიძე, მოსულიშვილი (ახალკაცი 67), მარგხაშვილი, ციცქიშვილი, თაყაძე, ბ. ჩიტაია, შატაკიშვილი (აკოფიანი 88)
*სათადარიგონი:* ხელაია, სულთანიშვილი, არუთუნიანი
გაფრთხილება: ხაჭაპურიძე (66), მაისურაძე (87), ლაცაბიძე (90)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ა. ქარქაშაძე (სამივე თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი)
სფფ-ს დელეგატი: უ. ფურცელაძე

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 10 - | წიწივაძე | კოლხეთი |
| 9 - | აშვეთია | დინამო |
| | იონანიძე | ტორპედო |
| 8 - | კაიდარაშვილი | დილა |
| | ხომერიკი | დინამო |
| 6 - | დ. მახარაძე | გურია |
| | მაჭუტაძე | ბათუმი |
| | მეგრელაძე | ტორპედო |
| | ტულუში | ბათუმი |
| | ფაიქიძე | სამგურალი |
| | გ. შენგელია | დინამო |
| 5 - | გვასალია | კოლხეთი |
| | ვ. გიგიაძე | იბერია |
| | ენდელაძე | ოდიში |
| | კაკაშვილი | არსენალი |
| | ჩომახიძე | იბერია |
| | ცქიტიშვილი | დინამო |
| | დ. ჯანაშია | ტორპედო |

### სიმბოლური ნაკრები

რომან ახალკაცი — დილა
პაატა მაჭუტაძე — ბათუმი
ზაქრო ღაღანიძე — კოლხეთი
ელდარ გვასალია — კოლხეთი
ალეკო კანტიძე — ბათუმი
შოთა ჩომახიძე — იბერია
ირაკლი მაღლაკელიძე — ტორპედო
პავლე ბექაური — გორდა
გიორგი დავითნიძე — მერანი
ზურაბ მენთეშაშვილი — ვიტ ჯორჯია
ზურაბ ბათიაშვილი — თსუ
გუნდი: გორდა
მწვრთნელი: სპარტაკ არჩვაძე — სიონი

| № | # | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დინამო (1) | 2 | 11 | 8 | 3 | 0 | 36:7 | +29 | 27 | 6 | 5 | 1 | 0 | 27:6 | +21 | 16 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:1 | +8 | 11 |
| 2 ტორპედო (4) | 1 | 12 | 8 | 2 | 2 | 29:13 | +16 | 26 | 5 | 4 | 1 | 0 | 18:5 | +13 | 13 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:8 | +3 | 13 |
| 3 კოლხეთი (3) | 5 | 11 | 7 | 2 | 2 | 28:14 | +14 | 23 | 7 | 6 | 1 | 0 | 22:5 | +17 | 19 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | -3 | 4 |
| 4 ლოკომოტივი (6) | 3 | 12 | 5 | 7 | 0 | 15:5 | +10 | 22 | 5 | 2 | 3 | 0 | 5:1 | +4 | 9 | 7 | 3 | 4 | 0 | 10:4 | +6 | 13 |
| 5 დილა (9) | 4 | 12 | 6 | 3 | 3 | 18:13 | +5 | 21 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | +6 | 12 | 7 | 2 | 3 | 2 | 9:10 | -1 | 9 |
| 6 ბათუმი (2) | 6 | 12 | 5 | 5 | 2 | 19:10 | +9 | 20 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:3 | +9 | 11 | 6 | 2 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 9 |
| 7 იბერია (დ) | 7 | 12 | 5 | 1 | 6 | 22:26 | -4 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:6 | +6 | 10 | 7 | 2 | 0 | 5 | 10:20 | -10 | 6 |
| 8 ოდიში (5) | 9 | 12 | 4 | 1 | 7 | 9:21 | -12 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:10 | -5 | 7 | 6 | 2 | 0 | 4 | 4:11 | -7 | 6 |
| 9 არსენალი (დ) | 10 | 12 | 3 | 4 | 5 | 15:22 | -7 | 13 | 6 | 1 | 3 | 2 | 9:10 | -1 | 6 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:12 | -6 | 7 |
| 10 მერანი (7) | 11 | 12 | 2 | 7 | 3 | 7:11 | -4 | 13 | 7 | 1 | 5 | 1 | 2:2 | 0 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:9 | -4 | 5 |
| 11 გორდა (11) | 14 | 12 | 2 | 6 | 4 | 7:8 | -1 | 12 | 7 | 2 | 4 | 1 | 5:3 | +2 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:5 | -3 | 2 |
| 12 ვიტ ჯორჯია (10) | 8 | 12 | 4 | 2 | 6 | 13:14 | -1 | 11 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 0 | 6 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:6 | -1 | 8 |
| 13 სიონი (13) | 15 | 12 | 3 | 2 | 7 | 13:27 | -14 | 11 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:9 | +2 | 11 | 5 | 0 | 0 | 5 | 2:18 | -15 | 0 |
| 14 სამგურალი (12) | 16 | 12 | 3 | 1 | 8 | 11:27 | -16 | 10 | 6 | 3 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 9 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:20 | -15 | 1 |
| 15 გურია (14) | 12 | 12 | 3 | 1 | 8 | 14:31 | -17 | 10 | 5 | 3 | 0 | 2 | 9:8 | +1 | 9 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:23 | -18 | 1 |
| 16 თსუ (8) | 13 | 12 | 2 | 3 | 7 | 11:18 | -7 | 9 | 7 | 1 | 1 | 5 | 8:13 | -5 | 4 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 5 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში ! — ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

UEFA CUP

# მსუყე დღე

## უეფას თასის 1/16 ფინალის საპასუხო მატჩების მიმოხილვა

უეფას თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩები ძალიან მსუყე გამოდგა, ისეთი გულშემატკივრის თვალს და გულს რომ გადაამლობს. 3 ნოემბერს ევროპის სტადიონებზე ყველაფერი იყო, რისთვისაც მილიონობით ქომაგს ფეხბურთი უყვარს — ლამაზი გოლები, დაძაბული ბრძოლები, ცრემლები, როგორც სიხარულის, ასევე მწუხარების, სკანდალები, უამრავი გაძევება. ერთი სიტყვით, ყველაფერი.

სკანდალით დავიწყოთ. ამისთვის იტალიის სამხრეთით მდებარე ქალაქ სალერნოს უნდა ვეწვიოთ, სადაც გუშინწინ საღამოს სერია A-ს ერთ-ერთი ლიდერი „ფიორენტინა“ შვეიცარიულ „გრასჰოპერს“ მასპინძლობდა, ყაველაშვილის და ნემსაძის გუნდს. პირველი მატჩი სტუმრად ფლორენციელებს 2:0 ჰქონდათ მოგებული. როგორც უკვე ვთქვით, ბატისტუტა და კომპანია ციურიხელებს სერია A-ს დებიუტანტ „სალერნიტანას“ სტადიონზე დაუხვდა. ამის მიზეზი მშობლიური სტადიონის ორი შეხვედრით დისკვალიფიკაციაა — გასულ სეზონში „ფიორენტინას“ გულშემატკივრებმა „იცელქეს“ და უეფამაც დაუყოვნებლივ მიიღო ზომები.

ტრაპატონის ბიჭები ძალიან წყნარად, ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე საპასუხო მატჩსაც იგებდნენ. პირველ 45 წუთში გაბელგიელებული ბრაზილიელის ლუის ოლივეირას ორ გოლს სტუმრებმა მატს გრენის ერთი გატანილით უპასუხეს და თითქოს ყველაფერიც გაირკვა — შემდეგ ეტაპზე იტალიელები უნდა გასულიყვნენ, მაგრამ აქ მეტად არასასიამოვნო ამბავი მოხდა — გვერდით მსაჯ ფილიპ ფლემენტს იმ ტრიბუნიდან, რომელთანაც იგი ახლოს იმყოფებოდა, რაღაც საგანი ესროლეს, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, მოზრდილი სანთებელა ყოფილა. ნასროლმა მიზანს უნაკლოდ მიაღწია და ცეცხლებიც გაყარა, რამაც ამ ინციდენტს უფრო მწვავე ხასიათი მისცა. შედეგი — ფლემენტი იმ წუთასვე საავადმყოფოში გააქანეს, სტუმრები, შვეიცარიელი ფეხბურთელები კი უმალ გასახდელში შეცვივდნენ და მატჩიც შეწყდა.

— უეფას დელეგატმა თამაშის მსვლელობისას გაგვაფრთხილა, შეიძლება რაღაც მოხდესო. 15 წუთში კი აფეთქების ხმაც გაისმა, თანაც ისეთი, რომ კომიზეტი, ჰასი, გრენი და ტარარახე ცალი ყურით დაყრუვდნენ და ახლა მკურნალობას საჭიროებენ. ამის შემდეგ, მსაჯს თამაში რომც გაეგრძელებინა, ჩვენ ფეხბურთელები აღარ გვყავდა 11 კაცი რომ შეგვევსო, რადგან ცუბერბიულერი, ტიკვა და დე ნაპოლიც დაშავდნენ — წუწუნებდა ინციდენტის შემდეგ „გრასჰოპერის“ დირექტორი ერიხ ფოგელი.

თუმცა უეფამ ფოგელის წუწუნს სრული იგნორირება გაუკეთა. გუშინ მისმა წარმომადგენელმა განაცხადა გადათამაშება იქნება, როდის, ორშაბათამდე გაირკვევაო.

ახლა ბირმინგემში გადავინაცვლოთ, სადაც პრემიერლიგის ლიდერი „ასტონ ვილა“ ესპანურ „სელტას“ სტუმრად მოგებული 1:0-ით დაუხვდა და თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა შემდეგ ეტაპზე გასვლა, მაგრამ...

ვინც ამ გუნდების პირველი მატჩი იხილა, დაგვეთანხმება, რომ მაშინ ვიგოში უსამართლოიანი ანგარიში დაფიქსირდა. ინგლისელებმა ერთხელ შეუტიეს ასე თუ ისე მწვავედ და ჯულიან ჯოაკიმმაც მოახერხა გოლის გატანა. მასპინძლები კი მთელი 90 წუთი მეტოქის ნახევარზე იმყოფებოდნენ, უალრესად მწვავე მომენტებიც შექმნეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ბურთმა არ ისურვა ოუქსის კარში შეგორება, ზედმეტად სტუმართმოყვარე აღმოჩნდა.

ბირმინგემული მატჩი, ორი კვირის წინანდელის მსგავსად, ესპანელთა შტურმით დაიწყო. გოლის გატანა შეეძლოთ მოსტოვოის და ორჯერ პენევს, თუმცა ეს ხუან სანჩესმა მოახერხა და სტატუს ქვოც აღადგინა. ზუსტად ოთხ წუთში მსოფლიოს ჩემპიონმა ბრაზილიელმა მაზინიომ საკუთარ საჯარიმოში ხელბურთი გააჩალა და მსაჯმაც ხელი პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა, რომელზეც რამდენიმე წამში სტენ კოლიმორმა ბურთი დადო და ბოლო რვა თვის განმავლობაში გამართულ ევროტურნირების შეხვედრებში „ვილა პარკზე“ პირველად გაიტანა. ბოლოს კოლიმორმა წინა უეფას თასზე შეძლო ამის გაკეთება — მადრიდის „ატლეტიკოსთან“. მოკლედ, ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ გავიდა კიდევ ოთხი წუთი და სტუმართა რუსმა ლიდერმა ალექსანდრ მოსტოვოიმ ტრადიციულად კარგად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, ამჯერად დაახლოებით 18-19 მეტრიდან. „სელტა“ კვლავ წინ გაიჭრა — 2:1.

შეხვედრა სამი წუთის განახლებული იყო, გიჟმაჟი ფანები შოკში რომ ჩაცვივდნენ — პენევმა შეაგდო. ახლა ჯონ გრეგორის შეგირდებს ორჯერ უნდა გაეტანათ, რათა უეფას თასისთვის ბრძოლა გაეგრძელებინათ. მათ შეუტიეს, ცოტა ქაოტურად, მაგრამ მაინც. ამასთან ვიგოელთა კაპიტანმა რაფაელ ბერგესმა 56-ე წუთზე მეორე ყვითელი მიიღო და „ასტონ ვილა“ რიცხობრივ უპირატესობაშიც დატოვა, მაგრამ ესპანელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მშვენივრად დაიცვეს თავი და მეტოქეს ერთიც არ გაატანინეს. საბოლოოდ სამართალმა პური ჭამა და მერვედფინალშიც უფრო ძლიერი, უფრო ლამაზი ფეხბურთის მიმდევარი კლუბი გავიდა.

ინგლისელთა და ესპანელთა დაპირისპირება ვალენსიაშიც შედგა. იქ „ლივერპული“ ჩაბრძანდა რანიერის ბიჭებთან ურთიერთობის გასარკვევად. პირველი მატჩის ანგარიში, ალბათ, გახსოვთ 0:0, მაშინ სტუმრებმა თამაშითაც აჯობეს „მერსისაიდელებს“, ჰოდა, ყველას ეგონა, „ვალენსია“ შინ მეტოქეს მიწასთან გაასწორებსო.

ბოლოდან დავიწყოთ. მსაჯის მიერ დამატებული დრო მიმდინარეობდა, მასპინძელთა კარში პირველი გოლის გამტანი და ბოლო ცნობით მადრიდის „რეალის“ ინტერესებში მოქცეული სტივ მაკმანამანი „ვალენსიის“ მცველ ამედეო კარბონის რომ წაეკინკლავა. ის იყო დავა ხელჩართულ ბრძოლაში უნდა გადაზრდილიყო, შემთხვევის ადგილზე არბიტრი გაჩნდა და სიტუაციის დარეგულირება დაიწყო, მაგრამ ინსი რის ინსია, ამგვარ მომენტებში თავისი სიტყვა არ თქვას და თანაგუნდელს არ გამოექომაგოს. ატყდა ერთი ამბავი, მთელი მატჩის განმავლობაში დაგროვილი ბოღმა და დაძაბულობა ფეხბურთელებმა ამ დროს გადმოანთხიეს და შედეგად ინგლისელები ცხრა, ხოლო ესპანელები ათი კაცის ამარა დარჩნენ. მსაჯმა ენერგიულად აფრიალა წითელი ბარათი, მაკმანამანი, ინსი და კარბონი გააგდო.

მანამდე კი მოედანზე მეტად თვალსაჯირო ბურთაობა მიმდინარეობდა. ანგარიში „ვალენსიას“ არგენტინელმა ფორვარდმა კლაუდიო ლოპესმა მაშინ გახსნა, მსაჯი პირველი ტაიმის დასამთავრებლად რომ ემზადებოდა. გასათანაბრებლად ინგლისელებს მთელი 35 წუთი დასჭირდათ — რეაქტიული თინეიჯერი მაიკლ ოუენი მარჯვენა ფრთაზე შეიჭრა და მაკმანამანს ბურთი თავზე დაასვა — 1:1. დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. ეს შედეგი სტუმრებს აწყობდათ, მაგრამ მათ წმინდა ბრიტანული სულისკვეთება გამოავლინეს და კანისარესის კარს გაორმაგებული ენერგიით შეუტიეს. ხშირ შემთხვევებში ასეთ დროს მეტოქე ხეირობს, თუმცა განგებამ ისე ინება, რომ მაკმანამანის გოლიდან ხუთ წუთში ჩეხმა პატრიკ ბერგერმა ისეთი დაჰკრა, ბურთი მხოლოდ კარში შევარდნის მერე გამოჩნდა. ამის შემდეგ რაც მოხდა, ზემოთ უკვე ვთქვით. სულ ბოლოს კი იმავე ლოპესმა ისლა მოახერხა, ანგარიში გაეთანაბრებინა — მისი დარტყმული ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, მერე ჯეიმსს და კარში ისე შევარდა. თუმცა ამ გოლს გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა — მერვედფინალში „ლივერპული“ გავიდა!

— ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ძლიერ მეტოქეს გავცდით, დღეს დიდებულად ვითამაშეთ, მაგრამ ბოლო წუთებზე მომხდარმა ამ გამარჯვებით ბოლომდე დატკბობა არ მაცალა, სტივი და პოლი უალრესად ცუდად მოიქცნენ, ასე არ შეიძლება — ინგლისელთა ორ თავკაცთაგან ერთ-ერთმა, როი ევანსმა მატჩი სამართლიანად შეაფასა.

დროა, ფრანგულ კლუბებზეც ვისაუბროთ. მეთექვსმეტედფინალში საფრანგეთი ოთხი გუნდით იყო წარმოდგენილი და პირველად უეფას თასის ისტორიაში ოთხივე მერვედფინალში გავიდა. ივნისივლისის შემდეგ საფრანგეთი კვლავ მოიცვა საერთო დღესასწაულმა.

ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერი „მარსელი“ ბუნდესლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერ „ვერდერს“ მასპინძლობდა და როგორც მოსალოდნელი იყო, იმარჯვა კიდეც 3:2, თუმცა ამ გამარჯვებას იოლს ნაღდად ვერ დაარქმევს კაცი. მიუხედავად იმისა, რომ ბრემენელები მეორე ტაიმში ათნი დარჩნენ, მათ გერმანელთათვის ჩვეული სიჯიუტე გამოავლინეს და ბოლომდე იბრძოლეს. მატჩი ორი რამით იყო გამოსარჩევი. პირველი — გოლი, რომელიც საფრანგეთი 98-ის ანტიგმირმა, სამხრეთაფრიკელმა პიერ ისამ გაიტანა, ამჯერად სხვის („ვერდერის“) კარში, ხოლო მეორე — ანდრეას ჰერცოგის კუთხურიდან ჩახვეული ულამაზესი გოლი, რომელიც ძელთან მდგომმა კოლეტერმა ისე გაატარა, გეგონება შინ მისულ სტუმარს ეპატიჟებაო.



REUTERS ფოტო ვალენსიიდან

ვალენსია — ლივერპული. ამ გუნდების პირველ შეხვედრაში რატომღაც სათადარიგოებს შორის მყოფმა ოუენმა (№10) საპასუხო მატჩში მეტოქის დაცვა ჩვეულად დააწიოკა

„ბორდომ“, რომელიც „მარსელის“ მთავარი კონკურენტია, საფრანგეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კვლავ ერთი ბურთის სხვაობით მოუგო ჰოლანდიურ „ვიტესს“, ოღონდ ამჯერად ორი გაიტანა და ერთი გაუშვა. სტუმართა იმედები საბოლოოდ სილვენ ვილტორდმა დაამსხვრია, კაცმა, რომელიც თამაშევერცხლილ იტალიელ ფაბრიციო რავანელისთან ერთად 7 გატანილი გოლით ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირთა სიას უდგას სათავეში.

რაც შეეხება დანარჩენ ორ ფრანგულ გუნდს, „ლიონმა“ რთულად, მაგრამ მაინც გადალახა ფოთის „კოლხეთის“ კარში თერთმეტი მშრალი გოლის გამტანი „ცრვენა ზვეზდას“ ბარიერი, ხოლო ტიგანას ბიჭებმა ულამაზეს „ლუი II“-ის სტადიონზე ჩასულ ავსტრიელებს სულ კუდით ქვა ასროლინეს.

აშკარად დაეტყო ხავიერ კლემენტეს ხელი სევილიურ „ბეტისს“. ბასკი სპეციალისტის ხელმძღვანელობით გუნდმა ორჯერ ითამაშა და ორჯერვე მოიგო. ჯერ ესპანეთის ჩემპიონატში „სალამანკასთან“ 1:0, შემდეგ ქართველთა კიდევ ერთ შემარცხვენელ „ტილბურგთან“ 3:0. განსაკუთრებით ლამაზი ვან ფესემის კარში გატანილი მეორე გოლი იყო, რომელიც ესპანური ფეხბურთის იმედმა ბენჯამინ ზარანდონამ შეაგდო, იმ მომენტში მსოფლიოს უძვირფასესმა ფეხბურთელმა, ბრაზილიელმა დენილსონმა გაიბრწყინა, ვინც თავის, მარცხენა ფლანგზე ისეთი ამბები დაატრიალა, ერთ დროს საპირისპირო ფრთაზე მოთამაშე მისი სახელოვანი წინაპარი გარინჩა გაგახსენდებოდათ. მატჩის შემდეგ ფეხბურთის სპეციალისტებმა ერთხმად აღიარეს, რომ „ტილბურგთან“ შეხვედრა პლანეტის ვიცე-ჩემპიონისთვის საუკეთესო იყო „ბეტისში“ გადასვლის შემდეგ.

ეჭვი არავის ეპარებოდა, კიდევ ერთი ესპანური კლუბი ბასკური „სოსიედადი“ მოსკოვის „დინამოელებს“ ადვილად რომ დაჯაბნიდა. ასეც მოხდა, მასპინძლებმა კვლავ სამი გოლი გაიტანეს, მაგრამ პირველი მატჩის მსგავსად ორი აღარ გაუშვიათ და რუსები გაყინულ და ეკონომიკურად დაჩანაკებულ სამშობლოში კუდამოძუებულები გაუშვეს. კვლავ ორჯერ იხეირა დარკო კოვაჩევიჩმა, რომელსაც საერთო ჯამში უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში ექვსი გოლი აქვს გატანილი, აქედან ხუთი თავით.

მადრიდის „ატლეტიკომ“ ბევრი არ იწვალა, შინ ბულგარულ ცსკა-ს ერთხელ გაუტანა და წყნარად გაერია პირველობისთვის მებრძოლ გუნდთა მარაქაში. ეს ერთადერთი ბურთი ჩია ბრაზილიელმა ჟუნინიომ პირველი ტაიმის ბოლო წუთზე თერთმეტმეტრიანიდან შეაგდო.

იტალიური „პარმა“ მართალია ვარსკვლავებითაა გადაჭედილი, მაგრამ ციდან ვარსკვლავების მოწყვეტამდე ჯერ ბევრი უკლია. მალეზანის შეგირდებს წესით პოლონეთშივე უნდა გაერკვიათ „ვისლასთან“ ურთიერთობა, თუმცა ეგ კი არა, კინაღამ პარმაშიც „აიჭრნენ“. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, იტალიელთა გამარჯვებაში ლომის წილი სტუმართა მცველმა ბოგდან ზაიაცმა დაიდო — მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, მან საკუთარ კარში გაიტანა და ანგარიში 2:0 გახადა. მართალია, მან თავადვე გამოასწორა შეცდომა და ახლა უკვე ბუფონის კარი დალაშქრა, მაგრამ ძალიან გვიან იყო — 90-ე წუთი.

— პოლონელები საკუთარ მოედანზე გაცილებით უკეთ ირჯებოდნენ, მაგრამ როგორც ნახეთ, არც დღეს დააკლეს და მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. ამას ნამდვილად არ ველოდით და ამიტომაც გაგვიჭირდა მათი დამარცხება — აღნიშნა მატჩის შემდეგ „პარმას“ ნახევარმცველმა სტეფანო ფიორემ, რომელმაც სანამ ზაიაცი აქეთ-იქით გოლებს არიგებდა, ანგარიში გახსნა.

ძალიან გაუჭირდა „რომასაც“, რაც გუშინდელ „სარბიელში“ კიდეც ვივარაუდეთ. მით უმეტეს, რომ პირველი ტაიმის მიწურულს მსაჯმა რატომღაც იტალიელთა კამერუნელი ლეგიონერი პიერ ვომე გააძევა. თუ პირველი 45 წუთი ასე თუ ისე თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, შეხვედრის მეორე ნახევარში ინიციატივა მთლიანად „ლიდსმა“ იგდო ხელთ, ოღონდ მხოლოდ ტერიტორიული. ჰოდა, მეტოქის კარს თუ მწვავედ არ დაემუქრე, ისე რომ არაფერი გამოვა, პატარა ბავშვმაც იცის. „რომაც“, როგორც მაღალი კლასის გუნდს ეკადრება, თავს წყნარად, ორგანიზებულად იცავდა და სასურველ შედეგს 0:0-საც მიაღწია.

დანარჩენი სამი შეხვედრიდან ორი მოულოდნელად დასრულდა. „ბრიუგემ“ გასული სეზონის თასების თასის გათამაშების ფინალისტ „შტუტგარტს“ უმასპინძლა. მატჩის ძირითადი დრო, ისევე როგორც შტუტგარტში, 1:1 დასრულდა. დამატებით დროში კი ჯერ კლასენსმა დააწინაურა ბელგიელები, შემდეგ ბობიჩმა გაათანაბრა, ხოლო საბოლოოდ კვლავ მასპინძლებმა, კერძოდ დიდი ბელადის ერთგვარმა სეხნიამ, ილიჩმა იხეირა და ტაბლოზე 3:2 დააფიქსირა.

მეორე მოულოდნელობა „ციურიხის“ მიერ შოტლანდიის ჩემპიონის გლაზგოს „სელტიკის“ ძლევაა, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, მიმდინარე სეზონში სქოთები საზიზღრად რომ ბურთაობენ. შედეგიც სახეზეა — ბრძოლას შვეიცარიელები აგრძელებენ.

„ბოლონიამ“ კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ რობერტო ბაჯოს გარეშეც შეუძლია ფეხბურთის თამაში და ჩეხურ „სლავიას“ მეორედაც მოუგო, ამჯერად გასვლაზე.

ერთი სიტყვით, 3 ნოემბერი მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დღე იყო „ბებერი კონტინენტის“ საფეხბურთო ცხოვრებაში — ნამდვილი ზეიმი.

**დავით ძოვზირიძე**

### უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი
საპასუხო მატჩები. 3 ნოემბერი

UEFA CUP

პარმა (იტალია) — ვისლა (პოლონეთი) 2:1 (1:1)
ვალენსია (ესპანეთი) — *ლივერპული (ინგლისი)* 2:2 (0:0)
*სოსიედადი (ესპანეთი)* — დინამო (რუსეთი) 3:0 (3:2)
*ლიონი (საფრანგეთი)* — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 3:2 (2:1)
*მონაკო (საფრანგეთი)* — გრაცერი (ავსტრია) 4:0 (3:3)
*ბრიუგე (ბელგია)* — შტუტგარტი (გერმანია) 3:2 (დ.დ.), (1:1)
*ბეტისი (ესპანეთი)* — ტილბურგი (ჰოლანდია) 3:0 (1:1)
ასტონ ვილა (ინგლისი) — *სელტა (ესპანეთი)* 1:3 (1:0)
*ციურიხი (შვეიცარია)* — სელტიკი (შოტლანდია) 4:2 (1:1)
*მარსელი (საფრანგეთი)* — ვერდერი (გერმანია) 3:2 (1:1)
სლავია (ჩეხეთი) — *ბოლონია (იტალია)* 0:2 (1:2)
*ბორდო (საფრანგეთი)* — ვიტესი (ჰოლანდია) 2:1 (1:0)
*ატლეტიკო (ესპანეთი)* — ცსკა (ბულგარეთი) 1:0 (4:2)
ლიდსი (ინგლისი) — *რომა (იტალია)* 0:0 (0:1)
ფიორენტინა (იტალია) — გრასჰოპერი (შვეიცარია) (2:0)

# დედა, რა იყო ეს?



სარბიელის არქივიდან

თამაშამდე გაბრიელ ბატისტუტა იღიმოდა, მერე კი მხოლოდ და მხოლოდ წუწუნებდა

„ფიორენტინა" — „გრასჰოპერის" დაუმთავრებელმა შეხვედრამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა — ყოველივე ამის მიზეზი მოედანზე ტრიბუნიდან ფეთქებადი ნივთის სროლა და გვერდითი მსაჯის მინდვრიდან საკაცით გაყვანა გახლდათ.

ანგარიში 2:1 იყო, ფლორენციელებსაც ერთი შეხედვით თავი ქუდში ჰქონდათ, ორი მატჩის ჯამში 4:1 ამარცხებდნენ მეტოქეს, მაგრამ ზედ შესვენების წინ, როცა გვერდითი მსაჯი გასახდელისკენ დაიძრა, მავანმა ვაიგულშემატკივარმა მინდორზე რაღაც ისროლა. იგი აფეთქდა და გვერდით მსაჯ ფილიპ ფლამენტს სასწრაფო სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

მსაჯმა შეხვედრის გაგრძელებაზე უარი თქვა, მომხდარი ოქმში აღნიშნა და უეფას სადისციპლინო კომიტეტს მომხდარის თაობაზე აცნობა.

შვეიცარიელები იმედოვნებდნენ, რომ უეფა „ფიორენტინას" 0:3 წაგებას ჩაუთვლიდა, რაც გუნდის მერვედფინალში გასვლას ნიშნავდა, მაგრამ გუშინ, შუადღეზე, უეფას სადისციპლინო კომიტეტმა ასეთი განაჩენი გამოიტანა — შეხვედრა გადათამაშდება იტალიაში, მაგრამ რომელ ქალაქში, ან რომელ დღეს, ჯერ არ დადგენილა. ამასთანავე, გულშემატკივრებს თამაშზე არ დაუშვებენ.

— სამწუხაროა, ვიღაც თავქარიანის გამო შრომა წყალში რომ ჩაგვეყრება. მერვედფინალში გასვლა თითქმის განაღდებული გვქონდა, მაგრამ ძალიან ცუდი რამ მოხდა. დიახ, არსებობენ ჩვენს გვერდით ასეთი მავნებლები და ნორმალური თამაშის საშუალებას არ გვაძლევენ. ამიტომაცაა ცხოვრება მუდამ დასალაგებელი — დაიჩივლა „ფიორენტინას" არგენტინელმა ბომბარდირმა გაბრიელ ბატისტუტამ.

შეგახსენებთ, რომ მატჩი ფლორენციაში კი არა, სალერნოში მიმდინარეობდა. მშობლიურ სტადიონზე უთამაშებლობა იმით გახლდათ გამოწვეული, რომ 1996-97 წლების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში „ბარსელონასთან" ფლორენციაში განმეორებითი შეხვედრისას შოტლანდიელმა ქომაგებმა მოედანზე სხვადასხვა საგნის სროლა დაიწყეს. უეფამ კი „ფიორენტინას" სასჯელად ევროთასებზე ორი შეხვედრის სხვა სტადიონზე გამართვა დააკისრა. ფლორენციელთა სასჯელი, „გრასჰოპერთან" მატჩის ნორმალურად რომ დასრულებულიყო, ამოიწურებოდა.

სხვათა შორის, იტალიის ფეხბურთის ფედერაციას 18 ნოემბერს სალერნოში იტალია — ესპანეთის ამხანაგური მატჩი ჰქონდა დანიშნული, მაგრამ ახლა შესაძლოა, მატჩი სხვა ქალაქში გადაიტანოს.

# ფრანგმა მსაჯებმა თავისი გაიტანეს

ორშაბათს, 2 ნოემბერს, მსაჯთა ცენტრალური კომისიის პრეზიდენტმა, წარსულში ცნობილმა არბიტრმა მიშელ ვოტრომ განაცხადა, რომ საფრანგეთის პირველი და მეორე დივიზიონების მატჩებზე ამიერიდან თვითონ მიავლენს მსაჯებს და კომისრებს. ეს „კარგად მოფიქრებული" გადაწყვეტილება, რომელიც მიშელ ვოტრომ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ კლოდ სიმონესთან ერთად მიიღო, ექსმსაჯ ჟოელ კინიუს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს უკვეცს. როგორც ადრე ვიუწყებოდით, ფრანგი ელიტარული მსაჯები თავიანთ მენეჯერს წინა კვირაში აუმხედრდნენ და პარიზის ახლომდებარე პატარა ქალაქ კრეტეიში თავმოყრილებმა მას უნდობლობა გამოუცხადეს. ფრანგმა შავოსნებმა ჟოელ კინიუს მოსაშორებლად ფარული კენჭისყრა მოაწყვეს და ამბოხის დაწყების მსურველებმა 43 ხმით 10-ის წინააღმდეგ გაიმარჯვეს.

მათი დემარშის შესახებ მაშინვე აცნობეს მიშელ ვოტროსა და ფრანგული ფეხბურთის სხვა ჩინოსნებს. ფრანს-პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ჟოულ კინიუმ განაცხადა, კვლავაც გავაგრძელებ ჩემი მოვალეობის შესრულებასო. მან ისიც დაამატა, რომ ფრანგულ არბიტრაჟში შექმნილი სიტუაცია ძალიან რთულია, რადგან პირველი დივიზიონის 9 მატჩის განაწილება 23 მსაჯზე ხდება და ამიტომ ყოველთვის ვიღაც უკმაყოფილო რჩება. უკმაყოფილების მიზეზი კი ისაა, რომ უსაქმოდ დარჩენილთ მე-2 დივიზიონის მატჩებზე ამწესებენ, რის გამოც მათი შემოსავალი საკმაოდ იკლებს.

თუმცა, მინდორზე წესრიგის დამცველთა თქმით, ჟოელ კინიუსადმი უარყოფით დამოკიდებულებას სულ სხვა მიზეზი აქვს — ბატონი ელიტარულ არბიტრთა მენეჯერი თურმე პროვინციელ მსაჯებს ერთობ ჩაგრავს და მათ პარიზელ კოლეგებს მეტ უფლებებს ანიჭებს.

„ჟოელ კინიუ ამ უსამართლობის მთავარი პასუხისმგებელია — განაცხადა ერთ-ერთმა მთავარმა ფრონდელმა, რომელიც წარმოშობით სამხრეთ საფრანგეთიდანაა. იგი ნამდვილი დიქტატორია. ამის ატანა გაგვიძნელდა და ამბოხიც ამიტომ წამოვიწყეთ. ვერ დავეთანხმებით მის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიღების დროსაც იგი არავის აზრს არ ითვალისწინებდა."

საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები, რომელთა შორისაც არიან მარკ ბატა, რემი არელი, ჟილ ვესიერი და კლოდ კოლომბო, ველარ ეგუებოდნენ თავიანთი ახალგაზრდა პარიზელი კოლეგების მიერ შევიწროებას. ამ შევიწროების ერთადერთი მიზეზი კი, მათი აზრით, ის არის, რომ ისინი ყველანი „ხმელთაშუა ზღვის ლიგის" წევრები არიან.

„ფულზე აქ ლაპარაკი არ არის (შეგახსენებთ, რომ პირველი დივიზიონის ერთი მატჩის მომსახურებისთვის თანამსაჯი 7 500 ფრანს იღებს, მინდვრის არბიტრი კი 8 5000 ფრანკს. გ.თ.). ეს პრობლემა მხოლოდ პიროვნებების გამო შეიქმნა. კინიუ ჩვენს ნდობას ბოროტად იყენებდა" — თქვა ერთ-ერთმა მეამბოხემ.

მთელი ამ ისტორიის მთავარი (ანტი)გმირი კი თავისი გადაყენების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების დროს ტუნისში იმყოფებოდა. ამიტომ საინფორმაციო საშუალებებმა ვერ მოახერხეს მასთან დაკავშირება. არადა, ჟოელ კინიუს კომენტარის გაგებაც ძალიან საინტერესო იქნებოდა, ალბათ, სათქმელი მასაც აქვს.



მარკ ბატამ წითელი ბარათი ამჯერად თავის შეფს უჩვენა

**გაიოზ თალაკვაძე**

# ცოტაც და — გაზაფხულამდე

## თასების თასი. 1/8 საპასუხო მატჩები

UEFA Cup Winners' Cup

„ჩელსი" „კოპენჰაგენს" რომ ესტუმრება, ლონდონელთა 29 წლის დანიელი ფეხბურთელი დროებით შინ ყოფნით დატკბება. რამდენიმე ხნის წინ ბრაიან ლაუდრუპმა შინ დაბრუნების დიდი სურვილი გამოთქვა, მაგრამ ლონდონური გუნდის ხელმძღვანელებმა იგი აიძულეს, კონტრაქტის დასრულებამდე მათთან დარჩენილიყო.

— რამდენიმე წელიწადში მშობლიურ „კოპენჰაგენს" მივაშურებ, მანამდე კი, ვინაიდან „ჩელსის" მოთამაშედ ვითვლები, ვეცდები ჩემს გუნდს წარმატება მოვუტანო. ძალიან მინდა, თანამემამულეთა თვალწინ კარგად ვითამაშო — განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებს გამოთხოვილმა ბრაიან ლაუდრუპმა. სხვათა შორის, მისი ჯამაგირი კვირაში 82 ათასი დოლარია, რაც ათი ათასით აღემატება იმ ხელფასს, „გლაზგო რეინჯერსში" რომ იღებდა.

ლონდონელებს წარმატების იმედი აქვთ. მართალია, „კოპენჰაგენი" კერკეტი კაკალი გამოდგა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, დანიელთა გუნდში მაინც ნახევრადპროფესიონალები თამაშობენ, მათი წინააღმდეგობის დაძლევა კი „ჩელსის", წესით და რიგით, არ უნდა გაუჭირდეს.

— მეტოქის დამარცხების ხერხს, თამამად შეიძლება ითქვას, მივაგენით. „ჩელსი" ყველანაირად ეცდება, გასული სეზონის წარმატება გაიმეოროს. ძალიან გვინდა, თასების თასს ჯადო ავხსნათ — მიზნად მისი ზედიზედ მეორედ მოგება გვაქვს დასახული, ასეთი რამ ხომ ჯერ ვერავის მოუხერხებია, თანაც ფინალი ინგლისშია დანიშნული. ერთი სიტყვით, ძალას არ დავიშურებთ, რათა ეს შეხვედრა კი არა, მთლიანად თასების თასის წლევანდელი გათამაშება მოვიგოთ — განაცხადა ლონდონელმა მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ, კაცმა რომლის თავკაცობითაც „ჩელსიმ" ინგლისის ლიგის თასი, თასების მფლობელთა თასი და ევროპის სუპერთასი მოიპოვა.

მასპინძლებს იმედი ჰქონიათ, მეტოქეს გოლის გატანაში ხელს ყველანაირად შევუშლით, ამასთანავე თავადაც ვეცდებით, გავიტანოთ, მაგრამ თუ ვერ მოვახერხეთ, 0:0 ჩვენს სასარგებლოდ ამოქმედდებაო. „სტემფორდ ბრიჯზე" 1:1 იყო.

თასების თასის გათამაშებას შერჩენილი გუნდებიდან თუ შეიძლება ვინმე რეალურად მიიჩნიო „ჩელსის" მეტოქედ, უპირველეს ყოვლისა, ეს რომის „ლაციოა". იტალიელებსაც იგივე პრობლემა აქვთ გადასაჭრელი, რაც ლონდონელებს — „ლაციომ" ბელგრადის „პარტიზანთან" შინ ფრედ ითამაშა, ოღონდ 0:0.

იტალიის ჩემპიონატში უსახურ „სალერნიტანასთან" დამარცხებამ კლუბის მწვრთნელის სვენ გორან ერიქსონის პოზიციები ერთობ შეარყია, თუმცა შვედმა მწვრთნელმა „ლაციოს" ხელმძღვანელებს სიმშვიდისა და სიდინჯისკენ მოუწოდა.

— ჩავარდნა ვის არ ჰქონია. არც „ლაციოა" გამონაკლისი. ჩვენ დიდებისკენ მიმავალ გზას ახლა დავადექით. ამიტომაცაა, ერთი შეხედვით იოლად დასაძლევი ბარიერების გადალახვა რომ გვიჭირს. ვეცდებით, პარტიზანელებს ჩვენი თამაში მოვახვიოთ თავს და დავუმტკიცოთ, რომ მასზე ძლიერები ვართ. დროა, ბოლოდროინდელი წარუმატებლობები შევწყვიტოთ — თქვა მან.

რომელებს იუგოსლავიელ მეტოქესთან სათამაშოდ ხორვატი თავდამსხმელი ალენ ბოკშიჩი და იუგოსლავიელები — სინიშა მიხაილოვიჩი და დეიან სტანკოვიჩი დაეხმარებიან. სხვათა შორის, ექსიუვენტუსელმა ალენ ბოკშიჩმა სერია A-ს ბოლო ტურში უკვე ითამაშა, თუმცა მთელი შეხვედრა არა, მხოლოდ ნახევარი.

— ძალიან დასანანი იყო უეფას თასის ფინალში მარცხი. მე ეს ძალიან განვიცადე. მსურს, „ლაციოს" თასების მფლობელთა თასი მოვაგებინო. მართალია, ამ ბოლო ხანებში ტრავმებმა გამტანჯა, მაგრამ, როგორც იქნა, დავძლიე უშედეგობის პერიოდი და გამოვჯანმრთელდი. მინდა, ყველას დავუმტკიცო, რომ ალენ ბოკშიჩს შესწევს ბოლომდე ბრძოლის უნარი. იმასაც გეტყვით, რომ თუ მწვრთნელმა „პარტიზანთან" მათამაშა, გოლს უეჭველად შევაგდებ. აქ უკვე პირადი მიზეზი იქნება უმთავრესი — ბელგრადში ჩასულ ხორვატს ადგილობრივი ქომაგები მაინცდამაინც ტკბილად არ დახვდრიან. „ლაციოს" ვარჯიშისას, როგორც კი ბოკშიჩი ბურთს მიიღებდა, ქომაგთა სტვენა აუტანელი ხდებოდა. თუ რატომ, ეს ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

რაც შეეხება სხვა მატჩებს, მოსკოვის „ლოკომოტივი" თბილისის „დინამოსთვის" ავადსახსენებელ „ბრაგას" სტუმრობს. რუსეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებმა პორტუგალიელი მეტოქე შინ 3:1 დაამარცხეს, ორბურთიანი დეფიციტის გაქვითვა კი მასპინძელთათვის, მეტოქის სიძლიერის გათვალისწინებით, ძალიან ძნელი უნდა იყოს. სხვათა შორის, „ბრაგა" დღესდღეობით უმწვრთნელოდაა — ვიქტორ ოლივეირა ორშაბათს გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

რთულ სიტუაციაში ჩავარდნილა თურქეთის „ბეშიქთაში". სტამბოლელები უსახელო ნორვეგიულ „ვალერენგას" მასპინძლობენ, რომელთანაც ორი კვირის წინ 0:1 წააგეს. სკანდინაველთა სახელოვანმა მწვრთნელმა ეგილ ოლსენმა განაცხადა, მწამს, სტამბოლში სასურველ შედეგს მივაღწევთ და შემდეგ ეტაპზე გავალთო.

ფიქრს მისცემია „ბეშიქთაშის" მწვრთნელი, უელსელი ჯონ ტოშაკი — შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს ნიგერიელი თავდამსხმელი დანიელ ამოკაში. ტოშაკი მის შეცვლას ასევე ნიგერიელი კრისტოფერ ოჰენით აპირებს.

ერთი სიტყვით, თასების თასის უკანასკნელი გათამაშების მერვედფინალური მატჩები საკმაოდ საინტერესო უნდა იყოს. წინასამატჩო ამბები ამის იმედს იძლევა. რა როგორ იქნება, დღეს გამოჩნდება.



„ჩელსის" მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი საკმაოდ წარმატებული სამწვრთნელო კარიერის გაგრძელებას აპირებს




სარბიელის არქივიდან

მოსკოვის „ლოკომოტივის" და პორტუგალიური „ბრაგას" წარმომადგენლები კენჭისყრის შემდეგ ერთმანეთს უღიმოდნენ. დღეს ასე აღარ იქნება

**ირაკლი ილაშვილი**

# ...ნავა კი ის მადრიდში?

— „რეალი“ ყოველთვის დაინტერესე-...ლია ძლიერი ფეხბურთელებით. კლუ-...ს საკეთილდღეოდ ჩვენ თანხებს არა-...როს დავიშურებთ. „რეალი“ სამეფო ...ლუბია და მასში მხოლოდ უმაღლესი ...ლასის მოთამაშეები უნდა ირიცხებოდნენ. ...ივ მაკმანამანი უმაღლესი კლასის ფეხ-...ბურთელია, თუმცა იგი ჩვენთან არ თამა-...შობს — განაცხადა „რეალის“ ჰოლანდიე-...ლმა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა, რომე-...ლმაც დაინტერესებულ ჟურნალისტებს ქა-...რაგმით გაანდო ინგლისელი ნახევარმც-...ველის შეძენის სურვილი.

...სამშაბათს, ვალენსიაში, უეფას თასის ...თამაშების მეთექვსმეტედფინალის საპა-...სუხო მატჩზე მასპინძლებსა და „ლივე-...რპულს“ შორის, მადრიდელებმა კლუბის ...ტექნიკური დირექტორი ხოსე მარტინესს ბიჯი უფრო სამართლიანი იქნება. გუ-ნდის მწვრთნელებმა მაკმანამანის შეძენა უპრიანად ჩათვალეს. ჩვენც ყველანაირად ვეცდებით, კლუბი კიდევ უფრო გავაძ-ლიეროთ. მწვრთნელებმა და ხელმძღვანე-ლებმა რამდენჯერმე ვნახეთ „ლივერპუ-ლის“ თამაშების ვიდეოჩანაწერები. მაკმა-ნამანმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ახლა კი, როცა „რეალის“ ტექნიკურმა დირექ-ტორმა რჩეული საქმეში იხილა და აღფ-რთოვანდა, ინგლისელის შეძენა სერიო-ზულად მოვიწადინეთ. უახლოეს ხანებში მას შევეხმიანებით — თქვა „რეალის“ ვი-ცე-პრეზიდენტმა ხუან მანუელ ერერომ.

ზემოთ შესაძლო ტრანსფერის ერთ მხა-რეზე ვისაუბრეთ, თავად მთავარ გმირზე, სტივ მაკმანამანზე კი ერთი სიტყვაც არ გვითქვამს. ვერ გეტყვით, ესპანელმა ჟუ-



სტივ მაკმანამანს მადრიდში ეპატიჟებიან

...რი სწორედ რომ მაკმანამანის დასაზვე-...დ მიავლინეს. ესპანეთის ყველაზე ტი-...ულოვან გუნდს ლივერპულელთა გამ-...მაშებლის შეძენა ჯერ კიდევ სექტემბე-...რში ეწადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ...ხლა კი ფეხბურთელის შეძენის სურვი-...ლი კვლავ გამოთქვა. სურვილი მას შე-...ლეგ გაათმაგდა, რაც ვალენსიადან კლუ-...ბში დაბრუნებულმა ხოსე მარტინეს პირიმ ...მაკმანამანის საქმეში ხილვით გამოწვეუ-...ლი აღფრთოვანება ვერ დამალა.

— ის, რომ დღეს მაკმანამანმა შესანიშ-...ნავად ითამაშა, მხოლოდ ჩემი აზრი არ ...ახლავთ. მართალია, რომ აქ მის სანახა-...ვად ჩამოვედი. თუმცა ჩემი ვალენსიაში ...ვიზიტის მიზანი ამით არ ამოწურულა. ...ისიც სრული სიმართლე გახლავთ, რომ ...„რეალს“ ძალიან უნდოდა ინგლისელი ...ფეხბურთელის გადაბირება, მაგრამ ყვე-...ლაფერთან ერთად ისიც კარგად გვახსოვს, ...მაკმანამანის და „ლივერპულს“ შორის და-...დებული კონტრაქტი სეზონის ბოლომდე ...რომ გრძელდება — განუცხადა მარტინეს ...პირიმ ვალენსიაში გარსშემოხვეულ ჟურ-...ნალისტებს.

...ესეც ასე. მაკმანამანმა ესპანური ფეხბუ-...რთის მეორე გრანდი დააინტერესა. მანა-...მდე ლივერპულელის გადაბირება „ბარ-...სელონას“ უნდოდა, მაგრამ კოვზი ნაცა-...რში ჩაუვარდა. შეძლებენ თუ არა ჩემპიო-...ნთა თასის მფლობელი გუნდის ხელმძღ-...ვანელები საქმის მოკვარახჭინებას და სტივ ...მაკმანამანის შეძენას, ამაზე დღესდღეო-...ბით გადაჭრით საუბარი ძნელია.

— ვეცდებით, თავად მაკმანამანს დავუ-...კავშირდეთ. ამ შემთხვევაში ჩვენი ეს ნა-რნალისტებმა „რეალის“ მაკმანამანით და-ინტერესების ამბავი იცოდნენ თუ სხვა რამ, მაგრამ ფაქტია, რომ „ლივერპულის“ ნახევარმცველს მადრიდულ კლუბში გა-დასვლის შესაძლებლობაზე ვალენსიაში ჩასვლისთანავე დაეკითხნენ.

— აქ ვინმესთან მომავალ გეგმებზე სა-საუბროდ არ ჩამოვსულვარ. წინ მეტად საპასუხისმგებლო თამაში გვაქვს და მთ-ლიანად მასზე ვარ კონცენტრირებული. სხვა რამისთვის არ მცალია. რაც შეეხება ჩემი და „ლივერპულის“ ურთიერთობას, ვიმედოვნებ, რომ იგი კიდევ უფრო მჭი-დრო გახდება — განუცხადა მაკმანამანმა ესპანეთის ტელევიზია TVE-ს ჟურნალი-სტებს.

„ლივერპულთან“ ურთიერთობის გაღ-რმავებაში მაკმანამანმა სავარაუდოდ კლუ-ბთან კონტრაქტის გაგრძელება იგული-სხმა — ფეხბურთელს ენფილდროუდე-ლებთან დადებულ ხელშეკრულებას ვადა სეზონის დასრულებისთანავე გადის, აი, მერე რა მოხდება, არავინ იცის. ამბობენ, „ლივერპული“ კონტრაქტის გაგრძელება-ზე უარს ამბობსო, თუმცა ეს მხოლოდ ჭორის დონეზეა ცნობილი.

...ის მატჩი, რომელზეც ვალენსიაში ჩა-სული სტივ მაკმანამანი და მასთან ერთად მთელი „ლივერპული“ გახლდათ კონცენ-ტრირებული, ფრედ 2:2 დასრულდა. შე-მდეგ ეტაპზე სტუმრად გატანილი გოლე-ბის წყალობით ლივერპულელები უდა-ვოდ დამსახურებულად გავიდნენ. ინგლი-სელებმა შესანიშნავად ითამაშეს. თავად მაკმანამანმა კი ლამაზი გოლი გაიტანა.

**ირაკლი ილაშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

### უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი.

5 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი — ლევერკუზენი | (1,3-2,8) | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### თასების თასი. მერვედფინალი

5 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პარტიზანი — ლაციო | (3,5-1,2) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ბეშიქთაში — ვალერენგა | (1,4-2,3) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ვარტექსი — ჰერენვენი | (2,8-1,3) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| მალიორკა — გენკი | (1,15-4,0) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| აპოლონი — პანიონისი | (2,0-1,5) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| მაკაბი — რიდი | (1,6-1,8) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბრაგა — ლოკომოტივი | (5,0-1,1) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| კოპენჰაგენი — ჩელსი | (3,1-1,25) | 4,7 | 3,0 | 1,7 |

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| ვერდერი — დორტმუნდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| დუისბურგი — ნიურნბერგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 7 ნოემბერი | | | |
| ბოხუმი — ჰერტა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვოლფსბურგი — მიონხენგლადბახი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ჰამბურგი — შალკე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბაიერნი — მიუნხენი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ფრაიბურგი — კაიზერსლაუტერნი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ჰანზა — აინტრახტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ლევერკუზენი — შტუტგარტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| კიკერსი — უნტერჰახინგი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ვატენშაიდი — კარლსრუე | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ურდინგენი — ჰანოვერი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ფიურტი — არმინია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| გიუტერსლო — კოტბუსი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ობერჰაუზენი — ზანქტ პაული | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ფორტუნა — მაინცი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| დიუსელდორფი — ულმი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 9 ნოემბერი | | | |
| ბერლინი — კიოლნი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ასტონ ვილა — ტოტენჰემი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ბლექბერნი — ქოვენთრი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ჩარლტონი — ლესტერი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ლივერპული — დერბი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ნოტინგემი — უიმბლდონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| საუთჰემპტონი — მიდლსბრო | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 8 ნოემბერი | | | |
| არსენალი — ევერტონი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| მანჩესტერი — ნიუკასლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ვესტ ჰემი — ჩელსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ლიდსი — შეფილდ უენსდეი | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ბარნსლი — ბერი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ბრისტოლი — ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ქრიუ — სვინდონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| კრისტალ პალასი — პორტსმუთი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ჰადერსფილდი — იფსვიჩი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ნორვიჩი — ბრედფორდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ქუინზ პარკი — ბოლტონი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| შეფილდ იუნაიტედი — ტრანმერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სანდერლენდი — გრიმსბი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,5 |
| უოტფორდი — ოქსფორდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ვესტ ბრომვიჩი — ბირმინგემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 8 ნოემბერი | | | |
| სტოკპორტი — პორტ ვეილი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| მარსელი — მონაკო | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ბასტია — ლორიანი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 7 ნოემბერი | | | |
| ბორდო — ტულუზი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| სტრასბური — ნანსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ოსერი — ნანტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| მონპელიე — პარი სენ ჟერმენი | 3,6 | 2,8 | 2,0 |
| მეცი — ლიონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ლე ავრი — ლანსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| რენი — სოშო | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 ნოემბერი | | | |
| ბარი — პარმა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ბოლონია — რომა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| კალიარი — პიაჩენცა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ფიორენტინა — ვენეცია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ლაციო — ემპოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| მილანი — ინტერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| პერუჯა — ვიჩენცა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სამპდორია — სალერნიტანა | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| უდინეზე — იუვენტუსი | 2,6 | 2,8 | 2,5 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ლეჩე — ვერონა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ატალანტა — ლუკეზე | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| კიევო — ჯენოა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| კრემონეზე — ჩეზენა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| მონცა — ტორინო | 2,7 | 2,7 | 2,5 |
| ნაპოლი — ფ. ანდრია | 1,4 | 3,1 | 9,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,2 |
| პესკარა — ტერნანა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| რავენა — კოზენცა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| რეჯინა — რეჯანა | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| ტრევიზო — ბრეშა | 2,0 | 2,7 | 3,6 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. პრიმერა დივიზიონი. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ესპანიოლი — ბეტისი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ატლეტიკო — დეპორტივო | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| მალიორკა — ვილიარეალი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,5 |
| ტენერიფე — ვალიადოლიდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ოვიედო — ბარსელონა | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| სოსიედადი — ბილბაო | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| სალამანკა — სარაგოსა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ვალენსია — რასინგი | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| სელტა — ესტრემადურა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ალავესი — რეალი | 4,2 | 2,9 | 1,8 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7-8 ნოემბერი | | | |
| ბადახოსი — ოსასუნა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ლეგანესი — ერკულესი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| მერიდა — ბარსელონა B | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| რეკრეატივო — ალბასეტე | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ორენსე — ტოლედო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სევილია — ეიბარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| კომპოსტელა — სპორტინგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ნუმანსია — ლას პალმასი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლეიდა — მალიორკა B | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლოგრონიესი — ატლეტიკო B | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| მალაგა — რაიო ვალეკანო | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| ბოავიშტა — შავეში | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 7 ნოემბერი | | | |
| ბეირა მარი — კამპომაიორენსე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ფარენსე — რიუ ავე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლეირია — სეტუბალი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| მარიტიმუ — ამადორა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| გიმარაეში — სპორტინგი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ალვერკა — აკადემიკა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 9 ნოემბერი | | | |
| ბრაგა — პორტუ | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| 10 ნოემბერი | | | |
| სალგეირუში — ბენფიკა | 4,2 | 2,9 | 1,8 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| ვალვაიკი — უტრეხტი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 7 ნოემბერი | | | |
| გრააფსხაპი — ტილბურგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| როდა — კამბური | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 8 ნოემბერი | | | |
| სპარტა — მაასტრიხტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ვიტესი — ნაიმეგენი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბრედა — ფეიენოორდი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| ალკმაარი — აიაქსი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ტვენტე — ეინდჰოვენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ჰერენვენი — სიტარდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ოსტენდე — ანდერლეხტი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| სტანდარდი — ლომელი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| გენტი — სენტ ტრუიდენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| შარლერუა — ვესტერლო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბევერენი — მუსკრონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლიერსი — ჰარელბეკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 8 ნოემბერი | | | |
| გენკი — ეკერენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| კორტრაიკი — ბრიუგე | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| აალსტი — ლოკერენი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| ანთალია — ფენერბაჩე | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 7 ნოემბერი | | | |
| ტრაბზონი — ქარაბუქი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ალთაი — ისთანბული | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| გაზიანთეფი — ერზურუმი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| საქარია — სამსუნი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ანკარაგუჯუ — გენჩლერბირლიგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბურსა — ქოჯაელი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| დარდანელი — გალათასარაი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| ბეშიქთაში — ადანა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| აბერდინი — დანფერმლაინი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| სელტიკი — დანდი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| დანდი იუნაიტედი — მოზერველი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ჰართსი — კილმარნოკი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 8 ნოემბერი | | | |
| სენტ ჯონსტონი — რეინჯერსი | 4,4 | 2,8 | 1,8 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| რაპიდი — ტიროლი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| 7 ნოემბერი | | | |
| გრაცერი — შტურმი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ზალცბურგი — აუსტრია | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ლინცერი — შტაირი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| ლუსტენაუ — რიდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ქსამაქსი — ბაზელი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ლუგანო — ლუცერნი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სენტ გალენი — სერვეტი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| იანგ ბოისი — სიონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ლოზანა — არაუ | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| გრასჰოპერი — ციურიხი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

## ფეხბურთის რუკასთან



**ნორვეგიის** ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ეგილ ოლსენმა, რომელიც ამჟამად თურქეთში იმყოფება, განაცხადა, რომ ფეხბურთისგან მინიმუმ 1 წლით დასვენებას აპირებს. ქვეყნის პირველი გუნდიდან საკუთარ ნება-სურვილით წასვლის შემდეგ ოლსენი იმდროისთვის ქვეყნის ჩემპიონატის ერთპიროვნულ აუტსაიდერს „ვალერენგას" ჩაუდგა სათავეში. იმ ხანებში კლუბი 14-გუნდიან ჩემპიონატში ბოლო გახლდათ, თუმცა ოლსენის ხელში თითქმის ყველა თამაში მოიგო და პირველობა საბოლოოდ მეშვიდე ადგილზე დაასრულა. „ვალერენგამ" თასების მფლობელთა თასის გათამაშების საგზურიც მოიპოვა, პირველ მერვედფინალურ შეხვედრაში კი შინ სტამბულის „ბეშიქთაშიც" დაამარცხა 1:0. ახლა გუნდი თურქეთში საპასუხო მატჩის სათამაშოდ ჩავიდა და ოლსენიც ამიტომ აღმოჩნდა სტამბოლში. „27 წელიწადია, ფეხბურთში ვტრიალებ. არასდროს დამისვენია. ახლა კი ვგრძნობ, ამის დროც მოვიდა. „ვალერენგამ" საკმაოდ ხელსაყრელი სამუშაო კი შემომთავაზა, მაგრამ მაინც დასვენება ვარჩიე. დროა, უფეხბურთო ცხოვრებას მივეჩვიო" — განუცხადა გამოცდილმა მწვრთნელმა ნორვეგიის ყოველდღიურ გაზეთ „დაგსავისენს". ცნობისთვის: ნორვეგიის ნაკრებმა 1994 და 1998 წლების მსოფლიო ჩემპიონატების საგზური სწორედ ოლსენის ხელმძღვანელობისას მოიპოვა.

**არგენტინის სახელმწიფო მოსამართლემ, ვიქტორ პეროტამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის დაგეგმილი ყველა შეხვედრის გამართვა აკრძალა, გარდა უმაღლესი დივიზიონის თამაშებისა. მოსამართლის ასეთი მკაცრი გადაწყვეტილების მიზეზი ის არეულობა გახლავთ, პირველობის მატჩებზე რომ სუფევს. არგენტინაში, კალენდარული ტურის შეხვედრებისას ხშირია ფეხბურთელთა ცემა, მსაჯების შეურაცხყოფა, ქომაგთა შორის ჩხუბი, შიგადამიგ, ადამიანებიც ეწირებიან ხოლმე სულელურ აყალმაყალს. „ამ ბოლო დროს საშინელი ამბები მესმის. მეტიც, ორ-სამ შემთხვევაში არეულობის მოწმე თავადაც გახლდით. ჩემი გადაწყვეტილება, ვგონებ, ფეხბურთს თუ არ არგებს, ბევრითაც არ დააზარალებს. ამით ხალხს ნორმალური ცხოვრების პირობები შეუნარჩუნდება" — თქვა პეროტამ, რომელსაც, თურმე, სიკვდილითაც კი დამუქრებიან. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ ის მხარს დაუჭერს სახელმწიფო სასამართლოს ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომლებიც ფეხბურთის სასიკეთოდ იქნება მიღებული. ახლა ქვეყნის ფეხბურთის მმართველნი ქვედა ლიგების კლუბებს უსაფრთხოების ზომების მიღებას სთხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დისკვალიფიკაციით ემუქრებიან. პეროტას ახალმა კანონმა ქვეყნის უამრავი პატარა კლუბი აზარალა. შეგახსენებთ, რომ არგენტინის ჩემპიონატი გაზაფხულზე ერთხელ უკვე შეწყდა იმავე მიზეზის გამო. მაშინ კანონი ყველა ლიგას შეეხო.**

**იტალიელმა** მცველმა კრისტიან პანუჩიმ სამშაბათს, „შტურმთან" თამაშისწინა ვარჯიშზე საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო და სავარაუდოდ, 2 კვირა იმკურნალებს. შესაბამისად, ვერ ითამაშებს. ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ მადრიდის „რეალის" ექიმმა ალფონსო დელ კორალმა, რომელსაც უპირველესად მოეკითხება ესპანეთის უტიტულოვანესი კლუბის ფეხბურთელთა ჯანმრთელობის ამბავი. პანუჩის, არნოლდ შვარცენეგერის სახელობის სტადიონზე წვრთნისას მუხლი დაუზიანებია.

**იუგოსლაველმა მწვრთნელმა, ბორა მილუტინოვიჩმა ამერიკის მეიჯორ სოკერ ლიგის კლუბ „ნიუ იორკ ნიუ ჯერსი მეტროსტარზთან" კონტრაქტი კიდევ ორი წლით გააგრძელა. ამიერიდან საქვეყნოდ ცნობილი მწვრთნელი კლუბს 2000 წლის ჩათვლით უთავკაცებს. მილუტინოვიჩი ნიუ იორკის საფეხბურთო გუნდს 21 სექტემბერს ჩაუდგა სათავეში და პირველივე შეხვედრაში გამარჯვება მოაპოვებინა. ნიუიორკელები მეიჯორ სოკერ ლიგის ნახევარფინალშიც გავიდნენ, მაგრამ იქ „კოლუმბუს ქრიუსთან" დამარცხდნენ. „თავს შესანიშნავად ვგრძნობ. აქ ყველანაირი პირობაა ნაყოფიერი მუშაობისთვის. მეც ძალებს არ დავზოგავ, შევეცდები, გუნდს სიკეთე მოვუტანო. ნიუ იორკში ყოფნა ერთი სიამოვნებაა" — განაცხადა მილუტინოვიჩმა. 54 წლის მწვრთნელი ერთი ხანობა აშშ-ის ნაკრებსაც თავკაცობდა. სხვათა შორის, იგი მსოფლიოში ერთ-ერთია იმ ორი მწვრთნელიდან, ვისაც ოთხი სხვადასხვა გუნდისთვის უხელმძღვანელია მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე — 1986 წელს მილუტინოვიჩი მექსიკის ნაკრებს წვრთნიდა, 1990-ში კოსტა რიკელთა თავკაცი გახლდათ, 1994 წელს აშშ-ის გუნდს ხელმძღვანელობდა, წლეულს, საფრანგეთში კი ნიგერიელ „სუპერარწივებს" ედგა სათავეში. ამდაგვარი მიღწევით კიდევ მხოლოდ ბრაზილიელი კარლოს ალბერტო პარეირა თუ დაიკვეხნის.**

**ინგლისელმა** ვეტერანმა ფეხბურთელმა ჯეფრი ჰერსტმა, რომლის ჰეთ თრიკმაც ინგლისს 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა, ხმა აიმაღლა და სასტიკად დაგმო სამხრეთი აფრიკის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლის, დანი ჯორდაანის ამასწინანდელი გამოსვლა. შეგახსენებთ, რომ ინგლისი, ისევე, როგორც სამხრეთი აფრიკა, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოპოვებისთვის იბრძვის. რამდენიმე დღის წინ ჰერსტისგან შერისხულმა დანი ჯორდაანმა, რომელიც სამხრეთი აფრიკელთა სარეკლამო კომპანიას ხელმძღვანელობს, ქულების დასაწერად განაცხადა, რომ ინგლისის სტადიონები საუკუნის შუა წლებშია აგებული და თანამედროვე სტანდარტებს არ შეეფერება. ჯეფრი ჰერსტმა აფრიკელის გამოსვლას ბრიყვული უწოდა. „ინგლისის სტადიონები მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება. ბოლო წლებში მილიარდ გირვანქამდე დავხარჯეთ მათ გასაუმჯობესებლად. კიდევ 520 მილიონი გირვანქა კი „უემბლის" კაპიტალური რემონტისთვისაა გამოყოფილი. ის, რასაც დანი ჯორდაანი ამბობს, უდიდესი სისულელეა" — თქვა ჰერსტმა.

**გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი უახლოეს დღეებში საგანგებოდ შეიკრიბება და იმსჯელებს, თუ რა სახით დასაჯონ ბუნდესლიგის კლუბი „ბოხუმი", ძველი გუნდის მეკარე ტომას ერნსტი. ბოხუმელთა კარის დარაჯი გუშინწინ მეორედ შეამოწმეს დოპინგკონტროლზე და იგი კვლავ ჩავარდა. 26 სექტემბერს „კაიზერსლაუტერნთან" სტუმრად 3:2 მოგებული შეხვედრის შემდეგ ერნსტის სისხლში აკრძალული პრეპარატის შემცველობა აღმოუჩინეს, თუმცა მეორე შემოწმებასაც დაელოდნენ. ამჯერად ერნსტი საბოლოოდ ამხილეს არასპორტულ საქციელში. არაა გამორიცხული, იგი დისკვალიფიკაციით დასაჯონ, კლუბს კი საგრძნობი ფულადი ჯარიმა დააკისრონ.**

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა ქვეყნის პირველი დივიზიონის კლუბ „კრისტალ პალასის" ჩინელი მცველი ფან ზიუი არბიტრის შეურაცხყოფისთვის სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ფან ზიუიმ ნერვები „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან" ერთ-ერთი მორიგი შეხვედრისას ვერ მოთოკა. იმავე მატჩში, რომელიც, სხვათა შორის, კრისტალ პალასელებმა წააგეს, ორი გაფრთხილების გამო ფან ზიუის თანამემამულე, ასევე მცველი, სან ხიაი გააგდეს. „კრისტალ პალასის" მწვრთნელმა, ტერი ვენეიბლზმა ფეხბურთელების საქციელი სასტიკად დაგმო და სამარცხვინო უწოდა.

**ესპანეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები, ნახევარმცველი ანდონი გოეკოეჩეა და თავდამსხმელი ხულიო სალინასი იაპონიის ჯეი ლიგის კლუბ „იოკოჰამა მარინოსის" დატოვებას აპირებენ. ფეხბურთელებს, რომლებსაც ესპანეთის ღირსება შესაბამისად 36-ჯერ და 56-ჯერ დაუცავთ, გუნდის შემადგენლობაში ვეღარ ხვდებიან, არადა, ორიოდ კვირის წინ „იოკოჰამა მარინოსი" მათ გარეშე წარმოუდგენელი ჩანდა. ბოროტი ენები ამბობენ, ფეხბურთელებს კლუბის მფლობელთან კონფლიქტი მოსვლიათო, თუმცაღა, ეს ოფიციალურად დადასტურებული არაა. სხვათა შორის, „ბარსელონაში" იოჰან კრუიფის მოღვაწეობის პერიოდში ორივე ფეხბურთელი კატალონიელთა ღირსებას იცავდა.**

### ქართველები საბჭოთა ნაკრებში



10

# გივი ნოდია

ძნელია, წერო ადამიანზე რომელსაც თითქმის შენი ასაკის ტოლი საფეხბურთო კარიერა აქვს, რომლის თამაში არ გინახავს და შთაბეჭდილებას მხოლოდ მასზე წაკითხული და გაგონილი გიქმნის. მას ერთხელ უთქვამს, ყველაზე დიდი ბედნიერება ჩემთვის ის იქნება, თუკი მომავალ თაობებს გივი ნოდიას შესახებ რაიმე ეცოდინებათო. იციან, ბატონო გივი, მართლა იციან...

სპორტს აქვს ერთი საუცხოო თვისება. იგი აფთიაქარის სიზუსტით აღნუსხავს როგორც გუნდის, ასევე ცალკეული სპორტსმენის შედეგებს და თითოეულს თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს. გივი ნოდიას მართლაც მისთვის შესაფერისი, ღირსეული ადგილი უჭირავს ქართული ფეხბურთის მატიანეში.

ახლა ცოტა სტატისტიკა მოვიშველიოთ და დანარჩენი თავად განსაჯეთ. მან საკავშირო შეჯიბრებებში და ოფიციალურ საერთაშორისო შეხვედრებში 110 გოლის გატანა შეძლო. 21-ჯერ ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. არაერთხელ დაასახელეს „33 საუკეთესოს" შორის. ერთხელ ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულიც მოიპოვა, ოთხჯერ დაეუფლა საკავშირო ჩემპიონატების ბრინჯაოს მედალს. მაგრამ მან, მისი თაობის ბევრი ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელის მსგავსად, სანუკვარ მიზანს ვერ მიაღწია — ვერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. ამასთან დაკავშირებით ბატონ გივის მრავალი წლის შემდეგაც ბევრჯერ სინანულით უთქვამს — დროთა განმავლობაში ჩემი საფეხბურთო ცხოვრების გამორჩეული წარმატებები ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა, ჩემპიონობა კი სხვა იქნებოდა, დაუვიწყარი და განუმეორებელი. მეც მუდამ ამისკენ ვისწრაფოდი, მაგრამ ვერ შევძელი, ვერ ავიხდინე ოცნება.

თამაშის წინ გივი ნოდია განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. თავისი ათლეტური თანაგუნდელებისგან განსხვავებით, ტანმორჩილი და მხარში ოდნავ აწურული, ყურადღებას არ იპყრობდა, მაგრამ იწყებოდა თამაში და ნოდია თვალნათლივ გარდაიქმნებოდა ხოლმე ძალიან სწრაფ, უაღრესად აგრესიულ თავდამსხმელად, რომელსაც ყველაზე ხელსაყრელი პოზიციის შერჩევის საოცარი გუმანი ჰქონდა და ეს ყველაფერი ხშირად მისი გატანილი გოლით მთავრდებოდა.

1967 წელს ნოდიამ პირველად მოირგო თბილისის „დინამოს" მაისური. იმ პერიოდში დინამოელებს საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული შეხვედრა უწევდათ მოსკოვში ადგილობრივ თანაკლუბელებთან. ეს ის პერიოდია, როდესაც მოსკოველები აშკარად ჩაგრავდნენ ჩვენს გუნდს, მანამდე სათასო შეხვედრაშიც სძლიეს და ჩემპიონატშიც ჯიქურ მიიწევდნენ მწვერვალისკენ. რა გასაკვირია, რომ ამ მატჩშიც ფავორიტებად მასპინძლები ითვლებოდნენ. თამაშიც მათი სრული უპირატესობით წარიმართა. მასპინძლები მომენტს მომენტზე ქმნიდნენ, სტუმრები საკუთარ კარს მიჯაჭვოდნენ და გოლიც გარდაუვალი ჩანდა. და გოლი გავიდა, გავიდა ოღონდ მოსკოველთა კარში. იშვიათი კონტრშეტევის დროს თბილისელებმა კუთხურის უფლება მოიპოვეს. იქედან ჩაწოდებულ ბურთს კი, მანამდე ჩრდილში მდგომი ნოდია წარმოუდგენელი ინტუიციით დაუხვდა. იგი იმ ადგილას გაჩნდა, სადაც წესით და რიგით ვერ უნდა მოხვედრილიყო, მაგრამ იქ იყო ბურთი... უტყუარი ალღოთი დაჯილდოებულმა ქართველმა ცენტრფორვარდმა წარმოუდგენელი სირთულის გოლი გაიტანა. იმ შეხვედრაში შემდეგ ანგარიში აღარც შეცვლილა...

ნოდიას თამაშში აქცენტი საფეხბურთო ტექნიკაზე არ კეთდებოდა ისე, როგორც თანამედროვე ფეხბურთში ესმით. იგი არც განსაკუთრებული ფიზიკური აღნაგობით თუ მომზადებით გამოირჩეოდა. უბრალოდ, ნოდიას ჰქონდა ორი დიდი კოზირი, რაც ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა — წმინდა საფეხბურთო აზროვნება და ინტუიცია, ბურთის შეგრძნების საოცარი უნარი. წარმოიდგინეთ მატჩი, სადაც თითქოს არაფერი არ ხდება, ბურთს მშვიდად აგორებენ და იმ მომენტში თამაშის გამწვავებას არავინ ელის და უცებ ერთი გუნდის საჯარიმოში ჩოჩქოლი შეიმჩნევა, მცველებს აღელვება ეტყობათ და უკვე მათი თავგანწირვაც ვერაფერს შეცვლის... გოლი გავიდა, ნოდიას გოლი.

წარსულში ცნობილ ერთ ფეხბურთის სპეციალისტს უთქვამს, გივი ნოდიას თამაში ზედმიწევნით ჰგავსო ნიანგის ნადირობას, როცა ეს საშიში მტაცებელი გაინაბება, გაირინდება, გაიტვრინება, თავს მოიმკვდარუნებს, რათა შემდგომ წამს იფეთქოს, კამარა შეკრას და სატევარივით ბასრი კბილებით მომაკვდინებელ რკალში მოაქციოს მოტყუებული მსხვერპლი. ვერაფერს იტყვი, მშვენიერი, ამავდროულად ზუსტი შედარებაა. გივი ნოდია თითოეულ მატჩში მომენტის შერჩევისთვის იბრძოდა, თავის ჯერს ელოდა და როცა ასეთი წუთი დგებოდა, მოწინააღმდეგე განწირული იყო, გოლი — გარდაუვალი.

იშვიათი გამონაკლისის გარდა ნოდიას ძალიან ჩვეულებრივი გოლები გაქონდა. იგი ხშირად ამატებდა მეკარის მოგერიებულ, ანაც ძელიდან ასხლეტილ ბურთს. კარგად სარგებლობდა საჯარიმოში შექმნილი არეულობით. ეს არ იყო

# გოლი, ნოდიას გოლი!



ალექსანდრე როინაშვილის ფოტო

1966 წელი. თბილისის „დინამო" — მოსკოვის „ტორპედო". გივი ნოდია, როგორც ყოველთვის, მცველთა თავის ტკივილი იყო

თვალისმომჭრელი დრიბლინგი, ფინტების კასკადი, ეფექტური დარტყმები. მას უბრალოდ გაჰქონდა, ერთი შეხედვით არაფრისმთქმელი (თუკი შეიძლება გოლს ასე ვუწოდოთ), მაგრამ ყოველთვის ასე საჭირო გოლი.

მის მიმართ ხშირად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, თამაშის დროს ბოლომდე არ იხარჯება, ბრძოლას თავს არიდებსო. უფროსებისგან მსმენია, ხშირად გვინახავს ნოდია ბრძოლის ეპიცენტრს მოწყვეტილი და გაზონზე მშვიდად, დინჯად მოსიარულე, თითქოს მის ირგვლივ არაფერი არ ხდება. ტრიბუნებიდან ბევრჯერაც მოუთხოვიათ ნოდიას შეცვლა, მაგრამ მატჩის ბოლოს მისთვის ყოველთვის ტაში დაუკრავსო. საოცარია არა? 1973 წელს, ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში, თბილისის „დინამო" მინსკელ თანაკლუბელებს მასპინძლობდა. „ლოკომოტივზე" გამართულ იმ შეხვედრაში კაცმა, რომელიც ბოლომდე არ იხარჯებოდა, რომელიც ოფლის დაუღვრელად თამაშობდა და ხშირად ბრძოლას თავს არიდებდა, ოთხი გოლი გაიტანა მეტოქის კარში და ბოლოს სიხარულისგან აზვირთებულ ტრიბუნებს მოკრძალებით გაშორდა. ერთ-ერთმა ერთობ საბჭოური გაზეთი ამ მატჩის რეცენზიაში წერდა: „მართალია, ნოდიამ ოთხი გოლი გაიტანა, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მატჩის განმავლობაში იგი მხოლოდ ოთხჯერ შეწუხდა და გაიქცა".

წარმოგიდგენიათ, ოთხჯერ გაიქცაო. ეტყობა, ამის დამწერმა რუსმა ჟურნალისტმა იფიქრა, ხომ მაინც გავკენწლე ქართველი ფეხბურთელიო. საკითხავია, კრემლის ხუთქიმიანი ვარსკვლავით განათებული უძლეველი ქვეყნის შვილს რამდენი ისეთი ფეხბურთელი ჰყავდა ნანახი, რომელსაც ყოველ გაქცევაზე გოლი გაჰქონდა.

1972 წლის 13 სექტემბერი — დღე, რომელიც სამუდამოდ გახდა ქართული ფეხბურთის ისტორიის კუთვნილება. ამ დღეს თბილისის დინამოელებმა თავიანთი პირველი ოფიციალური საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს ჰოლანდიური „ტვენტეს" წინააღმდეგ. მოგვიანებით, თამაშის შემდეგ, სტუმართა მთავარი მწვრთნელი კონი იტყვის — „ბრწყინვალე იყო ცენტრფორვარდი ნოდია. მინდორზე გამოსვლამდე შთაბეჭდილებას არ ახდენდა, მაგრამ რა ყოფილა თამაშში! უაღრესად ჭკვიანი ფეხბურთელია". შემოდგომის იმ საღამოს ნოდია მართლაც შეუდარებელი იყო. არადა, თავიდან გავრილ კაჩალინს მისი სასტარტო შემადგენლობაში დაყენებაც არ სურდა, ფეხბურთელს მცირედი ტრავმა აწუხებდა, მაგრამ მრავლისმნახველი სპეციალისტი ბოლომდე ენდო გამოცდილ, ჭკვიან ცენტრფორვარდს, ენდო და არც წააგო. ის შეხვედრა „დინამომ" მოიგო. დროფტის და ორანენის გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფმა ნოდიამ ცეცხლი დაანთო მეტოქის საჯარიმოში. შედეგად აზვირთებული ტრიბუნები კვლავ ზეიმობდნენ, გოლს ზეიმობდნენ, ნოდიას გოლს.

**ბაათა ძმანტალიანი**

საპორტას თასი. სპარტაკი — ულმი

# ვაშაკიძის გუნდი კვლავ არეულია

...საპორტას თასის მეექვსე ტურში კვლავ ...დამარცხდა ჩვენებური ირაკლი ვაშაკი...ძის „სპარტაკი". მოსკოველები ამჯერად ...გერმანულმა „ულმმა" იმსხვერპლა, რომე...ლიც უდანაკარგოდ ლიდერობს გათამა...შების G ჯგუფს:

— მოსალოდნელიც იყო, რომ წავაგე...ბდით. გუნდში არცთუ სასიამოვნო ატმო...სფეროა, რის მიზეზიც ფინანსური სიძნე...ლეება. რამდენიმე მოთამაშემ მიგვატოვა ...კიდეც და ახლა, როცა ყველაფერი ნელ-...ნელა უმჯობესდება, მათი შემცვლელების ...მოძიება არ ხერხდება. ამას დრო სჭირდება.

— **თამაში როგორ წარიმართა?**

— როგორც ყოველთვის, შეხვედრა ხუ...თეულში დავიწყე. თავიდან თითქოს ყვე...ლაფერი გამოგვდიოდა და პირველი ტა...ის შემდეგ ანგარიშიც თანაბარი იყო. ...მეორე ნახევარში გამოჩნდა, რომ გუნდი არასწორად არის დაკომპლექტებული. ავი-რიეთ და მეტოქემაც ხელიდან არ გაუშვა გამარჯვების შანსი. პირადად მე 9 ქულა გავაკეთე.

— **მოსეშვილმა ნაკრებშიც გამოგიძახა. ალბათ, ელოდი კიდეც?**

— სიმართლე გითხრათ, ველოდი. რაც მოსეშვილი ნაკრებს თავკაცობს, ყოველთვის მეძახის. ახლა რატომ გამომტოვებდა?

— **თავად როგორ ატყობ, კარგად ხარ მომზადებული?**

— მანდ რა, უკეთესი მომზადებულები იქნებიან? რა მომზადება, რის მომზადება, ეგაა, რომ ქართველი ვარ და ეროვნულ საქმეს ვერ ვუღალატებ, ვალდებული ვარ, ნაკრებში ვითამაშო.

— **ვატყობ, არც გაგხარებია.**

— რა უნდა გამხარებოდა? ჩვეულებრივი ამბავია. ისე, არ დაგიმალავთ — ასე მგონია, საქართველოში კალათბურთი არავის აინტერესებს. ვერ ხედავთ, რომ სულ უკან-უკან მივდივართ? ასეც გაგრძელდება. ამაში დარწმუნებული ვარ.

ჩვენში 3-4 კაცი თუ დარჩა, ვისაც ნალდად შეუძლია თამაში, დანარჩენებისა კი რა მოგახსენოთ. ვინც ბურთს დააბრახუნებს, ყველას კალათბურთელი როდი უნდა დაუძახო.

აი, სტეფანია და ნაცვლიშვილი. ეს ბიჭები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, თორემ წავლენ და მორჩა. დამთავრდება ქართული კალათბურთი.

— **შენ როდის შეუერთდები გუნდს?**

— ამას წინათ თბილისიდან დამირეკეს და შევთანხმდით, 18 ნოემბერს ისრაელში ჩავალ, თუ, რა თქმა უნდა, ეს შეკრება საერთოდ მოხერხდა.

საპორტას თასი. სლოვაკოფარმა — ტელეკომი

# ბერძენიშვილი განაცხადში მოხვდა

...ყველაფერი გაირკვა. საპორტას თასის წლევანდელ გათამა...შებაში დავით ბერძენიშვილის უთამაშებლობა (ეგ კი არა, განა...ცხადშიც ვერ ხვდებოდა) ხორვატი ლოვრიჩის ბრალი ყოფი...ლა. წავიდა გუნდიდან ხორვატი ცენტრი და „სლოვაკოფარმას" ...განაცხადში ჩვენთვის სასურველი გვარიც ამოვიკითხეთ.

...მართალია, ბერძენიშვილს თურქულ „ტელეკომთან" არ უთა...მაშია, მაგრამ ის, რომ ჩვენებური კლუბში მყარად დამკვიდრდა, ...ეს სასიამოვნო ფაქტად უნდა მოვიჩნიოთ.

— დიახ, ლოვრიჩი გუნდიდან გაუშვეს. მიხვდნენ, რომ იმ ...ფულად არ ღირდა, რასაც უხდიდნენ. ამით მეც ვიხეირე, — ...გუნდში ადგილი დავიბრუნე და მომდევნო მატჩებს აუცილე...ბლად ვითამაშებ.

— **ძალიანაც კარგი. ახლა კონკრეტულად თურ...ქებთან თამაშზეც გვითხარი.**

— მეტად დაძაბული შეხვედრა გამოდგა, შინაარსიანი და დრამატული. მოგება ჰაერივით გვჭირდებოდა და აკი ვიმარჯვეთ. ხუთი კალათბურთელის მხრებზე გადაირა მთელი თამაშის სიმძიმემ. მწვრთნელმა მხოლოდ ორი მოთამაშე შეცვალა და ისინიც უმალ სათადარიგოებში დააბრუნა. მატჩის შემდეგ მოიბოდიშა კიდეც, მინდოდა, ყველა მეთამაშებინეთ, მაგრამ ნერვები დაწყვეტაზე მქონდა და ოღონდ მოგვეგო, არაფერს დაგიდევდითო.

— **დათო, ნაკრებზე რაღას იტყვი? მოსეშვილს შენი ეიმედება.**

— ჩემს კლუბთან მოლაპარაკებას ვაწარმოებ. თუ ყველაფერი კარგად აეწყო, 12-ში თბილისში ვიქნები. იმედია, ესენიც დამთანხმდებიან. არადა, 17-ში პრინციპული მატჩი გვაქვს საპორტას თასზე ფრანგულ „შოლესთან". გამორიცხული არც ისაა, რომ დავრჩე და შემდეგ პირდაპირ ისრაელში შევუერთდე ნაკრებს.

საპორტას თასი. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 3-4 ნოემბერი

### A ჯგუფი

...პოლზელა (სლოვენია) — სონი (იტალია) 63:66; ჩერნო მორე (ბულგარეთი) — ატლეტასი (ლიტვა) 79:78

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ...ლევო | 7 | 5 | 2 | 538:469 | 12 |
| ...ლეტასი | 7 | 3 | 4 | 499:518 | 10 |
| ...ნი | 6 | 3 | 3 | 423:402 | 9 |
| ...რელა | 6 | 3 | 3 | 432:448 | 9 |
| ...ლზელა | 6 | 3 | 3 | 412:432 | 9 |
| ...რნო მორე | 6 | 2 | 4 | 439:474 | 8 |

VII ტური. 10.11: ჩერნო მორე — სონი, ...რელა — პოლზელა

### B ჯგუფი

...სპლიტი (ხორვატია) — შოლე (საფრანგეთი) 63:76; მლეკარნა (ჩეხეთი) — მზტ (მაკედონია) 94:87

...სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — ტელეკომი (თურქეთი) 80:78

...სლოვაკოფარმა: კუზნეცოვი (10), მიჩუდა (4), რისტანოვიჩი (18), სირტაუტასი (12), საბო (13), ვეისი (3), ზადრაველი (20)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ...ოლე | 6 | 5 | 1 | 504:407 | 11 |
| ...ელეკომი | 6 | 4 | 2 | 458:425 | 10 |
| ...ლიტი | 6 | 3 | 3 | 478:465 | 9 |
| ...ლოვაკოფარმა | 6 | 3 | 3 | 450:460 | 9 |
| ...ლეკარნა | 6 | 2 | 4 | 452:545 | 8 |
| ...ზტ | 6 | 1 | 5 | 449:489 | 7 |

VII ტური. 10.11: სლოვაკოფარმა — შოლე ...ზტ — სპლიტი, ტელეკომი — მლეკარნა

### C ჯგუფი

...ჰაპოელი (ეილათი, ისრაელი) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) 76:78; ცეპტერი (პოლონეთი) — სენტ პიოლტენი (ავსტრია) 80:77; ბროცენი (ლატვია) — პამესა (ესპანეთი) 81:85

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ...ამესა | 6 | 6 | 0 | 492:419 | 12 |
| ...უდუჩნოსტი | 6 | 4 | 2 | 447:452 | 10 |
| ...ეპტერი | 6 | 3 | 3 | 432:427 | 9 |
| ...პოელი | 6 | 2 | 4 | 500:508 | 8 |
| ...როცენი | 6 | 2 | 4 | 485:505 | 8 |
| ...ენტ პიოლტენი | 6 | 1 | 5 | 400:445 | 7 |

VII ტური. 10.11: ბროცენი — ბუდუჩნოსტი, ...მესა — სენტ პიოლტენი. 11.11: ცეპტერი — ჰ...პოელი

### D ჯგუფი

...ტოპო (ფინეთი) — პივოვარნა (სლოვენია) 85:88; ზაგრები (ხორვატია) — პარტიზანი (იუგოსლავია) 87:97; ატომერომუ (უნგრეთი) — აეკ (საბერძნეთი) 78:76

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ...ეკ | 6 | 5 | 1 | 455:404 | 11 |
| ...არტიზანი | 6 | 5 | 1 | 508:469 | 11 |
| ...ივოვარნა | 6 | 4 | 2 | 487:488 | 10 |
| ...აგრები | 6 | 2 | 4 | 447:475 | 8 |
| ...ოპო | 6 | 1 | 5 | 464:486 | 7 |
| ...ტომერომუ | 6 | 1 | 5 | 452:501 | 7 |

VII ტური. 10.11: აეკ — ტოპო, ატომერომუ — პარტიზანი. 11.11: პივოვარნა — ზაგრები

### E ჯგუფი

სტატიბა (ლიტვა) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 79:78; ბოსნა (ბოსნია) — შარლერუა (ბელგია) 65:72; თოფაში (თურქეთი) — კიორმენდი (უნგრეთი) 92:57

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჰაპოელი | 6 | 5 | 1 | 464:406 | 11 |
| თოფაში | 6 | 4 | 2 | 476:383 | 10 |
| სტატიბა | 6 | 4 | 2 | 464:474 | 10 |
| შარლერუა | 6 | 3 | 3 | 376:417 | 9 |
| კიორმენდი | 6 | 2 | 4 | 433:493 | 8 |
| ბოსნა | 6 | 0 | 6 | 390:430 | 6 |

VII ტური. 10.11: კიორმენდი — სტატიბა. 11.11: თოფაში — ბოსნა, შარლერუა — ჰაპოელი

### F ჯგუფი

შიროკი (ბოსნია) — ანტვერპენი (ბელგია) 72:70; ტრირი (გერმანია) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 71:68; პლანია (შვედეთი) — არისი (საბერძნეთი) 80:103

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არისი | 6 | 5 | 1 | 506:377 | 11 |
| ლიმოჟი | 6 | 4 | 2 | 430:383 | 10 |
| ანტვერპენი | 6 | 4 | 2 | 443:443 | 10 |
| ტრირი | 6 | 3 | 3 | 426:459 | 9 |
| პლანია | 6 | 1 | 5 | 430:481 | 7 |
| შიროკი | 6 | 1 | 5 | 394:486 | 7 |

VII ტური. 10.11: არისი — შიროკი, ანტვერპენი — ტრირი, პლანია — ლიმოჟი

### G ჯგუფი

აპოელი (კვიპროსი) — ხუვენტუდი (ესპანეთი) 77:79; ვენტსპილსი (ლატვია) — მაზოვშანკა (პოლონეთი) 86:61

სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) — ულმი (გერმანია) 81:91

სპარტაკი: ასტახოვი (19), ასტანინი (7), ფილიპოვი (15), კონდრატოვი (11), პოტაპოვი (8), ვაშაკიძე (9), ვედიშევი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ულმი | 6 | 6 | 0 | 493:431 | 12 |
| ხუვენტუდი | 6 | 5 | 1 | 510:446 | 11 |
| ვენტსპილსი | 6 | 3 | 3 | 512:475 | 9 |
| მაზოვშანკა | 6 | 2 | 4 | 449:491 | 8 |
| აპოელი | 6 | 1 | 5 | 400:449 | 7 |
| სპარტაკი | 6 | 1 | 5 | 470:542 | 7 |

VII ტური. 10.11: ხუვენტუდი — ვენტსპილსი, მაზოვშანკა — ულმი, სპარტაკი — აპოელი

### H ჯგუფი

ოვარენშე (პორტუგალია) — უნიქსი (რუსეთი) 68:71; ბენეტონი (იტალია) — შტალბაუ (ავსტრია) 77:70; ჰანს ფერკერკი (ჰოლანდია) — ბიპა მოდა (უკრაინა) 20:0 (ბიპა მოდა არ გამოცხადდა)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 6 | 6 | 0 | 491:386 | 12 |
| უნიქსი | 6 | 4 | 2 | 442:414 | 10 |
| ოვარენშე | 6 | 3 | 3 | 415:398 | 9 |
| ბიპა მოდა | 6 | 2 | 4 | 367:412 | 8 |
| ჰანს ფერკერკი | 6 | 2 | 4 | 312:352 | 8 |
| შტალბაუ | 6 | 1 | 5 | 393:458 | 7 |

VII ტური. 10.11: ბიპა მოდა — ოვარენშე ჰანს ფერკერკი — ბენეტონი, შტალბაუ — უნიქსი

# ლოკაუტი გრძელდება

ჯერჯერობით არანაირი იმედი არ არის, რომ ნბა-ს 53-ე სეზონი დაიწყოს. გაფიცული კალათბურთელები და ლიგის ხელმძღვანელები ეგრეც ვერ მორიგდნენ და ახლა მოთამაშეთა პროფკავშირების თავმჯდომარე ბილი ჰანტერი აცხადებს, იანვრამდე შეჯიბრის გახსნა არაფრით მოხერხდებაო.

იანვარიც არ ჩანს საიმედო დროდ, ვინაიდან, ორიოდე დღის წინ ლიგა აცხადებდა, ლოკაუტი მხოლოდ ნოემბერში გაგრძელდებაო. ჩემპიონატი იანვარში რომ განახლდეს, ზარალი მაინც დიდი იქნება. 1 იანვრისთვის ოთხასი თამაში გაუქმებული გამოდგება და რეგულარული ჩემპიონატის მხოლოდ ნახევარი ჩატარდება.

„ჩვენს შეხედულებებს შორის ძირეული განსხვავებაა" — განმარტა ჰანტერმა — „ჭიდილი კვლავ პროცენტებზე მიმდინარეობს". ლიგა მტკიცედ დგას იმაზე, რომ კალათბურთელებმა სალიგო შემოსავლის ნახევარზე ნაკლები მიიღოს, ნაცვლად შარშანდელი 57 პროცენტისა. კალათბურთელები კი ამბობენ, რომ 52 პროცენტზე ნაკლებს არაფრით დაჰყაბულდებიან.



ხვალ, 6 ნოემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში დაიწყება ხელბურთელ ვაჟთა მე-8 ეროვნული ჩემპიონატი, რომლის თაობაზეც გვესაუბრება ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალეკო კიკაბიძე

# ჩემპიონატი ნისიად

— წლევანდელ ჩემპიონატში 7 კლუბი იასპარეზებს — „სტუ-შევარდენი" (თბილისი), „სტუ-ქარიშხალა" (თბილისი), სკა (თელავი), „მენავთობე" (ბათუმი), „მართვე" (თბილისი), „ასკ-მამული" (თბილისი) და ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდი. პირველ წრეში მონაწილე გუნდები ორ ქვეჯგუფად დაიყოფიან. I ქვეჯგუფში სამი გუნდი იქნება — „სტუ-შევარდენი", ასკ და „მართვე", დანარჩენი ოთხი კი მეორე ქვეჯგუფს შექმნის.

ჩემპიონატის მეორე წრე ორი კვირის შემდეგ ისევ თბილისში გაიმართება და მასში მონაწილე გუნდები ამჯერად მეტოქეებს შეიცვლიან. მერე შესვენება გამოცხადდება და ჩემპიონატი მხოლოდ გაზაფხულზე განახლდება. მესამე ტურში გუნდები კვლავ ორ ქვეჯგუფში განაწილდებიან. ოთხი გუნდი თელავში იასპარეზებს, ხოლო დანარჩენი სამი ბათუმში. თამაშების დაწყების სავარაუდო დრო აპრილის მეორე ნახევარია, რამეთუ აპრილის დამდეგს ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის სამი საკვალიფიკაციო თამაში ელის. ეროვნული ჩემპიონატის დასკვნითი, მე-4 ტური კი ივნისის დასაწყისში ჩატარდება, ხოლო მანამდე, მაისში, ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ექვს საკვალიფიკაციო შეხვედრას გამართავს (სამს სტუმრად და სამს შინ).

ქვეყნის ჩემპიონატი, ალბათ, ივნისის ბოლოს დამთავრდება, ხოლო ივლისის შუა რიცხვებისთვის ხელბურთის ევროპული ფედერაციის შტაბ-ბინაში უკვე უნდა გაიგზავნოს იმ გუნდების განაცხადები, რომლებიც ევროთასების ტურნირებზე ცდიან ძალას.

— **დღევანდელი გაჭირვების პირობებში ჩემპიონატში მოასპარეზე ყველა გუნდმა თუ შეძლო მონაწილეობისთვის აუცილებელი თანხის გადახდა?**

— მამაკაცთა პირველობაზე ეს თანხა 500 ლარს შეადგენს, ქალებში კი 300-ს. გამონაკლისი მხოლოდ მოსწავლეთა გუნდი „მართვეა" — დებულებით, იგი ფულს არ გადაიხდის. შარშან არც ერთმა გუნდმა არ გაიღო ეს თანხა. წლევანდელ ჩემპიონატში კი ფედერაცია ამ მხრივ უფრო მკაცრი იქნება. ის გუნდები, რომლებიც II წრის დასაწყისამდე ვერ შეძლებენ ვალის გასტუმრებას, ჩემპიონატიდან მოიხსნებიან.

— **შარშან მსაჯობის საკითხი ერთობ მტკივნეულად იყო...**

— ფედერაციამ წლეულს ამაზეც იზრუნა. ჩემპიონატის ყველა მონაწილე გუნდს ერთი მსაჯი უნდა ახლდეს. თბილისელებს წლეულს სამი მსაჯი ეყოლებათ. რაც შეეხება ჩემპიონატის მთავარ არბიტრს, იგი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, გამოცდილი თამაზ ჩხარტიშვილი იქნება.

— **ხელბურთელ ქალთა ჩემპიონატი როდის დაიწყება?**

— მამაკაცთა ჩემპიონატის I წრის დამთავრების შემდეგ, ალბათ, რამდენიმე დღეს შევისვენებთ და 13-14 ნოემბრისთვის ხელბურთელ ქალთა პირველობასაც დავიწყებთ. ისიც 4 წრედ ჩატარდება 2-2 ტურად. სამწუხაროდ, დღეისათვის ყველა მონაწილე გუნდის განაცხადი ხელთ არა მაქვს. ჩვენი ვარაუდით, 6 გუნდი გაეჯიბრება ერთმანეთს — „სტუ-მართვე" (თბილისი), ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის გუნდი „მართვე", აგრეთვე ქუთაისის, ბათუმის, ფოთის და „საპოვნელას" გუნდები.

— **დეკემბრის ბოლოს იუგოსლავიაში მსოფლიოს სტუდენტური თამაშები გაიმართება. იქ მონაწილე გუნდებს რეიტინგის მიხედვით არჩევენ. დაუშვეს თუ არა ტურნირზე საქართველოს ნაკრები?**

— ამ დღეებში მივიღეთ ამ შეჯიბრების დებულება. ჩვენი ვარაუდი გამართლდა, საქართველოს სტუდენტ ვაჟთა ნაკრები ჩემპიონატზე დაუშვეს. გვეგონა, ასაკობრივი ცენზი მხოლოდ ნაკრების კაპიტანს ვახტანგ მეიფარიანს შეეხებოდა. თუმცა ახალი დებულებით, ალბათ, მეიფარიანიც მიიღებს ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას.

**ზურაბ ტაბატაძე**

# ტაძრიდან ტაძრამდე

შაბათს საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაცია „სხივის" ინიციატივით მოეწყო „საქართველოს ძველი და ახალი დედაქალაქების კეთილი ნების ადამიანთა მარათონი" მარშრუტით სიონი — სვეტიცხოველი.

გარბენა მხოლოდ თბილისელი და მცხეთელი მოხალისეებისთვის იყო განკუთვნილი, თუმცა სამომავლოდ გეოგრაფიის გაფართოებასაც ფიქრობენ. შეთანხმებისამებრ, სტარტზე ორივე ქალაქის 5-5 წარმომადგენელი დადგა. ვინაიდან ძველ დედაქალაქელებს ახალსავით ასაკოვან-გამოცდილი მორბენლები არ აღმოაჩნდათ, ამიტომ მთლიანად ბავშვებით დაკომპლექტებული გუნდი გამოიყვანეს, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ასპარეზობის უმრწემესი მონაწილე 14 წლის მცხეთელი ოლეგ ოლეინიკი იყო, უხუცესი კი 64 წლის თბილისელი გიორგი სტრაგეცკი.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II მიერ დალოცვილ, სიონის ტაძრიდან სტარტალებულ ათ მარათონელს მცხეთაში ჩასვლისას ლოცვა-კურთხევა არც სვეტიცხოვლის მოძღვარმა მამა ავთანდილმა (ბურდულმა) დააკლო. წმინდა მამათაგან დალოცვილმა მორბენლებმაც 30-კილომეტრიანი მანძილი ორსაათნახევარში ისე უპრობლემოდ გაირბინეს, ექიმებისთვის საქმე არ მიუციათ.

შეჯიბრების მონაწილენი დააჯილდოვნენ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის, თბილისის სპორტის სამმართველოს, მცხეთის რაიონული გამგეობის სპორტისა და ტურიზმის განყოფილების, პოლიტიკური პარტია „სპორტული საქართველოს" მცხეთის რაიონული განყოფილების მიერ დაწესებული საჩუქრებით.

**ირაკლი თავაძე**



ფინიში სვეტიცხოვლის გალავანთან

# ის აქ არის

REUTERS



შტეფი გრაფი

**ლაიფციგი. გერმანია. სპარკასენის თასი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 450 ათასი $**

შტეფი გრაფს ჩოგბურთზე ხელს ვერაფერი აალებინებს. ზაფხულში იყო, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი რომ ირწმუნებოდა, ერთი ტრავმაც და დიდ სპორტში ჩემს ფეხს ველარ ნახავთო, მაგრამ ყველაფრისთვის თავის დანებება ასე იოლი არ აღმოჩნდა.

ჩოგბურთის „რკინის ლედიმ" აშშ-ის ღია პირველობის მერვედფინალში გასული წლიდან დაგროვებული ბარძაყის, მუხლის, მხრის და სხვა მისთანათა ტრავმების კოლექციას მაჯისაც მიუმატა და სექტემბრის დასაწყისში მორიგი ოპერაციაც გაიკეთა, თუმცა ამჯერად პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით კრინტიც აღარ დაუძრავს და აი, ბოლო მატჩიდან თითქმის ორი თვის გასვლის შემდეგ შტეფი ისევ დაბრუნდა.

წესით და რიგით, გრაფს 9 ნოემბრამდე, ფილადელფიის ტურნირამდე არ უნდა ეასპარეზა, მაგრამ გამოჯანმრთელებამ მოსალოდნელზე ცოტა დრო წაიღო და მანაც „სპარკასენის თასის" ორგანიზატორებს „უაილდ ქარდი" სთხოვა, რაც, რა თქმა უნდა, მიიღო კიდეც — სხვა თუ არაფერი, შტეფი ამ პირველობის ერთ-ერთი დამაარსებელი და 1990-93 წლების ჩემპიონი გახლავთ.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა პირველი შეხვედრა ორშაბათს გამართა: იგი თავისი 3 შეგირდიდან ერთს, 16 წლის მია ბურიჩს შეუწყვილდა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს დუეტთან — არანჩა სანჩეს-ვიკარიოსა და ნატაშა ზვერევასთან სათამაშოდ. როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანელები დამარცხდნენ 5:7, 4:6, თუმცა გრაფს გული მაინცდამაინც არ დასწყვეტია: „ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ რაკი ძალიან ძლიერი მეტოქე გვერგო, ბევრს არც ველოდით."

ერთეულების პირველ წრეში კი აღსანიშნავი რამ მოხდა — პირველად უკანასკნელი 13 წლის მანძილზე გრაფი განთესილი არ იყო, თუმცა 29 წლის გერმანელის მეტოქისთვის, რუქსანდრა დრაგომირისთვის დიდი ხეირი ამას არ დაუყრია. შტეფიმ ჩვეულზე ოდნავ მეტი უნებლიე შეცდომა კი დაუშვა, მაგრამ მოწოდება და მკვლელი ფორჰენდი ძველებურად უჭრიდა და 6:3, 6:3 მოგებას საათზე ოდნავ მეტი დაახარჯა.

„ამჟამად ერთადერთი, რაც მაწუხებს, პატარა კოჟრია ფეხზე ვთვლი, რომ ურიგოდ არ მითამაშია, თუმცა ცოტა მეტი სათამაშო პრაქტიკა რომ მქონოდა, ნაკლებ შეცდომას დავუშვებდი — აღნიშნა მატჩის შემდეგ გრაფმა — არა მგონია, აქ ფინალამდე მივაღწიო, რადგან კენჭისყრაში არც ისე გამიმართლა, მაგრამ რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ცოტას ხომ წავივარჯიშებ."

მეორე წრეში გრაფს მეექვსედ განთესილი აი სუგიამა ელის, რომელმაც თავის მხრივ გერმანელ სანდრა კლოსელს მოუგო 6:4, 6:3.

**პირველი წრე: ამანდა კუტცერი (5, სამხრეთ აფრიკა) — ელენა ტატარკოვა (უკრაინა) 6:4, 4:6, 6:4; ნატაშა ზვერევა (7, ბელარუსი) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 7:5, 6:3; ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:1, 7:5; ივა მაიოლი (ხორვატია) — კარა ბლექი (ზიმბაბვე) 6:4, 6:1.**

**პარიზის ღია პირველობა. საფრანგეთი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 2,45 მილიონი $**

**პირველი წრე: ვინს სპედეა (აშშ) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 6:4, 6:4; ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — ბორის ბეკერი (გერმანია) 6:7 (2:7), 7:5, 6:4; მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 7:6 (7:5), 7:6 (8:6); მარკ როსე (შვეიცარია) — უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:4; მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:4, 3:6, 6:3; ჯანლუკა პოცი (იტალია) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 6:3, 6:3.**

**ავთანდილ სვანიძე**

## კლასიფიკაცია

| კაცები | | ქალები | |
|---|---|---|---|
| 1. პიტ სამპრასი (აშშ) | 3990 | 1. ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 5677 |
| 2. მარსელო რიოსი (ჩილე) | 3702 | 2. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 5202 |
| 3. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) | 3489 | 3. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) | 4360 |
| 4. კარლოს მოია (ესპანეთი) | 2959 | 4. არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) | 3700 |
| 5. ანდრე აგასი (აშშ) | 2867 | 5. ვინუს უილიამსი (აშშ) | 3263 |
| 6. ალექს კორეტხა (ესპანეთი) | 2798 | 6. მონიკა სელეში (აშშ) | 3110 |
| 7. კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) | 2620 | 7. მარი პირსი (საფრანგეთი) | 2743 |
| 8. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 2581 | 8. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 2364 |
| 9. რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) | 2548 | 9. ნატალია ტოზია (საფრანგეთი) | 2342 |
| 10. ტიმ ჰენმანი (ინგლისი) | 2452 | 10. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 2155 |
| 11. პეტერ კორდა (ჩეხეთი) | 2301 | 11. ანა კურნიკოვა (რუსეთი) | 1918 |
| 12. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) | 1980 | 12. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 1898 |
| 13. გრეგ რუზეცკი (ინგლისი) | 1929 | 13. დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) | 1879 |
| 14. იან სიმერინკი (ჰოლანდია) | 1863 | 14. ირინა სპირლეა (რუმინეთი) | 1866 |
| 15. იონას ბიორკმანი (შვედეთი) | 1835 | 15. ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) | 1675 |
| 16. ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 1823 | 16. ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) | 1526 |
| 17. სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) | 1736 | 17. სერენა უილიამსი (აშშ) | 1504 |
| 18. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 1641 | 18. აი სუგიამა (იაპონია) | 1396 |
| 19. ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 1619 | 19. სილვია ფარინა (იტალია) | 1389 |
| 20. ფელიქს მანტია (ესპანეთი) | 1593 | 20. ანკე ჰუბერი (გერმანია) | 1367 |
| 21. ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 1540 | 21. ივა მაიოლი (ხორვატია) | 1344 |
| 22. ალბერტო ბერასტეგი (ესპანეთი) | 1537 | 22. შტეფი გრაფი (გერმანია) | 1217 |
| 23. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 1479 | 23. ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) | 1178 |
| 24. ტომას მუსტერი (ავსტრია) | 1353 | 24. ბარბარა შეტი (ავსტრია) | 1139 |
| 25. მაიკლ ჩანგი (აშშ) | 1302 | 25. ლაიზა რეიმონდი (აშშ) | 1130 |
| 26. ტოდ მარტინი (აშშ) | 1295 | 26. მაუი სერნა (ესპანეთი) | 1121 |
| 27. უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) | 1285 | 27. ჟული ალარი (საფრანგეთი) | 1095 |
| 28. ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) | 1254 | 28. ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) | 1080 |
| 29. ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) | 1093 | 29. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 983 |
| 30. მარატ საფინი (რუსეთი) | 854 | 30. ჯოანეტ კრუგერი (სამხრეთ აფრიკა) | 919 |

## 1998. ვინ რამდენი $ მოიხვეჭა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. მარსელო რიოსი | 3 178 371 | 1. მარტინა ჰინგისი | 2 649 771 |
| 2. პატრიკ რაფტერი | 2 170 200 | 2. ლინდსი დევენპორტი | 2 309 793 |
| 3. პიტ სამპრასი | 1 801 467 | 3. იანა ნოვოტნა | 1 990 852 |
| 4. ანდრე აგასი | 1 738 518 | 4. ვინუს უილიამსი | 1 712 246 |
| 5. კარლოს მოია | 1 596 673 | 5. არანჩა სანჩეს-ვიკარიო | 1 467 719 |
| 6. პეტერ კორდა | 1 371 513 | 6. მონიკა სელეში | 914 739 |
| 7. ალექს კორეტხა | 1 307 889 | 7. პატი შნიდერი | 866 878 |
| 8. კაროლ კუჩერა | 1 279 377 | 8. კონჩიტა მარტინესი | 816 917 |
| 9. ევგენი კაფელნიკოვი | 1 250 767 | 9. ნატალი ტოზია | 816 364 |
| 10. მარკ ფილიპუსისი | 1 215 220 | 10. ნატაშა ზვერევა | 775 225 |
| 11. რიჩარდ კრაიჩეკი | 1 203 744 | 11. მარი პირსი | 597 364 |
| 12. გორან ივანიშევიჩი | 1 182 297 | 12. ამანდა კუტცერი | 489 548 |
| 13. იონას ბიორკმანი | 1 130 357 | 13. ანა კურნიკოვა | 484 133 |
| 14. ტიმ ჰენმანი | 1 074 620 | 14. სანდრინ ტესტიუ | 445 195 |
| 15. ალბერტ კოსტა | 977 566 | 15. ირინა სპირლეა | 378 563 |
| 16. ფელიქს მანტია | 798 646 | 16. ლაიზა რეიმონდი | 365 738 |
| 17. სედრიკ პიოლინი | 787 038 | 17. დომინიკ ვან რუსტი | 357 474 |
| 18. გრეგ რუზეცკი | 768 437 | 18. სერენა უილიამსი | 310 211 |
| 19. გუსტავო კუერტენი | 726 754 | 19. აი სუგიამა | 308 800 |
| 20. პოლ ჰაარჰიუსი (ჰოლანდია) | 722 627 | 20. ელენა ლიხოვცევა | 284 768 |



# ეს სიმონა რა დღეშია!

1998 VOLLEYBALL WORLD CHAMPIONSHIPS

ფრენბურთელ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც იაპონიის შვიდი ქალაქი მასპინძლობს, გუშინ მეორე ტურის მატჩები ჩატარდა. როგორც მოსალოდნელი იყო, რაიმე სენსაციური შედეგი არ დაფიქსირებულა. ყველა ფავორიტმა იოლად მოიგო თავიანთი შეხვედრები. დაძაბული მხოლოდ ჩინეთ — ხორვატიის თამაში გამოდგა.

A ჯგუფში ჰოლანდიამ პერუ დაამარცხა 3:0. ტიტების ქვეყნის გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო ელის ლეფერინკი, რომელიც ნამდვილად ვარსკვლავის დარად გაისარჯა და თავის ნაკრებს ათი ქულა მოუტანა, აქედან ექვსი კი პირდაპირ მოწოდებიდან. მასპინძლებმა აფრიკის კონტინენტის ერთადერთი წარმომადგენელი დაიბრიყვეს და სამი პარტიის ჯამში მხოლოდ 11 ქულის აღების საშუალება მისცეს. გათამაშების სისტემა ისეთია, რომ დღეს გასამართ იაპონია — ჰოლანდიის მატჩს არანაირი ინტერესი არ აქვს გარდა სპორტულისა. მეორე ეტაპზე თითოეული ჯგუფიდან სამი გუნდი გადის და ორ ექვსგუნდიან მეოთხედფინალურ ჯგუფს ქმნის. პირველ მეოთხედფინალურ ჯგუფში A და C ჯგუფების სამეულები მოხვდებიან, მეორეში კი — B და D-სი. აქ გამარჯვებული ოთხი ნაკრები კი ნახევარფინალურ წყვილებს შექმნის და ფინალშიც ორი საუკეთესო გავა.

დავუბრუნდეთ გუშინდელ ტურს. B ჯგუფში იტალიელებმა მეორე მარცხი აგემეს ამერიკელებს. აპენინელი ლამაზმანების რიგებში საუკეთესო იყო სიმონა რინიერი, რომელმაც რვაჯერ აუღებლად დაურტყა ოკეანისგაღმელებს და სამჯერაც მარტომ დაფარა მათ დარტყმებს. კუბელებისა და ბულგარელების შეხვედრა პატარა მოულოდნელობით დაიწყო — სლავებმა „თავისუფლების კუნძულის" ბინადრებს პირველი პარტია მოუგეს, მაგრამ მეტის მიღწევა ველარ შეძლეს და 1:3 დამარცხდნენ ფრენბურთის დიდოსტატებთან.

C ჯგუფში რუსეთის ნაკრებმა ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო. ჩვენი მეზობლები საკმაოდ იოლად გაუსწორდნენ გერმანელებს, თუმცა მათი მწვრთნელი ნიკოლაი კარპოლი მაინც უკმაყოფილო იყო. „თამაშის ხარისხი მიუხედავად გამარჯვებისა არ მომეწონა. ჩვენმა ფრენბურთელებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს, ამას კი უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე აღარ გვაპატიებს. გერმანელებს კარგი მოთამაშეები ჰყავთ, მაგრამ სათანადოდ ვერ არიან მომზადებულნი. მათი შარშანდელი ნაკრები გაცილებით უკეთესი იყო" — განაცხადა მატჩის შემდეგ ევროპის ჩემპიონთა თავკაცმა. ბრაზილიელებმა კი დომინიკელთა რესპუბლიკა გაანადგურეს. კარიბის ზღვის მეორე წარმომადგენლებმა პირველი ხელი, ისევე როგორც ერთი დღის წინ გერმანიასთან, 1:15 დათმეს. ოღონდ გუშინწინდელისგან განსხვავებით გუშინ მატჩის ბედის შემობრუნება ველარ მოახერხეს და მარცხი იგემეს. ბრაზილიელთაგან აღნიშნის ღირსია ვირნა დიასი, ვის ანგარიშზეც ცხრა ქულაა.

D ჯგუფში ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსნებმა ჩინელებმა ძალიან მძიმე და დაძაბულ შეხვედრაში იმარჯვეს ხორვატიის ნაკრების წინააღმდეგ. ხორვატებმა დღეს აუცილებლად უნდა დაამარცხონ ტაილანდელები, რათა მეოთხედფინალისკენ გაიკვლიონ გზა. ეს კი რთული საქმე არ უნდა იყოს, რადგან ტაილანდი მსოფლიოს ჩემპიონატზე აზიელთაგან უსუსტესია. გუშინ მათ კორეასთან ითამაშეს და მიწასთანაც გასწორდნენ. კორეელებმა პირველი ხელი საკმაოდ უჩვეულო ანგარიშით 15:0 მოიგეს. შემდეგ ორ პარტიაში ტაილანდელები ოდნავ კი გამოცოცხლდნენ, მაგრამ მაინც არაფერი ეშველათ.

მესამე ტურის მატჩები დღეს გაიმართება ერთმანეთს შეხვდებიან: ჰოლანდია — იაპონია, კენია — პერუ, კუბა — იტალია, აშშ — ბულგარეთი, ბრაზილია — გერმანია, რუსეთი — დომინიკელთა რესპუბლიკა, ჩინეთი — კორეა, ხორვატია — ტაილანდი.

**გაიოზ თალაკვაძე**

### A ჯგუფი

**ჰოლანდია — პერუ 3:0 (15-3, 15-6, 16-14)**
**იაპონია — კენია 3:0 (15-5, 15-4, 15-2)**

### B ჯგუფი

**იტალია — აშშ 3:0 (15-7, 15-4, 15-3)**
**კუბა — ბულგარეთი 3:1 (13-15, 15-6, 15-8, 15-8)**

### C ჯგუფი

**ბრაზილია — დომინიკელთა რესპუბლიკა 3:0 (15-1, 15-4, 15-4)**
**რუსეთი — გერმანია 3:0 (15-8, 15-4, 15-6)**

### D ჯგუფი

**ჩინეთი — ხორვატია 3:2 (9-15, 15-5, 15-4, 12-15, 15-11)**
**კორეა — ტაილანდი 3:0 (15-0, 15-11, 15-10)**

## სატურნირო ვითარება

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **A ჯგუფი** | | | | |
| იაპონია | 2 | 2 | 0 | 4 |
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 4 |
| კენია | 2 | 0 | 2 | 2 |
| პერუ | 2 | 0 | 2 | 2 |
| **B ჯგუფი** | | | | |
| იტალია | 2 | 2 | 0 | 4 |
| კუბა | 2 | 2 | 0 | 4 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 2 | 2 |
| აშშ | 2 | 0 | 2 | 2 |
| **C ჯგუფი** | | | | |
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 4 |
| ბრაზილია | 2 | 1 | 1 | 3 |
| დომინიკელთა რესპ. | 2 | 1 | 1 | 3 |
| გერმანია | 2 | 0 | 2 | 2 |
| **D ჯგუფი** | | | | |
| კორეა | 2 | 2 | 0 | 4 |
| ჩინეთი | 2 | 2 | 0 | 4 |
| ხორვატია | 2 | 0 | 2 | 2 |
| ტაილანდი | 2 | 0 | 2 | 2 |



კუბელები იგებენ და ხარობენ

# ყველაფერი ძველებურად

უკვე მრავალჯერ, მაგრამ დღესაც უნდა დავუბრუნდეთ ეროვნული პირველობის ნახევარფინალებისა და ფინალის ჩატარების პრობლემას. შეგახსენებთ, რომ ბათუმლებმა რაგბის კავშირს წინადადებით მიმართეს ამ მატჩების ბათუმში გამართვის თაობაზე და პრიზიორებს ფულად გასამრჯელოსაც შეპირდნენ. რაგბის კავშირისა და პლეი ოფში გასული გუნდების წარმომადგენლები ერთი კვირის განმავლობაში იხილავდნენ ამ საკითხს და საბოლოოდ ზღვისპირელებს უარი შეუთვალეს. მიზეზი ქვეყნის ჩემპიონი ყოჩებია, რომელსაც ხელს არ აძლევს გადამწყვეტი მატჩების ბათუმში ჩატარება. ასე რომ, ყველაფერი ძველებურად იქნება — ნახევარფინალი უკეთესი შედეგის მქონე გუნდის მოედანზე გაიმართება.

თუ სატურნირო ვითარებას და დარჩენილი თამაშების კალენდარს გადავხედავთ, „ყოჩები" მასპინძლობისთვის შეიძლება აქედანვე „გავწიროთ", მისი სტუმრობა კი მეოთხე ადგილზე დამკვიდრებულ ასკ-ს უწევს, რაც არმიელებს, ვეჭვობ, ოდნავ მაინც ახარებდეთ. მეორე მასპინძლის ვინაობა ალბათ უკვე შაბათს გაირკვევა, როცა ბათუმში „დათვები" თანაბარძალოვან „ექსპრესს" დაუხვდებიან. ამ უკანასკნელთათვის მასპინძლობის შანსი ერთობ მცირეა, რადგან დარჩენილი ათი შეხვედრიდან მათ „დათვების" გარდა მრისხანე „ყოჩებიც" ელით. ქულადაკლებულ „დინამოს" და ჩემპიონატიდან გასულ „გუმარს" კი მათ ბრძოლაში ალარაფრის შეცვლა ძალუძთ.

**პაატა თოთაძე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 22 | 20 | 2 | 0 | 907:224 | 128:22 | 42 |
| დათვები | 22 | 14 | 2 | 6 | 548:205 | 75:21 | 30 |
| ექსპრესი | 22 | 15 | 0 | 7 | 633:267 | 95:31 | 30 |
| ასკ | 22 | 12 | 0 | 10 | 428:378 | 62:53 | 24 |
| გუმარი | 22 | 10 | 0 | 12 | 403:302 | 59:41 | 19 |
| დინამო | 22 | 3 | 0 | 19 | 116:869 | 8:136 | 5 |

*„გუმარს" და „დინამოს" დაკლებული აქვთ თითო ქულა*

# აქეთ ლეონსიო, იქით მახო და რაფო

კვლავ დაუმარცხებლად ასპარეზობს ევროპის კონფედერაციის თასის გათამაშებაში ლევან ცაბაძის ფრანგული „ნარბონი". გასულ უქმეებზე ნარბონელთა მორიგი, მეექვსე „მსხვერპლი" „ნიუპორტი" შეიქნა — ფრანგებმა 31:17 მოიგეს, თუმცა ამ წარმატებაში თავად ლეონსიოს უთამაშებლობის გამო წილი არ უდევს. „ნარბონში" წესად ჰქონიათ — იმ მოთამაშეს, ვინც ამა თუ იმ შეხვედრამდე სულ ცოტა ერთი კვირა მაინც არ იქნება გუნდთან, ძირითად შემადგენლობაში არ აყენებენ. ლეონსიო გასულ კვირას ნაკრებში იყო გამოძახებული და კლუბშიც ამიტომ ვერ ითამაშა. ამავე მიზეზით იგი ვერც მომავალ შაბათს ითამაშებს ფრანგული „პერიგოს" წინააღმდეგ. ბოლო ტურის ამ მატჩს „ნარბონისთვის" უკვე მნიშვნელობა აღარც აქვს, რადგან ჯგუფში პირველობა უკვე გაინაღდა.

ლეონსიო გასულ შაბათს უქმად მაინც არ მომცდარა, რადგან „ნარბონის" სარეზერვო გუნდში ითამაშა რაფავას და ურჯუკაშვილის „ტულუზის" ასევე დუბლშემადგენლობის წინააღმდეგ, მაგრამ წააგო. ტულუზელთა ქართველებს გადასარევად უბურთავიათ, თავი განსაკუთრებით ახალგაზრდა მახო ურჯუკაშვილს გამოუჩენია რეალიზაციების თითქმის ასპროცენტიანი შედეგით.

**ირაკლი თავაძე**

# ვისი სული გვსურს?

როგორც იცით, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის უკეთ მოსამზადებლად საფრანგეთს ესტუმრა და რამდენიმე საწვრთნელი შეხვედრაც გამართა. მორაგბეები ახლა ირლანდიას გაემგზავრებიან და ჯერ მასპინძლებს შეხვდებიან, შემდეგ კი რუმინეთის ნაკრებს. სამგუნდიანი ჯგუფიდან პირველი ორი უშუალოდ მოხვდება მსოფლიო თასის მეოთხე გათამაშების ფინალურ ეტაპზე, ბოლო ადგილზე გასული გუნდი კი გადათამაშებაში შეხვდება ტონგას. კუნძულელებთან გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი შესარჩევი ჯგუფის მაჩანჩალა უელსის სატურნირისთვის გადამწყვეტ მატჩს გამართავს კორეასა და ევროპის მეორე შესარჩევი ჯგუფის მესამე ადგილოსანს (ალბათ, ჰოლანდიას) შორის უძლიერესთან.

ახლა გვინდა, გაცნობოთ, თუ ვინ არიან ჩვენი მომავალი სავარაუდო მეტოქეები ფინალურ ეტაპზე. განვიხილოთ სამი შესაძლო ვარიანტი:

I. თუ ირლანდიასაც ვაჯობებთ და რუმინეთსაც (რაც ნაკლებად რეალურია, მაგრამ ვინ იცის?), მაშინ მოვხვდებით მსოფლიო თასის E ჯგუფში ავსტრალიასთან, აშშ-სთან და ევროპის მესამე შესარჩევი ჯგუფის მეორე გუნდთან.

II. თუ დავიკავებთ მეორე ადგილი (რისი იმედიც ყველაზე მეტად გვაქვს), ჩვენი მეტოქეები A ჯგუფში იქნებიან სამხრეთ აფრიკა, ევროპის მესამე ჯგუფის გამარჯვებული და ურუგვაის, მაროკოსა და ევროპის მესამე ჯგუფის ბოლო ადგილს შორის საუკეთესო.

III. თუ ორივე მეტოქემ დაგვჯაბნა, ამ შემთხვევაში საკმაოდ გრძელი გზა გვექნება გასავლელი, რაზეც ზევით უკვე ვთქვით. წარმატების შემთხვევაში კი B ჯგუფში მოვხვდებით ახალ ზელანდიასთან, ევროპის მეორე შესარჩევის უძლიერესთან და მეორე ადგილოსანთან.

აქვე გაგაცნობთ ევროპის მეორე და მესამე შესარჩევი ჯგუფის შემადგენლობებს. მე-2 ჯგუფი: ინგლისი, იტალია, ჰოლანდია; მე-3 ჯგუფი: შოტლანდია, ესპანეთი, პორტუგალია.

დაბოლოს, მსოფლიოს თასის თამაშებს უმასპინძლებს არა მხოლოდ უელსი, არამედ ინგლისიც, შოტლანდიაც, ირლანდიაც, ჩრდილოეთ ირლანდიაც და საფრანგეთიც, რაც ერთობ უჩვეულო რამაა. გახსნის მატჩი 1999 წლის 1 ოქტომბერს გაიმართება კარდიფში და ერთმანეთის პირისპირ უელსისა და არგენტინის მორაგბეები დადგებიან. ფინალური შეხვედრაც კარდიფში ჩატარდება 6 ნოემბერს.

**გაიოზ თალაკვაძე**

# ირლანდია დაირაზმა

14 ნოემბერს დუბლინში ქართველი ბურთლალოსნები მსოფლიოს თასის შესარჩევ მატჩში ირლანდიელებს უპირისპირდებიან. სანამ ქართველი მორაგბეები საფრანგეთში ემზადებიან საპასუხისმგებლო შეხვედრისთვის, ირლანდიელები შინ ვარჯიშობენ.

გუშინ ირლანდიელთა ის შემადგენლობა გაცხადდა, ქართველებთან და რუმინელებთან საპაექროდ რომ ემზადება.

კუნძულელთა კაპიტანი კეიტ ვუდის ნაცვლად პედი ჯონსია.

ირლანდიელთა აწ უკვე ყოფილი კაპიტანი ვუდი საერთოდაც არაა გუნდში გამოძახებული, რადგან მას ირლანდიის რაგბის კავშირთან დადებული კონტრაქტის თაობაზე ამ ორგანიზაციასთან უსიამოვნებები მოსვლია. ირლანდიის რაგბის კავშირი ვუდის სახელის ყველა უფლებების დაცვით კომერციაში იყენებდა, თავად მოთამაშეს კი აუხირებია კონტრაქტის პირობებს ნუ არღვევთო. ნაკრებიდან ამიტომაც გარიცხეს. რაც შეეხება კონკრეტულად ირლანდიელთა გუნდის შემადგენლობას, იგი ასე გამოიყურება: *უკანახეზგლები* — კონორ ოში (ლონდონ აირიში), გირვენ დემპსი (ტერენარ კოლეჯი), ჯასტინ ბიშოპი (ლონდონ აირიში), კევინ მაგსი (ბათი), დერეგ ომაჰონი (ბედფერდი), რობ ჰენდერსონი (ვასპსი), ჯონათან ბელი (დანგენონი), პეტ დუინენი (გელვიგენსი), ერიკ ელვუდი (გელვიგენსი), დევიდ ჰამპრაისი (დანგენონი), კონორ მაკგინესი (სენტ მერის კოლეჯი), სიერენ სკალი (U.C.O). *მორკინალები* — პოლ უოლესი (სერესენსი), პიტერ კლოიზი (იანგ მანსტერი), ჯასტინ ფიცპატრიკი (დანგენონი), რომ ნესდეილი (ნიუკასლი), ალან კლარკი (დანგენონი), პედი ჯონსი (სერესენსი), მალკოლმ ოკელი (ლონდონ აირში), მიკ გელვი (შენონი), ჯერემი დავიდსონი (სესტრისი), ვიქტორ კოსტელო (სენტ მერის კოლეჯი), ერიკ მილერი (ტერენარ კოლეჯი), ენდი უორდი (ბელინკიჩი), დიონ ოკინეგენი (სეილი), ალან კუანლენი (შენონი).

**არჩილ ჭუმბურიძე**





# დეტროიტს ბოუმენმა აწყინა

• 3 ნოემბერი

**პიტსბურგი — ფილადელფია 4:4**

2:3 1:1 1:0 0:0

0:1 ბრინდამორი 2'19 (5); 0:2 ლინდროსი 5'36 (9); 0:3 ტერიენი 11'28 (1); 1:3 გალანოვი 15'45 (1); 2:3 იაგრი 15'52 (4); 2:4 მანელიუკი 26'13 (2); 3:4 ლანგი 34'27 (4); 4:4 გალანოვი 54'36 (2)

შეხვედრას დამატებითი ინტრიგა ტრავმამოშუშებული იარომირ იაგრის გამოჩენამ და ერიკ ლინდროსთან მისი დუეტის აღდგენამ შემატა. სუპერფორვარდებმა თავიანთი ქულათა მარაგიც შეივსეს (შესაბამისად 2 (1+1) და 3 (1+2) და მაყურებელსაც ლამაზი სანახაობა აჩუქეს. და მაინც, მატჩის გმირი მასპინძელთა დებიუტანტი მაქსიმ გალანოვი გახდა. მხოლოდ იგი აღუდგა წინ „მფრინავებს", რომლებმაც პირველ წუთებში ნამდვილი შტურმი დაატეხეს პეტერ სკუდრას კარს და 3:0 დაწინაურდნენ. ბოლო პერიოდში კი რუსმა მცველმა, ვინც თავის მე-10 შეხვედრას ატარებდა, კიდევ ერთი შორეული დარტყმით იხსნა ძალაგამოლეული პიტსბურგი და მას ქულა მოუტანა.

**ნიუ ჯერსი — რეინჯერსი 3:1**

1:0 1:1 1:0

1:0 მორისონი 14'53 (2); 1:1 კ. სტივენსი 29'30 (2); 2:1 ს. სტივენსი 38'03 (1); 3:1 ს. სტივენსი 57'33 (2).

სკოტ ნიდერმაიერმა გაფიცვის შეწყვეტითა და ჩემპიონატში დაბრუნებით თითქოს ახალი ძალა შთაბერა თავის მუდმივ პარტნიორ სკოტ სტივენსს. ამიტომაც იყო, რომ მცირე შედეგიანობით ცნობილმა მცველმა ძალა არ დაიშურა და ორი გოლით „ეშმაკებს" გამარჯვება მოუტანა. თუმცა პირველ შემთხვევაში მას ნიუიორკელი ულფ სამუელსონის ციგურა დაეხმარა, რომელმაც შაიბა აისხლიტა.

ექსნიუჯერსელ ჯონ მაკლინს (15 სეზონი გაატარა „ეშმაკთა" რიგებში) სტივენსზე არანაკლები სტიმული ჰქონდა, მაგრამ თავის ახალ კლუბს „ნიუჯერსული სინდრომის" დაძლევაში (+0=4-7) მაინც ვერ დაეხმარა. მასპინძელთა ფორვარდმა დეივ ანდრეიჩუკმა ლიგის ისტორიაში 50-ემ მიაღწია 600-პასიან ზღვარს.

**დეტროიტი — კალგარი 2:5**

0:0 1:2 1:3

0:1 კესელბი 33'26 (2); 0:2 სტილმანი 35'28 (2); 1:2 ჰოლმსტრიომი 37'38 (4); 1:3 სტილმანი 42'28 (3); 1:4 ფლერი 44'05 (8); 2:4 ლაპოინტი 47'25 (3); 2:5 დუბინსკი 50'15 (1)

იქნებ სჯობდა, სკოტი ბოუმენს სარეაბილიტაციო კურსი გაეგრძელებინა, თორემ რაც სახელოვანი მწვრთნელი დეტროიტს დაუბრუნდა, ჩემპიონმა 6 შეხვედრიდან უკვე ოთხი წააგო. თუმცა, რა ბოუმენის ბრალია, თუ სტუმართა მეკარეებმა — კენ რეგეტმა და მისი ტრავმის შემდეგ მეორე პერიოდის შუახანს კარში ჩამდგარმა ტაილერ მოსმა (მას 20 იანვრიდან არ უთამაშია) თავი არ დაზოგეს და 45 დარტყმა მოიგერიეს. ამათ გარდა აღნიშვნის ღირსია სტუმართა კაპიტანი ტეო ფლერი (1+2) და ფილ ჰაუსლი (3 პასი).

**ბუფალო — ბოსტონი 4:2**

1:1 1:0 2:1

0:1 ჰაინცე 11'12 (4); 1:1 უორდი 17'23 (3); 2:1 შატანი 22'27 (2); 3:1 ბრაუნი 45'00 (1); 3:2 გილი 49'02 (1); 4:2 გროშეკი 51'59 (3).

დომინიკ ჰაშეკმა თავის მრავალრიცხოვან მიღწევებს ერთიც შემატა: 157 მოგებით კლუბის საუკეთესო მეკარე გახდა და დონ ედვარდსი მეორე ადგილზე ჩამოაქვეითა.



REUTERS დეტროიტიდან

კალგარელმა ტეო ფლერიმ (14) დეტროიტის მეკარე კრის ოსგუდი მთელი თამაში არ მოასვენა

### სატურნირო ვითარება

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 9 | 6 | 2 | 1 | 25:16 | 14 |
| ფინიქსი | 8 | 5 | 1 | 2 | 24:14 | 11 |
| ლოს ანჯელესი | 11 | 4 | 2 | 5 | 21:24 | 10 |
| ანაჰაიმი | 9 | 3 | 3 | 3 | 21:19 | 9 |
| სან ხოსე | 9 | 1 | 2 | 6 | 20:27 | 4 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 11 | 4 | 3 | 4 | 23:19 | 11 |
| ტამპა | 11 | 4 | 1 | 6 | 26:34 | 9 |
| ვაშინგტონი | 10 | 3 | 3 | 4 | 16:22 | 9 |
| ფლორიდა | 10 | 3 | 3 | 4 | 22:30 | 9 |

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 9 | 6 | 0 | 3 | 30:22 | 12 |
| ბუფალო | 10 | 5 | 2 | 3 | 28:21 | 12 |
| ტორონტო | 10 | 5 | 1 | 4 | 30:31 | 11 |
| ბოსტონი | 12 | 4 | 2 | 6 | 27:23 | 10 |
| მონრეალი | 10 | 3 | 2 | 5 | 21:25 | 8 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ედმონტონი | 10 | 6 | 0 | 4 | 38:25 | 12 |
| ვანკუვერი | 11 | 5 | 1 | 5 | 32:27 | 11 |
| კალგარი | 11 | 4 | 2 | 5 | 30:33 | 10 |
| კოლორადო | 10 | 3 | 1 | 6 | 26:36 | 7 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 12 | 5 | 3 | 4 | 31:26 | 13 |
| ნიუ ჯერსი | 10 | 6 | 0 | 4 | 20:20 | 12 |
| აილენდერსი | 11 | 6 | 0 | 5 | 26:24 | 12 |
| პიტსბურგი | 10 | 4 | 3 | 3 | 28:30 | 11 |
| რეინჯერსი | 11 | 3 | 3 | 5 | 17:26 | 9 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 11 | 6 | 0 | 5 | 33:25 | 12 |
| სენტ ლუისი | 9 | 4 | 2 | 3 | 23:21 | 10 |
| ჩიკაგო | 10 | 4 | 1 | 5 | 23:32 | 9 |
| ნეშვილი | 9 | 3 | 1 | 5 | 23:28 | 7 |

*ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 17 (4+13); ლინდროსი 16 (9+7); ლეკლერი (ორივე ფილადელფია) 14 (7+7); აიზერმანი (დეტროიტი) 14 (3+11); გერინი (ედმონტონი) 13 (9+4); ფლერი (კალგარი) 13 (8+5); შენაჰანი (დეტროიტი) 13 (7+6); კარია (ანაჰაიმი) და მესიე (ვანკუვერი) 13 (6+7); ბრინდამორი (ფილადელფია) 13 (5+8); ფორსბერგი (კოლორადო) 13 (1+12)*

# ლინდროსი გაპოლიციელდა

29 ოქტომბერს ოტავაში მომხდარ ინციდენტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. „სენატორთა" და ფილადელფიის მატჩის პირველი პერიოდის მიწურულს კარსუკან მყოფ ანდრეას დაკელს „მფრინავთა" კაპიტანი ერიკ ლინდროსი ეცა და მთელი ძალით ბორტს მიაჭყლიტა. საბრალო შვედი ძირს დაენარცხა და 12 წუთი უგონოდ იყო. ერთი შეხედვით ისე ჩანდა, თითქოს ლინდროსმა უსასტიკესად იუხეშა (იგი ხომ არასდროს ერიდება ძალისმიერ ილეთებს). მოწინააღმდეგენი მოითხოვდნენ, იგი უმკაცრესად დასჯილიყო.

ნჰლ-ის სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე გულდასმით განიხილეს ეს ინციდენტი (ოტაველებმა საგანგებოდ ფირიც გააგზავნეს, სადაც ეს მომენტი ყველაზე სანდო რაკურსით იყო გადაღებული) და ნჰლ-ის ვიცე-პრეზიდენტმა კოლინ კემპბელმა ფილადელფიელი გაამართლა, თანაც დასძინა, რომ დამნაშავე უფრო დაკელია, რომელიც თამაშს გამოეთიშა და ლინდროსის ილეთი გამოეპარა. შეკითხვაზე — ლინდროსმა ეს განზრახ ჩაიდინა თუ არა, კემპბელმა ერთობ ორაზროვნად უპასუხა, ადამიანის გონებაში შეღწევა შეუძლებელიაო.

და მაინც, სუპერვარსკვლავის იმიჯის მქონე ჰოკეისტს (ყოველ შემთხვევაში, ლინდროსს ამის პრეტენზია აქვს) ეს ინციდენტი გარკვეულწილად ჩრდილს აყენებს. მას ნამდვილად არ შეფერება ამგვარი ილეთები. საამისოდ ხომ „პოლიციელი" არსებობს. კიდევ კარგი, დაკელი სერიოზულად არ დაშავდა, იგი დიდი-დიდი ორ კვირას გამოტოვებს.



სარჩიელის არქივიდან

ერიკ ლინდროსი



მარკ პერიშა

## ჰოკერი და ორი კურდღელი

თითქმის მთელი ოქტომბრის განმავლობაში თვის საუკეთესო ახალბედის ტიტულის მთავარ პრეტენდენტად ვანკუვერელი ბილ მუკალტი ითვლებოდა, რომელიც პირველივე მატჩიდან მყარად დამკვიდრდა კლუბის მეორე სამეულში და ის, რომ ამის ღირსია, 8 (3+5) დაგროვილი ქულითაც დაადასტურა. მაგრამ 30 ოქტომბერს ფლორიდელმა მარკ პერიშმა ისეთი რამ მოიმოქმედა (ჩიკაგოს კარში ერთბაშად 4 შაიბა გაიტანა), რომ სპეციალისტებს უმალ აზრი შეაცვლევინა და ორი კურდღელი ერთად დაიჭირა — კლუბის ისტორია ახალი რეკორდით გაამდიდრა და თვის საუკეთესო ახალბედაც გახდა.

## გადახდა უნდა ვალსაო

პიტსბურგის მრავალ გასაჭირს ერთიც დაემატა. ქალაქის მუნიციპალიტეტის წევრმა ჯიმ ფერლომ „პინგვინებს" თავიანთ არენაზე ასპარეზობა აუკრძალა მანამ, სანამ გუნდი საქალაქო ხაზინაში სავალდებულო გადასახადს — 1 მილიონ დოლარს არ შეიტანს. ფერლომ კლუბის მფლობელ როჯერ მარინოს მოუწოდა, გონს მოდი, ვალი დროულად გაგვისტუმრეო. ამასობაში გუნდის დანარჩენმა კრედიტორებმა საგანგებო კომისია შექმნეს, რომელსაც მარიო ლემიე და „სივის არენას" მფლობელი კომპანია SMG გაუძღვებიან.

**სამველ ლარიბიანი**

# თბილისის მერე ნევილი ბექემს გაებუტა

ასე ახასიათებს დევიდ ბექემს თანაგუნდელი გარი ნევილი თავის წიგნში „გუნდისა და ქვეყნისთვის“, რომელიც ზაფხულის მიწურულს ლონდონში გამოიცა.

ამ წიგნიდან ვგებულობთ, რომ ნევილსა და ბექემს, ინგლისის ნაკრებთან ერთად თბილისში რომ იყვნენ, „მეტეხი პალას შერატონში“ ერთ ნომერში უცხოვრიათ. მანჩესტერ იუნაიტედელ ბექემს ნომრიდან იმდენი ურეკია თავის სატრფო ვიქტორია ადამსისთვის, რომელიც როკ-ჯგუფ „სფაის გერლზის“ წევრია, რომ ტელეფონს ლამის ცეცხლი გასჩენია. ისე კი მართლაც საკვირველია, როგორ გაუძლო ჩვენმა ხაზებმა იმდენ რეკვას, რომ მიჯნურთა ერთკვირიანი სატელეფონო კავშირი 1600 ფუნტი სტერლინგი დაჯდა, რაც 3000 დოლარზე მეტია.

წიგნიდან იმასაც ვგებულობთ, რომ ბექემის ამგვარი „სატელეფონო შემთხვევა“ პირველი სულაც არ ყოფილა. მაგრამ მეგობრის ლაყბობით პირის აქაფება თბილისურ სიგიჟემდე ნევილს სულაც არ ანაღვლებდა. აი, შინ დაბრუნების მერე კი მას ისეთი ამბავი დაახვედრეს, რომ ელდა ეცა. მოდი და, სახტად ნუ დარჩებოდა, როცა ბექემის თავშექცევის გამო ნევილს 800 ფუნტი სტერლინგი გადაახდევინეს.

ალმოჩნდა, რომ ინგლისის საფეხბურთო ფედერაციას წესად ჰქონია სატელეფონო საუბრებისთვის გადასახადის შუაზე გაყოფა იმათთვის, ვინც სასტუმროს ერთ ნომერში ცხოვრობენ.

თბილისური ამბის მერე ნევილმა ბექემთან მეგობრობას წერტილი დაუსვა, სასტუმროში ცალკე, თავისთვის ცხოვრობს და ამბობს, ამით ჩემი ბიუჯეტი საკმაოდ იზოგებაო.

ცნობისთვის, ბექემის სატელეფონო სამიჯნურო საუბარი თბილისიდან ლონდონში 3 საათს და 45 წუთს გაგრძელებულა, წუთი კი 7,2 ფუნტი სტერლინგი დამჯდარა.

კაცმა რომ თქვას, აქაც კარგი „სატელეფონო მეკობრეები“ გვყოლია.



სარბიელის არქივიდან

ვიქტორია და დევიდი



# ვიკინგთა ეპოქის თხილამური

ნორვეგიაში ფართოდ და საზეიმოდ აღნიშნეს მსოფლიოში უძველესი სათხილამურო მუზეუმის 75-ე წლისთავი. ამასთან დაკავშირებით ნორვეგიის დედაქალაქის გარეუბან ჰოლმენკოლენში გაიმართა დიდი საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც 20 ქვეყნის სათხილამურო მუზეუმების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სწორედ ჰოლმენკოლენშია ნორვეგიის სათხილამურო მუზეუმი და ცნობილი ტრამპლინი.

ნორვეგიაში სათხილამურო სპორტი ეროვნული სახეობის რანგშია აყვანილი. ამბობენ, ნორვეგიელები ჯერ თხილამურებით სრიალს სწავლობენ, მერე კი დედამიწაზე პირველ ნაბიჯებს დგამენო.

ასეა თუ ისე, როცა ჰოლმენკოლენში სათხილამურო ასპარეზობა იმართება, იქით ათასობით ადამიანი მიისწრაფვის. ჰოლმენკოლენი ნორვეგიის დედაქალაქის ისეთი ღირშესანიშნაობათაგანია, რომ მის მონახულებას ოსლოში ჩასული ყველა ტურისტი ცდილობს. რა თქმა უნდა, ისინი გულგრილად არ უვლიან გვერდს სათხილამურო მუზეუმს, რომლის იშვიათი კოლექცია ამას წინათ შეივსო ერთი უნიკალური ექსპონატით. ეს გახლავთ თხილამურის ნატეხი, რომელიც 800-1000 წელს განეკუთვნება. ვიკინგების ეპოქის ამ ექსპონატმა ბოლოს და ბოლოს ალმოფხვრა მუზეუმის „ნაკლი“.





# ნჰლ-ში ნიგერიელს რაღა უნდა

ნიგერიის ქალაქ ზარიაში დაბადებული პატარა ბიჭუნა რუმუნ ნდური რა... ტომლაც ყინულზე თამაშმა გადარია... მანამდე არ მოეშვა მშობლებს, სან... ამერიკაში არ გადაბარგდნენ. მან მაში... ნვე დაიწყო ზრუნვა, თავისი მიზნის გა... ნხორციელებისთვის და მართალია, ... ნიორთა შორის მცველის ამპლუაში მო... თამაშე ნიგერიელი დიდი შედეგიანო... ბით არ გამოირჩეოდა, ბრძოლისუნარი... ანობამ, შეუპოვრობამ და ჰოკეისადმი... სიყვარულმა ისე მოხიბლა ბუფალოს კო... ლექციონერები, რომ 19 წლის ნდური... 1994 წლის დრაფტზე „ხმლებმა“ 69-... ნომრად აიყვანეს, წლევანდელი სეზო... ნიდან კი იგი ძირითად შემადგენლობა... შია. ათლეტური აღნაგობის ზანგი (187 სმ, 90 კგ) თავის 300 ათას დოლარს პა... ტიოსნად გამოიმუშავებს.



# გალოთებული ოქსანა გამოსწორებულა

გეხსომებათ, რომ შარშანდელ იანვარში ლილეჰამერის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში, უკრაინელი ოქსანა ბაიული კარგა გვარიანად შეზარხოშებული რომ იყო, თავის „მერსედესის“ საჭეს მიუჯდა და სომეხ მეგობარ არარატ სარქისიანთან ერთად გიჟური სისწრაფით გაქანდა, მაგრამ, ცხადია, შორს ვერ წავიდა — იგი ბრუმფილდის რაიონში გზას აცდა და ხეს შეასკდა. მისდა საბედნიეროდ, ოქსანა მცირეოდენი დაჟეჟილობითა და თავზე თორმეტი ნაკერით გადარჩა. მოგვიანებით ოქსანა, რომელიც სამოყვარულო სპორტიდან წავიდა, გამოტყდა, რომ ალკოჰოლს ვეტანებოდიო. მან იმ ავარიაში თავისი დანაშაულიც აღიარა და სასამართლომ 20 წლის ოქსანას 25 საათით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა მიუსაჯა. ამასთან, სასამართლომ იგი გაამწესა ალკოჰოლისტთა სარეაბილიტაციო ცენტრში, სადაც მის მსგავსად კანონის დარღვევაში პირველად მხილებულნი იყვნენ გამოკეტილნი.

იმისთვის, რომ ოქსანა ბაიულს ნასამართლევის სტატუსი მოხსნოდა, ჩემპიონმა, როგორც ირკვევა, პატიოსნად იმუშავა საზოგადოებისთვის, რაც ყინულზე საქველმოქმედო გამოსვლასაც გულისხმობდა. ამასთან, როგორც მისმა ვექილმა განაცხადა, ოქსანა, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან ქადაგებდა „ავტომობილის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის დაუშვებლობაზე“.

ამას წინათ უესტ-ჰარტფორდის სასამართლომ კიდევ ერთხელ განიხილა ოქსანას საქმე და დაასკვნა, რომ ჩემპიონს პირნათლად მოუხდია პირობითი სასჯელით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და ალკოჰოლიზმისგანაც განკურნებულა. სასამართლოსაც მეტი რაღა დარჩენოდა — განაცხადა, რომ ოქსანა ბაიული ამერიკის კანონთან პირნათელიაო.

თავად ბაიული კი, სასამართლო სხდომას არ დასწრებია. როგორც მისმა ვექილმა დენიელ ბლიამმა ბრძანა, იგი რუსეთში ყოფილა დასასვენებლად და ჩემს კლიენტს ეს სასიხარულო ამბავი უკვე ვაცნობეო.

ვექილმა ისიც თქვა, ოქსანა გულმოდგინედ ვარჯიშობს და მას „დიდ ყინულზე“ გასვლა განუზრახავსო.



სარბიელის არქივიდან

ოქსანა და არარატ ავარიამდე



# სამი შეხვედრა სიკვდილთან



სარბიელის არქივიდან

იღბლიანი მაიკლი

დიდი მაიკლი, მთლად თოთო რომ იყო, მშობლების საწოლიდან გადაგორდა, გადავარდა და ისე დაეცა იატაკზე, რომ სუნთქვა შეეკრა და მთლად გალურჯდა, მაგრამ მშობლებმა, როგორც იქნა, მოასულიერეს და ყრმასთან ერთად კალათბურთიც გადარჩა.

მერე, დაახლოებით ორი წლისა რომ იყო, მაიკლს ბავშვური ცნობისმოყვარეო მზერა მიეპყრო მამამისისთვის, რომელიც წვიმაში მანქანას არემონტებდა. რატომღაც მანქანის გვერდზე ეგდო ძაბვაში ჩართული ორი ელექტრომავთული და ორივე მაიკლის ხელში აღმოჩნდა. როგორც მისი მშობლები იხსენებენ, განმუხტვა იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ მაიკლი ერთი მეტრით ჰაერში ააგდო, მაგრამ ბავშვი და კალათბურთი მეორედაც გადარჩნენ.

ბოლოს, როცა მაიკლი უკვე შეგნებულ ასაკში იყო და მეგობართან ერთად ცურავდა, წყალქვეშა დინებამ ღია ოკეანეში გაიტაცა.

„მე მოვახერხე დინებისგან თავის დაღწევა და ნაპირამდე მოვაღწიე, ჩემი მეგობარი კი ველარ დაბრუნდა“ — წერს ახლახანს გამოცემულ წიგნში მაიკლი, რომელიც მესამედაც გადარჩა და მასთან ერთად კალათბურთიც.

იმავე წიგნიდან ვგებულობთ, რომ მაიკლი, როცა კოლეჯში სწავლობდა, მის თვალწინ თავისი მეგობარი გოგონა დამხრჩვალა. მას მერე მაიკლს თურმე წყლისა პანიკურად ეშინია.

მაიკლი იმასაც წერს, რომ უწინარეს ყოვლისა, ბედს უნდა ვუმადლოდეო. მართლაც უნდა უმადლოდეს, რომ სამჯერ ჩახედა სიკვდილს თვალებში და სამივეჯერ გადარჩა. თანაც მერე დიდების მწვერვალს კენწეროში მოექცა.

„აბა, ყოველივე ამის მერე განა შეიძლება იმის თქმა, რომ თითოეულ ჩვენგანს ბედის ფურცელი წინასწარ არ უწერია?“ — კითხულობს მაიკლი, რომელიც სხვადასხვა რეიტინგით არის მსოფლიოში ყველაზე მდიდარი, პოპულარული და გავლენიანი სპორტსმენი. და, რა თქმა უნდა — იღბლიანი.

ცხადია, ყოველივე ამას დიდ მაიკლ ჯორდანზე მოგახსენებთ. იმაზე, თუ მისი სიცოცხლე როგორ ეკიდა ბეწვზე და სხვა მრავალზეც, მოგვითხრობს თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში, რომელიც დაისტამბა სათაურით „თამაშზე სიყვარულით: ჩემი ისტორია“. ამ წიგნს ქვესათაურად შეიძლებოდა ჰქონოდა ასეთიც — ცხოვრება, რომელიც ყოველთვის ულრუბლო არ იყო...

ჯორდანის ფათერაკები, რომლებიც გაგაცანით, ახლახანს გამოაქვეყნა ჟურნალმა „ვენიტი ფერ“-მა. ახალი ავტობიოგრაფიული წიგნის ლეგენდარული ავტორი, რომელიც წლეულს კვლავ დაეხმარა თავის გუნდს „ჩიკაგო ბულზს“ ნბა-ს ჩემპიონატში მეექვსედ გაიმარჯვებაში, თავის ნაშრომში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ნბა-ში თავის პირველ ნაბიჯებს, შეხვედრებს ლარი ბერდთან, მეჯიკ ჯონსონთან და კალათბურთის სხვა ვარსკვლავებთან.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია.**
**ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29